

ევანი ვიდეოგრაფი

# გათუვიდან ართვინამდე

(მგზავრის ჩანაწერი)

თარგმნის მზია ჩხაიძემ და გოჩა საითიძემ

შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გოჩა საითიძემ

თბილისი

სერიის მთავარი რედაქტორი      როინ მებრეველი

სერიის სარედაქციო კოლეგია:      გუბა კუდავა  
გონდო კუვატაძე  
გოჩა სანიტიძე  
ჯაბა სამუშია

ISBN 99940-58-8 (სერიის)

ISBN 99940-64-2 (ე. ვეიდენბაუმი, „ბათუმიდან ართვინამდე“)

© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2005.

## სარჩევი

წინათქმა .....	7
ვეგენი ვეიდენბაუმი (ცხოვრება-მოღვაწეობა) .....	9
<b>ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები) .....</b>	<b>33</b>
<b>კავკასიის გზამკვლევი [ამონარიდები მესხეთის შესახებ].....</b>	<b>79</b>
<b>კომენტარები</b>	
ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები) .....	87
კავკასიის გზამკვლევი .....	89
<b>საძიებლები</b>	
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი .....	91
პირთა საძიებელი .....	94





## წინათქმა

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, სან-სტეფანოს დროებითი ზავისა და ბერლინის კონგრესის შედეგების მიხედვით, რუსეთის იმპერიამ სხვა ტერიტორიებთან ერთად შემოიერთა XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის მიერ საქართველოსთვის წართმეული მესხეთის რამდენიმე პროვინცია: კლარჯეთი, შავშეთ-იმერხეთი, აჭარა, არტაანი და ოლთისი. მათმა დაბრუნებამ დღესამშობლოსთან ქართველი საზოგადოებრიობის უდიდესი სიხარული და აღტკინება გამოიწვია. ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელი პირადად გაეცნო აღნიშნულ პროვინციებს, რასაც შედეგად ქართულ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი ათეულობით პუბლიკაცია მოჰყვა. მათ შორის დავასახელებდით სოლომონ ასლანიშვილის (ბავრელი), ილია ალხაზიშვილის, ლევან მჭედლიშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, დავით წერეთლის, სერგეი მესხის, ივანე გვარამაძის, ალექსანდრე ნათაძის და სხვათა მიერ „დროებაში“, „ივერიაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებშიც მოთხრობილი და აღწერილი იყო ომის შემდეგ შემოერთებულ ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი-მამამდიანების ყოფა-ცხოვრება, რეგიონის ხუროთმოძღვრული ძეგლები და ა. შ.

ქართველთა გარდა, „ოსმალთა საქართველოს“ შესწავლის საქმეში აქტიურად ჩაებნენ სხვა ეროვნების მკვლევრებიც, რომელთა შორის იყო ცნობილი რუსი კავკასიოლოგი, ბუნებისმეტყველი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ბიბლიოგრაფი და მოგზაური ევგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმი (1845-1918 წწ.). ამ უკანასკნელმა 1878 წლის ოქტომბრის მინურულსა და ნოემბრის დამდეგს მოგზაურობა მოაწყო ახლად შემოერთებულ პროვინციებში, კერძოდ, ბათუმში, ციხისძირსა და ართვინში, რომლის შედეგებიც იმავე წელს სტატიის სახით გაგრძელებებით დასტამბა გაზეთ „Кавказ“-ში. 1901 წელს ე. ვეიდენბაუმის მოგზაურობის

დღიური სახელწოდებით „От Батума до Артуина (путевые заметки)“ შევიდა მის სამეცნიერო ნაშრომების კრებულში „Кавказские этюды (исследования и заметки)“

ე. ვეიდენბაუმის აღნიშნული ნაშრომი, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის მესხეთის ისტორიის შესწავლისთვის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს, ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ითვლება, ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი თარგმნა ქართულ ენაზე და სათანადო სამეცნიერო აპარატიურთ საზოგადოებრიობის ფართო მასებისა და სპეციალისტებისთვის გაცნობა, რათა მესხეთის პრობლემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის ხელმისაწვდომი გაგვეხადა. თუმცა, სანამ უშუალოდ წყაროს ქართულ თარგმანსა და კომენტარებს შემოგთავაზებდეთ, მიმოვიხილოთ ე. ვეიდენბაუმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ძირითად წყაროს „От Батума до Артуина (путевые заметки)“ ვურთავთ მესხეთის ისტორიისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ ინფორმაციის შემცველ ნაწყვეტებს ე. ვეიდენბაუმის კიდევ ერთი ნაშრომიდან „Путеводитель по Кавказу“ რომელიც დღესდღეობით ასევე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

## ვეგენი ვეიდენბაუმი

(ცხოვრება-მომვანოება)

ვეგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმი დაიბადა 1845 წლის 9 ნოემბერს (ზოგიერთი მონაცემით – 1846 წლის 9 ნოემბერს) სანკტ-პეტერბურგში. საშუალო განათლება სანკტ-პეტერბურგის მეხუთე გიმნაზიაში მიიღო. სწავლობდა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1871 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით დაასრულა.

კავკასიით ე. ვეიდენბაუმის გატაცება ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო – საზაფხულო არდადეგების დროს არაერთხელ იმოგზაურა ამ მხარეში, ძალიან შეუყვარდა იგი და მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება მას დაუკავშირა. მისი სადიპლომო ნაშრომიც კავკასიის თემატიკისადმი იყო მიძღვნილი: „Свод 300 географических сведений о Кавказе (Mammalia)“<sup>1</sup>.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ე. ვეიდენბაუმი ცოტა ხანს მუშაობდა ხერსონის გუბერნიის ქალაქ ნიკოლაევში სადაზღვევო კომპანია „სალამანდრა“-ს ინსპექტორის თანამდებობაზე. 1877 წლის 13 აპრილს, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის – დ. სვიატოპოლკ-მირსკის წინადადებითა და კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის – მიხეილ ნიკოლოზის ძის თანხმობით, ე. ვეიდენბაუმი სამუშაოდ კავკასიაში გადმოიყვანეს – იგი სოხუმის ოკრუგის უფროსთან

<sup>1</sup> С. А. Венгеров, Критико-биографический словарь русских писателей и ученых (от начала русской образованности до наших дней), т. V. С.-Пб., 1897, стр. 270-272; Большая Энциклопедия, под ред. С. И. Южакова и проф. П. Н. Милюкова, т. IV, С.-Пб., 1902, стр. 490; Л. Меликсет-Бекоев, Е. Г. Вейденбаум как Кавказовед, журн. „Известия Кавказского Музея“, т. XII, Тиф., 1919, стр. 2; ა. ბარამიძე, ვეიდენბაუმი ვეგენი გუსტავის ძე, ქსე, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 346; მ. გაბედავა, ო. ყორდანია, ვეგენი ვეიდენბაუმი და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 4.

არსებულ საგანგებო დავალებათა მოხელედ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მას ძალიან ცოტა ხანს მოუწია დარჩენამ – იმავე წლის 31 მაისს სამუშაოდ თბილისში, კავკასიელ მთიელთა სამმართველოში, გადმოვიდა. აქედან დაიწყო ე. ვეიდენბაუმის სწრაფი აღმასვლა სამსახურეობრივ-იერარქიულ კიბეზე: 1877 წლის სექტემბერში დაინიშნა კავკასიელ მთიელთა სამმართველოს განყოფილების უფროსად; 1881 წლის 8 იანვარს გახდა კავკასიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს განყოფილების უფროსი, მიიღო ტიტულარული მრჩევლისა და კოლეგიის ასესორის ჩინები; 1883 წელს იყო ზაქათალის ოკრუგის მთავარი სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე; 1883-1890 წლებში – მთავარმმართველის კანცელარიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს განყოფილების უფროსი; 1890 წლის 27 მაისს დაინიშნა კავკასიის სამხედრო-სახალხო სამმართველოს ნოდებრივ-საადგილმამულო ურთიერთობათა საკითხების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარედ; 1894-1900 და 1906-1912 წლებში იყო ტფილისის ოკრუგის საპატიო მომრიგებელი მოსამართლე<sup>2</sup>.

ე. ვეიდენბაუმის სამსახურეობრივი საქმიანობის შესახებ ცნობებს ვაწყდებით იმ პერიოდის ჟურნალ-გაზეთებშიც, მაგ., გაზეთ „ცნობის ფურცელი“-ს 1900 წლის 18 აგვისტოს ნომერში აღნიშნული იყო: „ბ-ნი ე. ვეიდენბაუმი, ტფილისის გუბერნიის საგლეხო სამმართველოს ნევრი, ნავიდა გუშინ გორის მაზრაში მებატონეებსა და გლეხებს შორის ამტყდარი დავის ადგილობრივ გასარჩევად“<sup>3</sup>.

1901 წლის 27 თებერვალს გაზეთ „ივერია“-ში დაბეჭდილ კორესპონდენციაში ეწერა: „მკითხველებმა იციან, რომ ამას წინად ახალციხის მაზრაში გაიგზავნენ ბ-ნი ვეიდენბაუმი და ქალანთარი, რათა ადგილობრივ გამოეკვლიათ მოუსაველობით დაზარალებულთა მდგომარეობა. ესენი უკვე დაბრუნდნენ და შაბათს, 24 თებერვალს, წარუდგინეს ვრცელი მოხსენება ახალციხის მაზრაში მინისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ ტფილისის კომიტეტის სხდომას. როგორც მოხსენებიდგან სჩანს, მცხოვრებთა უმრავლესი ნაწილი ყოველად უსახსრო მდგომარეობაშია თურმე, გაუყიდნიათ, რაც რამე გააჩნდათ, ხარი, ძროხა და სხვა შინაური პირუტყვეები და სახლებიც კი, ასე რომ, ხალხს აღარა გააჩნია-რა.

<sup>2</sup> Большая Энциклопедия, под ред. С. Н. Южакова..., стр. 490: Л. Меликсет-Бекоев, указ. труд, стр. 2-4; მ. გაბედავა, ო. ჟორდანი, დასახ. ნაშრ., გვ. 4-6. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1900, 18/VIII, № 1213, გვ. 2.

კომიტეტმა დაადგინა, გადადოს ეხლავე 6000 მანეთი მოუსავლობით დაზარალებულთა საკვებად და, აგრეთვე, სათესლედ პურისა და სხვა ხორბლეულობის შესაძენად და გამართოს ხელის მონერა და ამ გზით შეადგინოს თანხა იმათ დასახმარებლად“<sup>4</sup>.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში გლეხთა არაერთი გამოსვლა და მღელვარება მოხდა. ხელისუფლებამ არაერთხელ დაავალა ე. ვეიდენბაუმს ამ მღელვარებების მიზეზების გამორკვევა, მაგ., 1898 წელს მან გამოიკვლია გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევის გლეხების მღელვარების მიზეზები, ხოლო 1899 წლის აგვისტოში – გორის მაზრის სოფელ ტირბნისის გლეხების საჩივრის სამართლიანობა<sup>5</sup>.

1906 წელს ე. ვეიდენბაუმი, კავკასიის მეფისნაცვლის – გრაფ ი. ვორონცოვ-დაშკოვის ნარდგინებით, დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლის სენატის საბჭოს წევრად; 1907 წლიდან იყო ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის წევრი; ამავე წელს ებოძა საიდუმლო მრჩევლის ჩინი; 1911 წლიდან იყო კავკასიის მუზეუმის ახალი შენობის საამშენებლო კომისიის წევრი; 1912 წლიდან – კავკასიაში ტურიზმის ხელშეწყობის მთავარი კომიტეტის წევრი; 1917 წლის 1 იანვრიდან იყო „კავკასიის მუზეუმის“ ბიბლიოთეკის დროებითი გამგე.

ე. ვეიდენბაუმი გარდაიცვალა 1918 წლის 15 იანვარს თბილისში, ფილტვების ანთებით. იგი 20 იანვარს ლუთერანული ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს<sup>6</sup>.

გამოჩენილი მკვლევრის სამეცნიერო კარიერა შემდეგნაირად განვითარდა: 1881 წელს მან დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად თბილისში დააარსა „კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება“; იმავე წელს იყო თბილისში გამართული რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობის მდივანი; 1882 წლის 2 ოქტომბერს აირჩიეს „რუსეთის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარულთა საიმპე-

<sup>4</sup> გაზ. „ივერია“, 1901, 27/II, № 45, გვ. 2.

<sup>5</sup> С. Меликсет-Беков, указ. труд, стр. 3-4; მ. გაბედავა, ო. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 3.

<sup>6</sup> Л. Меликсет-Беков, указ. труд, стр. 3-5; მ. გაბედავა, ო. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 4-8.

რატორო საზოგადოების" ნამდვილ წევრად; 1897 წელს დაინიშნა „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის" თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 1904 წელს – თავმჯდომარედ (ამ თანამდებობაზე იგი 1916 წლამდე მუშაობდა); 1900 წლიდან იყო „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების" კავკასიის განყოფილების ნამდვილი წევრი, 1912 წლიდან კი – მისი საპატიო წევრი; 1901 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების" კავკასიის განყოფილება; 1902 წლიდან იყო „მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების" ნამდვილი წევრი.<sup>7</sup>

ე. ვეიდენბაუმი იკვლევდა ისტორიის, ეთნოგრაფიის, ბიბლიოგრაფიისა და არქეოლოგიის პრობლემათიკას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხების კვლევა-ძიების საქმეშიც. მკვლევრის მიერ გაკეთებულ ბევრ დასკვნასა და დაკვირვებას დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

ე. ვეიდენბაუმი თანამშრომლობდა არაერთ გაზეთსა და სამეცნიერო ჟურნალთან, მაგ. „Знание", „Салит-Петербургские Ведомости", „Тифлисский Вестник", „Кавказ", „Известия Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества", „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа" და ა. შ., სადაც ბეჭდავდა პუბლიკაციებს როგორც ნამდვილი გვართ, ისე ფსევდონიმებით: „Историк", „Тифлисский Сторожил", „Н. Стерн", „И. В. А."<sup>8</sup>.

ე. ვეიდენბაუმს ეკუთვნის კავკასიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილი ათეულობით ნაშრომი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოვყოფდით მონოგრაფიას საქართველოში ხიზნების ინსტიტუტის შესახებ: „Хизаны в Грузии" (Исторический очерк) (Тифлис, 1913); გარდა ამისა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ე. ვეიდენბაუმის გამოკვლევები კავკასიის ხალხებში ქვისა და ლითონის გამოყენების შესახებ. მან, პირველმა მეცნიერთა შორის, შეაჯამა ყველა ნაბეჭდი ცნობა კავკასიაში აღმოჩენილი ქვისა და ლითონის იარაღების შესახებ შემდეგ ნაშრომებში: „Замски о Кавказских каменных орудиях" (журн. „Известия Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества",

<sup>7</sup> Л. Меликсет-Бекоев. Указ. труд. стр. 3-5; მ. გაბედავა, ო. ჟორდანიას, დასახ. ნაშრ., გვ. 6.

<sup>8</sup> Большая Энциклопедия, под ред. С. Н. Южакова... стр. 490.

1875, т. 3, № 3, стр. 115-123), „Заметки об употреблении камня и металлов у кавказских народов“ (журн. „Известия Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества“, 1876, т. 4, № 3, стр. 121-147).

დიდი მონონება ხვდა წილად ე. ვეიდენბაუმის ნაშრომს: „Священные роши и деревья у Кавказских народов“ (журн. „Известия Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества“, 1878, т. 5, №3, стр. 153-179), რომელიც 1879 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა\*.

ე. ვეიდენბაუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიის, მათ შორის, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებების შესწავლისადმი მიძღვნილი „Кавказские амазонки (материалы для древней этнографии Кавказа)“, რომელიც 1872 წელს დაიბეჭდა სანკტ-პეტერბურგში გამომავალ ჟურნალში „Знание“ (№ 9-10, стр. 245-298). მასში ავტორი მიმოიხილავს პეროდოტესთან, პომეროსთან, სტრაბონთან და სხვა ძველი პერიოდის მწერალთა თხზულებებში დაცულ ცნობებს კავკასიელი ამორძალების შესახებ. ე. ვეიდენბაუმი ზემოთ აღნიშნულ წყაროებსა და სხვადასხვა ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობით შეეცადა გაერკვია, მითი იყო თუ რეალობა კავკასიელი ამორძალების არსებობის ფაქტი.

კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიის საკითხების კვლევას ეძღვნება ე. ვეიდენბაუმის კიდევ ერთი ნაშრომი: „О священном дереве „сегут““ (журн. „Известия Кавказского отдела Императорского Русского Географического Общества“, 1881, т. 7, №1, стр. 99-101); მანვე საგანგებო სტატია მიუძღვნა სახალხო ზეიმს – ყეენობას: „Кееноба (народный маскарад в Тифлисе в первый день Великого Поста)“, რომელიც დაისტამბა გაზეთში „Тифлисский Листок“ (1899, № 5).

XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების საკითხებმა ე. ვეიდენბაუმის რამდენიმე ნაშრომში ჰპოვა ასახვა, კერძოდ: XVI-XVII საუკუნეებში კახეთისა და რუსეთის სამეფოებს შორის დიპლომატიური კონტაქტები განხილულია სტატიაში „Историческая справка (о русских ратных людях в Грузии в 16 и 17 столетиях)“, რომელიც ასევე გაზეთ „Тифлисский Листок“-ში გამოქვეყნდა (1899, № 11); ნაშრომში „Московские сваты в Грузии в XVI-м

\* მ. გაბედავა, ო. ყორდანია, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

столетия" (газ. „Тифлисский Листок“, 1899, № 12; 1900, № 14) ე. ვეიდენბაუმმა შეისწავლა ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606 წწ.) რუსეთთან ურთიერთობის საკითხები. XVII საუკუნის დამდეგის სამეგრელოს სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული კათოლიკე მღვდლის ლუი გრანჟეს წერილში, რომელიც მან 1615 წლის 2 მარტს მოქვიდან გაუგზავნა იეზუიტთა ორდენის გენერალს კლოდ აქვავიას. აღნიშნული წერილი პირველად ე. ვეიდენბაუმმა გამოაქვეყნა (იხ. „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, 1915, вып. XLIV).

ე. ვეიდენბაუმმა, მეცნიერთა შორის პირველმა, გამოიკვლია რუსული დამხმარე სამხედრო კორპუსის მოქმედება საქართველოში 1769-1771 წლებში გენერალ ტოტლენბენის მეთაურობით (იხ. „Закавказский поход графа Тотлебена в 1769-1771 гг. в кн.: „Кавказские этюды (Исследования и заметки)“, Тиф., 1901, стр. 146-193); მას ეკუთვნის ნაშრომი ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობის შესახებ XVIII საუკუნის მიწურულში (იხ. „Состояние Грузии после кончины Ираклия II-го“, газ. „Тифлисский Листок“, 1899, №11).

ე. ვეიდენბაუმის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენდა ა. პუშკინის და დეკაბრისტების კავკასიაში ყოფნის ამსახველი მასალების გამოძიებულება და შესწავლა, რასაც მან არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა (იხ. „Декабристы на Кавказе“, журн. „Русская Старина“, 1903, т. СХIV, июнь; „Кавказская поминка о Пушкине“, Тиф., 1899; „О пребывании Пушкина на Кавказе в 1829 году“, в кн. „Кавказские этюды (Исследования и заметки)“, Тиф., 1901, стр. 233-260; „Пушкин на Кавказе в 1829 году“, журн. „Русский архив“, 1905, №4, апрель, стр. 675-680; „Пушкин и Тифлисская полиция“, Тиф. 1908; Кавказские знакомцы Пушкина“, С.-Пб., 1908; Несколько слов о Пушкинских местах“, Тиф., 1911).

ე. ვეიდენბაუმის სამეცნიერო მუშაობის კიდევ ერთი სფერო კავკასიაში მომხდარი ძველი საინტერესო ამბების შეგროვება და სტატიების სახით მათი გაზეთებში გამოქვეყნება იყო, კერძოდ, ამგვარი ტიპის პუბლიკაციები XX საუკუნის დამდეგს იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“ სერიით „პატარ-პატარა ამბები“. მათ რუსულიდან თარგმნიდა და დასაბეჭდად ამზადებდა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი) (იხ. „პატარ-პატარა ამბები ტფილისის ცხოვრებიდან“, გაზ. „ივერია“,



1902, 24/XII, № 276, გვ. 2-3; 1903, 11/VII, № 150, გვ. 3; 18/VII, № 152, გვ. 2; „აფხაზეთის ისტორიიდან. სიმაგრე სოუკ-სუს ალყა“, 1903, 26/II, № 45, გვ. 2-3).

როგორც წინათქმაში აღვნიშნეთ, ისტორიული სამხრეთ საქართველოს – მესხეთის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი ე. ვეიდენბაუმის „От Батума до Арвина (Путевые заметки)“ [„ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანაწერები)], რომელიც პირველად 1879 წელს გაგრძელებებით დაიბეჭდა გაზეთ „Кавказ-ში“ (№ 6-10), ესაა მეცნიერის მიერ 1878 წლის ნოემბერში მონყობილი ექსპედიციის დღიური. ე. ვეიდენბაუმი იყო ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, რომელმაც მოიხილა და აღწერა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად შემოერთებული ე. წ. „ოსმალის საქართველო“, ამდენად, მისი მოგზაურობის დღიური უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა ამ კუთხის ისტორიის შესასწავლად.

მოგზაურობა ე. ვეიდენბაუმმა ბათუმიდან დაიწყო, სადაც იგი 1878 წლის 31 ოქტომბერს ჩავიდა. რამდენიმე დღის განმავლობაში მკვლევარი ბათუმში იმყოფებოდა, საიდანაც მოაწყო ექსკურსია ციხისძირში. 4 ნოემბერს ე. ვეიდენბაუმი რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად სახმელეთო გზით ცხენებით გაემგზავრა ართვინისაკენ. ამ უკანასკნელს მოგზაურობმა 6 ნოემბერს მიაღწიეს. მომდევნო დღეს ისინი ბრტყელძირა ნავით – კაიუკით გამოემართნენ ბათუმის მიმართულებით. იმავე საღამოს ექსპედიციის წევრები ბათუმში დაბრუნდნენ.

ე. ვეიდენბაუმს მოგზაურობის დროს მთავარი გზიდან (როგორც სახმელეთო, ისე სამდინარო) არსად გადაუხვევია, რომელიმე ხუროთმოძღვრული ძეგლის ან დასახლებული პუნქტის დასათვალიერებლად საგანგებო ექსკურსია არ მოუწყვია, ამდენად, მისი დღიური ერთგვარად ერთფეროვანია – იგი აღწერს მხოლოდ იმას, რაც ართვინ-ბათუმის გზაზე ნახა; თუმცა, მეორე მხრივ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უშუალოდ ამ გზაზე არსებული დასახლებული პუნქტებისა და ღირსშესანიშნაობების აღწერილობის თვალსაზრისით ე. ვეიდენბაუმის დღიური უმნიშვნელოვანესი პირველწყაროა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო ღირებულება.

ე. ვეიდენბაუმის მოგზაურობის შედეგები შეიძლება რამდენიმე თემატურ ჯგუფში მოექცეს: 1) დასახლებული პუნქტები: ბათუმ-ართვინის გზაზე მან გაიარა და აღწერა (ან უბრალოდ მოიხსენია) შემდეგი სოფლები და დაბები: დოლოგანი, მირვანი, სიმონეთი, მაჭახლისპირი, ქვემო მარადიდი (განმარტებისათვის: ამჟამად იგი საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი ბოლო სოფელია, რომლის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია იწყება), ზემო მარადიდი, ბორჩხა, ახალდაბა, კატრია, ორჯა, ავანა, ირსა, ომანა, სინგოტი, ართვინი (ამ უკანასკნელის შესახებ საგანგებოდ ვისაუბრებთ).

ზემოთ დასახელებული პუნქტებიდან ე. ვეიდენბაუმი განსაკუთრებულ ყურადღებას ბორჩხაზე ამახვილებს – მისი თქმით, სოფელში ბევრი ორ და სამსართულიანი საცხოვრებელი სახლია; აქ არის კაიუკების ნავსადგური; ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრესი საქმიანობა აგურისა და თიხის დოქების დამზადება და ამ პროდუქციით ახლომდებარე სოფლების მომარაგებაა; კლდოვანი რელიეფის გამო ბორჩხაში მცირე რაოდენობით მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, სამაგიეროდ, კარგი ხარისხის ყურძენი მოდის და ა. შ.

2) ციხე-კოშკები, ეკლესიები და ხიდები: ე. ვეიდენბაუმი რამდენიმე მათგანზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ბორჩხის პირდაპირ, მდინარეების – ჭოროხისა და ჩხალისწყლის შესართავთან შემორჩენილია პატარა, უხეშად გათლილი ქვებით ნაგები ციხის ნანგრევები. ე. ვეიდენბაუმის აზრით, იგი ქართული უნდა იყოს. ბორჩხის მახლობლად, სოფელ ნითურეთთან, კოშკის ნაშთებია შემონახული. ადგილობრივ მოსახლეობაში დაცული გადმოცემის მიხედვით, ძველად ამ მხარეში ლაზისტანიდან ჩამოსული ორი ძმა დასახლებულა. თავდაპირველად მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ და ერთად ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ იჩხუბეს, გაიყარნენ, რის შემდეგაც ერთმა ძმამ ციხე ააშენა, მეორემ კი – კოშკი.

რაც შეეხება ეკლესიებსა და ხიდებს, ე. ვეიდენბაუმის თქმით, ბორჩხის მახლობლად, ჭოროხისა და ყალასყურის-წყლის შესართავთან, მაღალ კლდეზე, კოშკისა და ეკლესიის ნანგრევებია, რომელსაც იქაურები აზაგო-ბაშს უწოდებენ; ისტორიული ხიდები შემორჩენილია სოფელ ზემო მარადიდში, ჭოროხის და მურღულისწყლის შესართავთან და ა. შ.

3) ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ე. ვეიდენბაუმი აღნიშნავს, რომ სოფელ მაჭახლისპირში ცხოვრობს მაჭახელის უბნის

უფროსი თავადი ნერეთელი. ეს უკანასკნელი დიდი აკაკის ძმა დავით ნერეთელია, რომელიც XIX საუკუნის 80-90-იან წლებში აჭარაში სხვადასხვა თანამდებობაზე მსახურობდა, იმავდროულად, „თ. დ. ნ.“ -ის ფსევდონიმით გაზეთ „დროება“-ში აქვეყნებდა პუბლიკაციებს მაჭახლის ხეობის შესახებ.

კიდევ ერთი მოღვაწე, ამჯერად მაჰმადიანი, რომელზეც ე. ვეიდენბაუმი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას, ახმედ-ეფენდია. მართალია, მის გვარს მეცნიერი არ ახსენებს, მაგრამ ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ აქ იგი გულისხმობს ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ახმედ-ეფენდი ხალვაშს.

4) დაკვირვებები ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ენის გავრცელების შესახებ: უაღრესად საინტერესოა ე. ვეიდენბაუმის დაკვირვებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მისი თქმით, ქობულეთ-აჭარა-შავშეთის მოსახლეობა ქართულად საუბრობს; მდინარე ჭოროხის ხეობაში ქართული ენა ნაწილობრივ თურქულმა შეცვალა, თუმცა არის დასახლებული პუნქტები, სადაც თურქული ენა საერთოდ არ ესმით. მეტად საყურადღებოა მკვლევრის მოსაზრებები ამ რეგიონის გარკვეულ ნაწილში ქართული ენის გაქრობის გამომწვევი მიზეზებისა და აღნიშნული პრობლემის მოგვარების სავარაუდო შესაძლებლობების შესახებ (ამის შესახებ ქვემოთ ვრცლად იხილეთ ალექსანდრე ყიფშიძის სტატიაში. გ. ს.)

5) ართვინი: ე. ვეიდენბაუმის მოგზაურობის უმთავრეს მიზანს ართვინის მონახულება წარმოადგენდა, შესაბამისად, ამ დასახლებული პუნქტის აღწერას დღიურში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. იგი ვრცლად მოგვითხრობს ართვინის ადგილმდებარეობის, მისი მოსახლეობის, მეურნეობის, ისტორიული ძეგლების და ა. შ. შესახებ.

ე. ვეიდენბაუმის თქმით, ართვინი ძალიან ორიგინალურადაა გაშენებული მთის ფერდობზე. ქალაქის ქუჩები ვიწროა, თუმცა მოკირწყლული; ბევრია ზეთისხილის ბაღები; ართვინში მზადდება კარგი ხარისხის თუთის არაყი, სხვა სასმელები სტამბოლიდან შემოაქვთ.

განსაკუთრებით საინტერესოა ოლქის უფროსთან – „მ. პ. მ“-თან (ანუ ცნობილ ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწესთან მიხეილ პეტრეს ძე მეფისაშვილთან. გ. ს.) ვიზიტის ე. ვეიდენბაუმისეული აღწერილობა. მას ეს უკანასკნელი თანმხლებ პირებთან ერთად 6 ნოემბრის საღამოს ესტუმრა. სტუმრების პატივსაცემად მ. მეფისაშვილის სახლში ქალაქის არისტოკრატია შეიკრიბა. მათ შორის იყვნენ ართვინში ორი

ყველაზე გავრცელებული ქრისტიანული მიმდინარეობის – სომეხ-კათოლიკეთა და სომეხ-გრიგორიანელთა წარმომადგენლები. მათთან საუბრის შედეგად ე. ვეიდენბაუმმა შემდეგი ინფორმაცია მოიპოვა: ქალაქის ძირითადი მოსახლეობა სომეხი-კათოლიკეებია, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 600-800 კომლს აღწევს, შემდეგ მოდიან მაჰმადიანები (ანუ ქართველები) – 500 კომლი და სომეხი-გრიგორიანელები – 100 კომლი.

ართვინელი სომეხები ატარებენ ევროპულ ტანსაცმელს; ყველა მათგანი საუბრობს სომხურად; ქალაქში 3 კათოლიკური, 1 გრიგორიანული ეკლესია და 4 მეჩეთია; თავიანთი ისტორიის შესახებ ართვინელმა სომეხებმა თითქმის არაფერი იციან, გარდა იმისა, რომ წარმომავლობით ანისიდან არიან, შემდეგ მათი წინაპრები გადასახლდნენ მურღულის ხეობაში, იქიდან კი – ართვინში; სომეხების ძირითადი საქმიანობა ვაჭრობაა. მათ ბათუმიდან და სტამბოლიდან შემოაქვთ უცხოური საქონელი, რომლის რეალიზაციას ართვინში, არდაგანსა და ყარსში ახდენენ.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 70-90-იან წლებსა და XX საუკუნის დასაწყისში ართვინის აღწერილობა არაერთი მეცნიერის ნაშრომებში გვხვდება (მათ შორის დავასახელებდით გიორგი ყაზბეგის, სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის, ივანე ჯაიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ლევან მჭედლიშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა პუბლიკაციებს)<sup>10</sup>, თუმცა აქვე

<sup>10</sup> გიორგი ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ნაშრომი თარგმნეს, შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა, ბათ., 1995; სოლომონ ასლანიშვილი (ბავრელი), ახალი ქვეყნის ამბები (ლივანის დედაქალაქის ართვინის მდებარეობა. მცხოვრებლების დახასიათება. თათრული და სომეხური სკოლები. ართვინის ძველი ციხე), გაზ. „დროება“, 1879, 23/1, № 17, გვ. 1-3; 24/1, № 18, გვ. 1-3; მისივე, მაჰმადიან საქართველოში (ყოფა-ცხოვრება ახლად შემოერთებულ არტანუჯში, არტანუჯში, ართვინში, შავშეთში და აჭარაში), გაზ. „დროება“, 1879, 8/X. № 202, გვ. 1-3; ივანე ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, შეადგინა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბ., 1991; Д. Бакрадзе, Об археологической посылке, совершенной в 1879 году, по поручению Ахалемской Наук, в Чорохский бассейн, в Батум, Артвин и Артанудж, журн. „Записки Императорской Академии Наук“, том 37, кн. 1, С.-Пб., 1880, стр. 47-50; ლევან მჭედლიშვილი („მ-ვილი“), ომის დროს მოგზაურობა ოსმალის საქართველოში, გაზ. „დროება“, 1881, 8/XII, № 257, გვ. 1-2; ზაქარია ჭიჭინაძე („ზ. ჭ.“), წერილი შავშეთიდან; ართვინი, 15 აგვისტო (მდებარეობა. მცხოვრებლები. ქართველ კათოლიკეთა მიერ ქართული ენის დავინწყება. სიძველეები), გაზ. „ივერია“, 1901, 13/IX, № 98, გვ. 3-4.

მიუთითებთ, რომ ე. ვეიდენბაუმის დღიური თავისი მნიშვნელობით არცერთ მათგანს არ ჩამოუვარდება.

1901 წელს თბილისში გამოიცა ე. ვეიდენბაუმის მიერ სხვადასხვა დროს დაბეჭდილი ნაშრომების კრებული სახელწოდებით „Кавказские этюды (исследования и заметки)“. მასში დაბეჭდილი იყო „ბათუმიდან ართვინამდე-ს“.

„Кавказские этюды-ს“ გამოსვლას სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებრიობის ფართო მასებში უაღრესად დადებითი რეზონანსი მოჰყვა, ჟურნალ-გაზეთებში არაერთი რეცენზია დაიბეჭდა, მათ შორის განსაკუთრებულად გამოვყოფდით გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელი) და ვინმე „М-ნი-ის“ გამომხაურებებს.

აი, რას წერდა ალ. ყიფშიძე (ფრონელი) გაზ. „ცნობის ფურცლები“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში (ავტორის სტილი დაცულია – გ. ს.): „ამ დღეებში ტფილისში დაიბეჭდა მეტად საინტერესო და საყურადღებო ნიგნი, რომელსაც ეს სათაური აქვს: „Е. Г. Вейденбаум. Кавказские этюды. Исследования и заметки“.

ბ-ნი ე. ვეიდენბაუმი დიდი ხანია ცნობილია, როგორც ერთი საუკეთესო, გონიერი და დაკვირვებული მცოდნე კავკასიის სხვადასხვა ტომთა ისტორიისა და ეთნოგრაფიისა. მისი მრავლად ნაწერი თხზულებანი აქნობამდის გაბნეული იყო სხვადასხვა ჟურნალებსა და დროგამოშვებით გამოცემებში და მხოლოდ ეხლა ზოგიერთი მათგანი შეუკრებია ავტორს და დაუბეჭდია ერთ ნიგნად, რაიც საშუალებას მისცემს მკითხველს ერთბაშად ნაიკითხოს და ნამდვილი სიამოვნება მიიღოს. ნიგნში სულ 16 წერილია შეკრებილი. რომელი წერილიც გნებავთ, ის აიღეთ და გადაიკითხეთ. კითხვის დროს უეჭველად იგრძნობთ, რომ საქმე გაქვთ დარბაისელ მწერალთან, რომელსაც ჭირივით ეჯავრება სიტყვების რახა-რუხი და რომელიც მოკლედ და თან სავსებით მოგიტხრობთ ნამდვილს ფაქტს.

ქართველ მკითხველისთვის განსაკუთრებულად საყურადღებოა შემდეგი წერილები: ა) მგზავრის შენიშვნები ბათუმიდან ართვინამდე; ბ) გრაფ ტოტლებენის ლაშქრობა; გ) პირველი ქართული გაზეთი და დ) ვ. ტ. ნარეჟი და მისი „კავკასიის რომანი“. უკანასკნელი წერილი ჩვეულებრივ, მოკლედ გადმოგვცემს შინაარსს რომანისას, სადაც მოთხრობილია ფარულად ნეტარსხენებულის გენერლის კნორინგის და კოვალენსკის დევ-გმირობანი, მათი აღვირ-აშვებული საქციელი და

უსამართლობანი, მიმართული ქართველებისადმი: ჩვენ არ გვეგულება ისეთი მკითხველი, რომელსაც არ სმენოდეს კნორინგისა და კოვალენსკის სახელები და ამისათვის მათ შესახებ ლაპარაკს არ გავაგრძელებთ. არ ვილაპარაკებთ, აგრეთვე, ტოტლებენის ლაშქრობისა და პირველი ქართული გაზეთის შესახებ. მკითხველს ვურჩევთ პირდაპირ თვითონ წიგნს მიჰმართოს და გულდასმით გადაიკითხოს ტოტლებენის გმირობანი და გაითვალისწინოს ის უბედური დრო, როდესაც ტოტლებენი პარპაშობდა ჩვენში და სულს უმღვრევდა დიდსულოვანს მეფეს ირაკლი მეორეს. ამისათვის მარტო ასპინძის ომის გახსენებაც კმარა...

ამჟამად ჩვენი სურვილია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მკითხველისა „მგზავრის შენიშვნებს ბათუმიდან ართვინამდე“. ამ წერილში გამოთქმული აზრი ნათელსა ჰყენს ამ სამნუხარო მოვლენას, რომელსაც ეხლაც ვხედავთ გამაჰმადიანებულ საქართველოში, სადაც ჩვენ თვალწინ ჩვენი ღვიძლი ძმები დღითი-დღე სამშობლო ენას ივინყებენ და ნამდვილად „თათრდებიან“. მაგრამ თვით ავტორს მოვუსმინოთ. ამას კი ნუ დაივინყებთ, რომ წერილი დანერილია დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნამესტნიკის დროს.

„ქართული ენა ბატონობს ქობულეთსა, აჭარასა და შავშეთში. ჭოროხის ხეობაში, მართალია, ქართულსაც ხმარობენ, მაგრამ, ალაგ-ალაგ უკვე შეუბღალავთ, ზოგიერთ ადგილს კი შეუცვლიათ ოსმალურის ენით. ხალხთან ურთიერთობის დაჭერის დროს რუსული ენის ხმარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, ამის გამო ადმინისტრაცია იძულებული იქმნება იხმაროს ოსმალური ან ქართული ენა“.

მკითხველს ხელმეორედ მოვაგონებთ, რომ ავტორს უმოგზაურია 1878 წელს, ე. ი. ომის გათავების შემდეგ, როცა საქართველოს ის იყო შემოუერთდა სამშობლოს ერთი მონყვეტილი კუთხე. „იქ, – განაგრძობს ბ-ნი ვეიდენბაუმი, – საცა ოსმალური არ ეყურებათ (ასეთი ადგილები ჯერ კიდევ მოიპოვება), ხმარებაში იქნება, რასაკვირველია, ქართული. მაგრამ იქაც კი, სადაც ხალხს ოსმალური ეყურება, ჩემის აზრით, ოფიციალურ ენად ქართული უნდა გახდეს. ქართულის დავინყება მაშინ დაიწყოს, როცა ოსმალოს მფლობელობის დროს მთავრობის მოხელეობამ ხალხს ოსმალურად დაუნყო ლაპარაკი და ზიზლით უყურებდა ქართულს, როგორც არა მუსულმანურს, ასე რომ თვით სახელწოდება „ქართველი“ სასირცხვილოდ შეიქმნა. მაშასადამე, უკეთუ ეხლა მოხელეობა ხელახლა ქართულად დაიწყებს ლაპარაკს, ხალხიც ძალაუნებურად გაიხსენებს

ძველს სამშობლო ენას და დაიწყებს ამ ენით ლაპარაკს. ეს კი დიდმნიშვნელოვანი საქმეა. ქართული ენის აღდგენა განაახლებს ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ მთლად არ ჩამქრალს მოგონებას საქართველოსთან ეროვნული ერთობისას და, მამასადამე, მკვიდრნი ზნეობრივ საქართველოსკენ იწყებენ ლტოლვას, როგორც ეხლა მიილტვიან ოსმალეთისაკენ, რომელთანაც მათ აერთებს ენა და სარწმუნოება. შემდეგ ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ხალხის წარმოდგენით და გონებით ოსმალური ენა და მუსულმანობა განუყრელია და ერთსა და იგივეს ნიშნავს, როგორც ქართული ენა და ქრისტიანობა განუყრელია ხალხის გონებაში. მამასადამე, ქართულის ენის აღდგენით გასწყდება და მოისპობა ერთი იმ კავშირთაგანი, რომელიც მკვიდრს აერთებს სამუსულმანო იდეასთან. მე არ ვამბობ, რომ ქართული ენა ძალდატანებით შევიტანოთ. მე მსურს მხოლოდ, რომ როცა მთავრობის მოხელენი დაისაჭიროებენ ხალხთან საქმე იქონიონ, ან სიტყვით, ან წერილობით ელაპარაკონ ხალხს ქართულად. ეს საკმარისი იქნება. თუ ქართულის დავიწყება მოხდა იმის გამო, რომ ოსმალის ბატონობის დროს საჭიროება აღარ იყო ამ ენისა, ეხლა აგრეთვე აღსდგება ეს ენა, როცა მკვიდრი მოისმენს და გაიგონებს ქართულს თავის უფროსებისგან. რაც უნდა იყვეს, ქართულიდან რუსულზე გადასვლა თავის დროზე უფრო ადვილი იქნება, როგორც ქრისტიანული ენიდან ქრისტიანულზევე, ვიდრე ოსმალურიდან რუსულზე, რადგან ეს ორი ენა ხალხის თვალში წარმოადგენს სარელიგიო იდეას.

ყველაზე ნმინდად და ხელშეუხებლად ქართული შენახულა ქობულეთსა, აჭარასა და მაჭახელაში, ე. ი. იმ ადგილებში, საცა ოსმალეთის მთავრობას ნაკლები ფაქტობრივი უფლება ჰქონდა და განაგებდა ქვეყანას ადგილობრივი ბეგების შემწეობით. ეს გარემოება უპირველესი დამტკიცებაა იმისი, თუ რა დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს ხალხზე იმ ენას, რომელზედაც მოხელენი ლაპარაკობენ. ეს საგანი მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანია და უნდა განხორციელდეს სიფრთხილით და რაც შეიძლება მალე, რადგან ოსმალური ენა ვრცელდება მეტად სწრაფად. აღარ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომა, რომელიც მოგვივიდა 1829 წელს, ახალციხის მაზრის შემოერთების დროს. ჩვენ არ ვიცოდით მაშინ, ან დავივიწყეთ, რომ მაზრაში ბევრია გამაჰმადიანებული ქართველი და რადგან ესენი ოსმალეზად ჩავთვალეთ, ლაპარაკიც ოსმალურად დავუწყეთ. შედეგიც მალე აღმოჩნდა: ქართული ენა გაჰქრა უკვალოდ და ჩვენც იძუ-

ლებული ვართ ყოველთვის, ოსმალეთთან ომის დროს, შიშს ქვეშ ვიყვნეთ - ვაითუ ჩვენმა მოსამზღვრე გამაჰმადიანებულმა ხალხმა გვიღალატოსო.

დიდად საჭიროა, აგრეთვე, რომ მალე გაიმართოს პირველდანიყებითი სკოლები, სადაც საგნებს ქართულად უნდა ასწავლიდნენ. ჩვენთვის საბედნიერო გარემოებად უნდა ჩაითვალოს ისა, რომ ამ ოლქში მაჰმადიანი სამღვდელეობა, როგორც ეტყობა, მრავალი არ არის და აგრე ერთგულად და მხნედ ვერ ასწავლის ბავშვებს ყურანის კითხვას. მაგრამ ეგეზის ამ მხრივ მე ვცდები. მ-მა<sup>11</sup> გვიამბო, რომ დიდშაბათს, სალამოს, მკვიდრნი აქნობამდინ ჩვეულებრივ იკრიბებიან დანგრეულ საყდრებთან და სანთლებს ანთებენო...“

სიტყვა-სიტყვით მოყვანილს ადგილს ნერილისას ბევრი განმარტება აღარ ესაჭიროება. დედააზრი ისე ნათელია, ისე მკაფიოდ და სახელმწიფო საჭიროების შეგნებით არის გამოთქმული, რომ უკეთესის სურვილი უმადურობა იქნებოდა. ქართველებს ფიზიკურ სიზანტესთან ერთად ჭკუაგონების სიზანტეცა გვჭირს. რაც შორიდან მოსულმა კაცმა ასე გარკვევით შეიგნო, ჩვენ დღესაც არ შეგვიგნია. საბუთის მოსაყვანად შორს არ დაგვჭირდება წასვლა. წარსულ კვირას სოფელ ტოლოშიდან (ახალციხის მაზრა) ნერილი იყო დაბეჭდილი „ივერიაში“ გიგო შატბერაშვილისა, რომელიც მასწავლებლობს სოფელ ტოლოში. მერე იცით რას სწერს ბ-ნი შატბერაშვილი? აი, რასა: სოფელ ტოლოში სცხოვრობს 14 კომლი ქართველი და 13 კომლი თათარიო. ნამდვილად კი ასეა - სოფლის მკვიდრნი მელიქიძენი და ნადირაძენი, ნახევარი მართლმადიდებელნი და ნახევარი მუსულმანები არიან. ნუთუ სარწმუნოება ეროვნებას გამოუცვლის კაცსა? განა გიგო შატბერაშვილმა ხვალ ლუტერანობა რომ მიიღოს, გაგერმანელდება? არა გვეგონია. რაც ასე ადვილად შეითვისა ბ-ნმა ვეიდენბაუმმა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ვერ შეგვითვისებია ჩვენ, სწავლა მიღებულ ქართველებს და ჩვენ მთავრობის მოხელეებთან ერთად ვიმეორებთ იმავე შეცდომას, რაც ჩაუდენიათ 1829 წელს და რამაც ასე მწარე ნაყოფი მოიტანა. ახალციხის მაზრაში მართლა ქართული ენა ნელ-ნელა ჰქრება. აქ მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ჰფეთქავს სამესხეთოს ენა აწყურიდან დანყებული მტკვრის შეყოლება, ასპინძამდე და

<sup>11</sup> აქ დასახელებული „მ“ არის მიხეილ პავლეს ძე მეფისაშვილი - მაშინდელი ართვინის ოლქის უფროსი. დღეს ახალციხეს სცხოვრობს (ალ. ყიფშიძის შენიშვნა).



ფოცხოვის შეყოლება ბენარამდე. ქვაბლიანმა კი სავსებით დაივინყა ჩვენს დროს ქართული ენა, როგორც ბ-ნო ვეიდენბაუმი ბრძანებს. ენის დავინყებას და ქართველის სახელის გათახსირებას ეხლაც დიდად ვუმართავთ ხელს. ანყურის სკოლის მასწავლებლებად ყირიმიდან იწერენ ყმანვილ კაცებს, რომელნიც ისე სდევნიან ძველ ქართულ გვარებს, როგორც მშიერი მგელი პირუტყვსა, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ როდესმე, მხოლოდ ამ ხანად ქართველობამ ეს კარგად შეიგნოს, რომ თუ რაიმე ღონე არ ვიღონეთ, ეს მშვენიერი კუთხე მალე ხელიდან გამოგვეცლება. თუ აქამდისინ ქართული სრულიად არ მოსპობილა, ამისი მადლიერნი უნდა ვიყვნეთ ახალციხელი ებრაელებისა...

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთს გარემოებას: ბ-ნს ვეიდენბაუმს მტკიცე სინამდვილით აქვს საყურადღებო წიგნში ნახმარი სხვადასხვა სახელწოდებანი ჩვენის ადგილმდებარეობისა. ეს ძვირი მოვლენაა და ამისათვის ძვირფასი. სხვა წიგნებში ჩვენებური სახელები სულ დამახინჯებულია ხოლმე<sup>12</sup>.

ჟურნალში „Кавказский Вестник“ დაბეჭდილ რეცენზიაში ვინმე „М-ნი“ ე. ვეიდენბაუმის მოგზაურობის დღიურის „ბათუმიდან ართვინამდე (მგზავრის ჩანანერები)“ შესახებ აღნიშნავდა:

„Центральная книжная торговля в Тифлисе предприняла под общим названием Кавказоведение издание целой серии статей, посвященных исследованиям по истории, этнологии, географии и литературе Кавказского края. В издании, судя по предисловию, войдут исследования и заметки, разбросанные по изданиям ученых обществ, журналам и газетам. Извлечение их из журналов и газет и снабжение, в случае надобности, примечаниями, по словам издателей, принял на себя Е. Г. Вейденбаум. Цель издания — притти на помощь лицам, интересующимся тою или другою отраслью кавказоведения и дать им возможность пользоваться журнальными и газетными материалами, иногда неизвестными даже и специалистам. Намеченному изданию кавказоведы будут очень рады, это действительно облегчит работу исследователям Кавказа, а потому нельзя не приветствовать такого рода издания.

Первый том кавказоведения уже вышел и заключает в себе исследования и заметки самого Е. Г. Вейденбаума в таком порядке: 1) Большой Арарат и

<sup>12</sup> აღ. ყიფშიძე, საყურადღებო წიგნი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, 21/IV, № 1442, გვ. 2-3.

попытки восхождения на его вершину (стр. 1-68); 2) Священные рощи и дсрвья у кавказских народов (69-100); 3) От Батума до Артвина (путевые заметки 101-145); 4) Закавказский поход графа Тотлебена в 1769-1771 гг. (146-193); 5) Граф Павел Сергеевич Потемкин (194-215); 6) Ермолов и Паскевич (216-232); 7) О пребывании Пушкина на Кавказе в 1829 г. (233-260); 8) Арест Грибоедова (261-267); 9) Александр Бестужев на Кавказе (267-274); 10) Кавказ в русской поэзии (274-281); 11) Полковник Ф. И. Гейс (281-289); 12) Бергенгейм и Гордсев (289-298); 13) Первая грузинская газета (298-303); Первая газета (298-303); 14) В. Т. Нарезный и его кавказский роман (303-308); 15) „Проделки на Кавказе“ (308-320)...

Статья „От Батума до Артвина“ представляет заметки географического и этнографического характера, набросанные автором в 1878 г. во время пути из Батума в Артвин и обратного плавания в каяке по Чороху. В то время, когда статья эта была написана, только что присоединенный край мало был известен и автору то и дело приходилось исправлять сведения, существующие в литературе предмета, и в особенности указать ошибки имеющейся тогда пятиверстной карты названного края. Но главный интерес этой статьи заключается в верности взгляда автора относительно народностей и языка, на котором власти должны обращаться к ним.<sup>13</sup>

ნინამდებარე წიგნში დანართის სახით წარმოდგენილია ცნობები მესხეთის ზოგიერთი პროვინციის, დასახლებული პუნქტისა და ხუროთმოძღვრული ძეგლის შესახებ, რომლებიც დაცულია ე. ვეიდენბაუმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, 434-გვერდიან ნაშრომში სათაურით „Путеводитель по Кавказу, с 12 рисунками и дорожною картою“ იგი 1888 წელს დაიბეჭდა თბილისში რუსულ ენაზე და დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა კავკასიის შესახებ საუკეთესო გზამკვლევად. პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის თქმით, „Это издание до настоящего времени является... лучшим из всех общизвестных путеводителей по Кавказу, по справедливости говоря, может быть названо „Всинамином“ всех писаний Е. Г. Вейденбаума“<sup>14</sup>.

<sup>13</sup> Жург., „Кавказский Вестник“, Тифлис, 1901, № 9, стр. 142-143, 146.

<sup>14</sup> Л. Меликсет-Беков, указ. труд, стр. 6.

თვითონ ე. ვეიდენბაუმი ნაშრომის შექმნის მიზნებისა და ამოცანების შესახებ შესავალში აღნიშნავდა: „Настоящий труд исполнен по поручению и по указаниям главноначальствующаго гражданскою частью на Кавказе генерал-адъютанта князя Дондукова-Корсакова.

Изданием этого Путеводителя князь Александр Михайлович имел в виду удовлетворить давно сознаваемой потребности в такой книге, которая могла бы служить руководством для посещающих ту или другую часть Кавказа и, вместе с тем, заключала бы все необходимые сведения для желающих ознакомиться, хотя бы в кратких чертах, с природою, населением и историею всего Кавказскаго края. С этою целью предлагаемая книга разделена на две части: первая заключает в себе общее обозрение целаго края, вторая – описание главнейших его пунктов, расположенное по маршрутам.

Сознавая лучше чем кто-либо все недостатки и несовершенства своего труда, составитель надсется на снисходительность к нему читателей, в виду того, что это есть первый в литературе опыт систематическаго обозрения Кавказскаго края во всей его совокупности”.<sup>15</sup>

მესხეთის აღწერას ჩვენ ვხვდებით შემდეგ მარშრუტებზე: ა) ნოვო-როსიისკი – ბათუმი – არტანუჯი (კერძოდ, აქ დაცულია ცნობები ართვინისა და არტანუჯის შესახებ)<sup>16</sup>; ბ) ბათუმი – ტფილისი – ბაქო (აღწერილია ანყური, ახალციხე, აბასთუმანი, საფარა, ზარზმა, ხერთვისი, ახალქალაქი, ვარძია, არტაანი და ოლთისი)<sup>17</sup>.

„Путеводитель по Кавказу“-ს გამოსვლას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა სპეციალისტთა, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო წრეების, მხრიდან. იმავე 1888 წელს ინგლისურ ჟურნალში „The Academy“ (№ 861) დაიბეჭდა პროფესორ ჯ. მორფილის რეცენზია, რომელიც მოგვიანებით ცნობილმა ქართველმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ სტიფანე ჭრელაშვილმა (1857-1917 წწ.) თარგმნა და გამოაქვეყნა გაზეთ „ივერია“-ში სახელწოდებით „რუსული გზა-მარჯვენებელი კავკასიისა“. პროფ. ჯ. მორფილი აღნიშნავდა (მთარგმნელის სტილი დაცულია – გ. ს.): „ეხლა, რაკი კავკასიის ადგილმდებარეობას თანდათან ყურადღებით ვაკვირდებით, შეგვიძლიან გულიანად მივესალმით ასეთ სრულ გზა-მარჯვენებელ

<sup>15</sup> E. Вейденбаум, Путеводитель по Кавказу. Тифлис, 1888, стр. 3.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 366-367.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 378-384.

ნიგნს, როგორც არის თხზულება ბ-ნ ე. ვეიდენბაუმისა, თუმცა იგი დაბეჭდილია რუსულს ენაზე, რომლის შესწავლაც, საუბედუროდ, ასე ნაკლებ არის გავრცელებული. ჯერ ინგლისელნი მოგზაურნი, შედარებით რომ ვსთქვათ, ნაკლებ დაიარებიან ამ ტურფა მხარეს. წლითი-წლობით კი ვხედავთ, რომ იმათი რიცხვი მატულობს და კავკასია თავისის დიდებულის ადგილმდებარეობით თანდათან იზიდავს იმათ; იზიდავს კავკასიის საკვირველი მთები, იალბუზი და ყაზბეგი, რადგან თითოეული მათგანი უმაღლესია მონბლანზე; იზიდავს იმისი სურათიანი, ლამაზი სოფლები და იმისნი საოცარნი მცხოვრებნი. ჩვენ სასიამოვნოდ დაგვრჩა, რომ ავტორს არ დავინწყებია და მოჰყავს ცნობა, რომ ამ მთებზე ავიდნენ ინგლისელნი ბ-ნნი ფრემფილდი, მური და ტუკერი.

ტფილისი ერთი დასურათებული და ულამაზესი ქალაქია დედამიწის ზურგზე და ცნობილია თავისის ყოვლად საკვირველის ისტორიით. ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს, რომ თავიანთი უნარჩინებულესი და მომაჯადოებელი ლექსები რუსეთის პოეტებმა – პუშკინმა და ლერმონტოვმა უძღვნეს ამ ადგილებს.

ბ-ნ ვეიდენბაუმის თხზულება სრულია და კარგადაა შედგენილი. პირველი ნაწილი შეიცავს აღწერას კავკასიისას და გვაძლევს დანვრელებით ანგარიშს მთებისას, მდინარეებისას, ჰავისას, ფლორისა და ფაუნისას. აღწერილია, როგორ იჭერდა რუსეთი თანდათან ამ მხარეს, როგორ შემოდრიოდნენ ახლად გადმოსახლებულები. აღწერილია, აგრეთვე, მიურიდიზმი დალესტანისა და, აგრეთვე, შამილის ომები მას შემდეგ, რაც პირველად გამოცხადდა შამილი, როგორც წინასწარმეტყველი და ბელადი თავისის ხალხისა, ვიდრე ჩავარდებოდა გუნბთან თავად ბარიათინსკის ხელში 1859 წელს. ბ-ნი ვეიდენბაუმი შემდეგის სიტყვებით აბოლოვებს: „ასე გათავდა გამუდმებული ომი კავკასიისა. ვრცელი ადგილი ყუბანის უკან, რომელიც დიდის ხნის განმავლობაში იყო თეატრად სისხლისა და შეუპოვარის ბრძოლისა, შეიქმნა რუსეთის საკუთრებად. 1861 წლიდამ 1864 წლამდე ამ ადგილას გაიმართა 111 სტანიცა ყაზახებისა, რიცხვით 14 233 სახლობა. თანახმად ოფიციალურ ციფრებისა, რომელიც ნამდვილზე მუდამ ნაკლებია ხოლმე, 1858 წლიდამ ვიდრე 1865 წლამდე გადმოსახლებულთა რიცხვმა აინია 470 000 სულამდე“.

ეთნოლოგიურ ნაწილში ავტორი გულდასმით არკვევს სხვადასხვა ენებს კავკასიისას მათის ოჯახობრივის ჩამომავლობით. ბ-ნმა ვეიდენბა-

უმმა ბევრში გამოიყენა ბარონ უსლარის შრომა, რომელიც ნამეტნავად ლეკურ ენის შესახებ არის ძვირფასი და არც უსაბუთოდ ამბობს, რომ უსლარი კავკასიის ფილოლოგიის კოლუმბი არისო. საკმაოდ ნათლად მოგვითხრობს ქართულ ენაზე, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოა, მეტადრე ის ქართული ენა, რომელზედაც დღეს არის ქართული მწერლობა ათას წლისაზე უძველესი. მეგრულმა ენამ უკვე მიიქცია ყურადღება პროფესორ ცაგარელისა და ჭანების (ლაზების) ენა აღწერილია ბ-ნ ბაქრაძის მიერ. ამ ორის წლის წინად ტფილისში დაიბეჭდა ძალიან საინტერესო ნიგნი შესახებ სევანეთისა ბ-ნ კანევსკის მიერ და პქვიან სახელად „Лيونимытые языки Кавказа“. სევანები არიან ის ხალხი, რომელსაც სტრაბონი უწოდებდა „სოანებს“. სტრაბონმა აღწერა მთელი ეს ქვეყანა და სამართლიანად ამბობს ქართველებზე: ქართველები ძალიან ლამაზი, ახოვანი, სრული და ტანადი ხალხიაო.

ოსების ენა საინტერესოა, როგორც მივარდნილი შტო არიელთა ოჯახობისა, და კარგადაც არის შესწავლილი ამ უკანასკნელ დროებში რუსებისა და გერმანელების სწავლულთაგან. კავკასიის ენები, რაც გინდ ერთმანეთში არეულები იყვნენ, ცხადია, რომ ოთხს უმთავრესს ოჯახს ეკუთვნიან: არიელთა, ქართველთა, ლეკთა და თათართა ოჯახებს. ჩამომავლობით კავკასიის მკვიდრნი ეკუთვნიან ორს უმთავრესს შტოს კაცთა ნათესაობისას – კავკასიელთა შტოს, თუ ვიხმარებთ უწინდელ სახელწოდებას ბლიუმენბახისას, და მონგოლთა შტოს. ვისაც უნახავს ჩინებული მუზეუმი ტფილისისა, ადვილად მოიგონებს ეთნოლოგიურ ჯგუფთა, რომელიც იქ წყობ-წყობად ჩამომწკრივებულია. ბ-ნ ვეიდენბაუმს თვისის თხზულების პირველ ნაწილში ჩაურთავს ძვირფასი სტატისტიკური ცნობები.

„გზა-მაჩვენებლის“ მეორე ნაწილში აღნიშნულია უმთავრესი გზები და მოკლედ არის აღწერილი ქალაქები და სამხედრო სადგურები. რასაკვირველია, ტფილისის აღწერას კარგა დიდი ადგილი უჭირავს ნიგნში. თუმცა ამ ქალაქში ცოტაღა გადარჩენილა წარსულ დროთა ნაშთი, შემდეგ მრავალგზობითის აოხრებისა თურქთა და სპარსთა მიერ, მაგრამ მაინც ტფილისში უნდა ვეძებოთ ისტორია საქართველოსი, როგორც ერისა, ნაციისა. ბ-ნი ვეიდენბაუმი ვრცლად მოგვითხრობს მცხეთის ნაშთებზე, აგრეთვე, გელათისა და ვარძიისაზე, ვარძიამი ნახატს თამარ დედოფლის სურათზე. აგრეთვე ჩინებულად აღწერია სომეხთა

მონასტერი ეწმიაძინისა. ძვირფასია მისი მოკლე აღწერა საქართველოს ისტორიისა, რომელიც ასე ნაკლებად იციან ინგლისელებმა. თუმცა გულითად სამწუხაროა ამ ძველისძველი მონარქიის დამბობა, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვაგინყდეს, რომ თუ რუსეთს არ შეუერთდებოდა საქართველო, აქამდის ერთიან დაიქსაქსებოდა. მაგალითად, შეხედებით სპარსეთში მთელს თემობას, დასახლებულს ქართველების მიერ, რომელნიც მიუდიოდათ მუსლიმანთა ხელმწიფეებს სწორედ იმგვარად, როგორც ნაამბობია დაბადებაში ერთა გადასახლება. ბ-ნმა ბაქრაძემ დაბეჭდა რუსულს ენაზე რიგიანი ისტორია ტფილისისა.

ჩვენს ავტორს არ დაეინყებია და იხსენიებს ძვირფას ქვას, რომელიც 1867 წელს უპოვნიათ მცხეთასთან და დღეს ინახება ტფილისში. წარწერა ბერძნული აქვს. წელი აწერია 75 და მოგვითხრობს, როგორ აუშენა იმპერატორმა ვესპასიანემ სიმაგრენი მითრიდატს ივერიის მეფეს, ძესა ფარსმანისა და ჯამაზდისას, მეგობარს რომის იმპერატორისა და რომის ხალხისას. იქნება ზოგმა ჩვენმა მკითხველთაგანმა მოიგონოს შენიშვნა ფარსმანზე ტაციტუსის მატინის მეექვსე წიგნიდამ. ეს არის ერთადერთი რომაული წარწერა, რომელიც იპოვნეს ამ ქვეყანაში. მაგრამ მთელი მინა-წყალი კავკასიისა დაჩრდილულია კლასიციზმით, თუ გავბედავთ და ვიტყვი ამ სიტყვას. ამას მონობს ძველებური მხატვრობა მუზეუმისა; ხოლო ეს მხატვრობა ერთობ უძველესია. რიონს, უწინდელს ფაზისს, გადაყავართ მედეას და არგონავტების დროებაში, და რა გულით გვინდა დავიჯეროთ, რომ მედეა დაბადებულია ქუთაისში, როგორც თქმულება გვეუბნება! მაგრამ ედგარ პო მეტად მართალია, როდესაც იმღერის: „მეცნიერებავ! შენ ხარ ნამდვილი შვილი ძველის დროისა და შენის გამჭირახის თვალთ ფერს უცვლი ყოველ საგანსა“.

წიგნი შემკულია მრავალი საინტერესო სურათებით. ამ თხზულებას შეედრება მხოლოდ „ყირიმი და ამიერკავკასია“ კომანდირის ბუხან ტელ-ფერისა, დაბეჭდილი 1876 წელს, ხოლო ტელფერის წიგნი უფრო ნაკლები ცნობებია და უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტ და ყბედობის კილოზეა დაწერილი. ბ-ნ ვეიდენბაუმის წიგნი რომ გადმოითარგმნოს, უეჭველია, უფრო მეტს მოგზაურს აღუძრავს სურვილს ამ საუცხოვო ქვეყნის ნახვისას და მის მკვიდრთა გაცნობისას. კავკასიელთა შორის ყველაზე უწინარეს უნდა დავასახელოთ სტუმართმოყვარე ქართველები, რომელნიც სათავეში დგანან გონებითის შემოქმედებით და შეუძლიათ თავი მოიწონონ თავიანთის განვითარებულისა და საინტერესო ენით. ქართველობა ლამა-

ზი ხალხია, როგორც ერთის საუკუნის წინ ამბობდა გიბბონი, და მათი შვეთვალწარბა ქალები გაგონებთ რუსი პოეტის ბენედიქტოვის ლექსებს: „ბაგენი შენნი მოჰფენენ მიდამოს ყოველგვარს ნეტარებას ბოსფორისას და ამასთანავე შხამსა სიყვარულისას“.

არ არის დავინწყებული არც ჩინებული კახური ლეინო, შემკული მრავალ ქართულ სიმღერაში. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით რეკლიუსს, რომელიც თვის „მსოფლიო გეოგრაფიაში“ ამტკიცებს, ვითომ ქართველების უმეტესობას პირისახე დანითლებული ჰქონდეს ბევრის სმისგან!

ტფილისი, რომელსაც თანდათან ემატება მნიშვნელობა, რაც რუსეთისა შეიქმნა, იმედია, უფრო დიდს ადგილს დაიჭერს, რადგან სძევს ერთს უმთავრესს გზაზე ინდოეთისა და შორს აღმოსავლეთისაზე. ჩვენ უკვე შეგვიტყვია, რომ სამარყანდში გაიყვანეს რკინიგზა, და ამ სახით შუა აზია დღე და დღე მისავალი ხდება ეთნოლოგებისა და ფილოლოგებისათვის, როგორც ვხედავთ რუსულ აღმოსავლეთის საზოგადოებათა ჟურნალებიდან.

ბ-ნმა ვეიდენბაუმმა უკვე დაბეჭდა თავისი წერილები რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ჟურნალში. უფრო საინტერესო იყო ჩვენთვის წერილი „წმინდა ტყენი და ხენი კავკასიელთა შეხედულობით“. მთელი ქვეყანა სავსეა საკვირველი რწმენითა და ჩველებით, სახალხო ზღაპრებითა და ლეგენდებით. პროფ. მაქსიმე კოვალევსკიმ ასწერა საინტერესო ადათები მინისმფლობელობისა ზოგან, კავკასიელთა შორის. ძალიან საწყენია, რომ ბ-ნმა ა. ივენსმა, ოქსფორდელმა, არ გამოაქვეყნა ნაყოფი თავისის კავკასიაში მოგზაურობისა ამ ორის წლის წინათ. იმის „ილირიკუმის ნაშთთა ძიებიდან“ ვიცით, რა ძვირფასი უნდა იყოს მისი შენიშვნები კავკასიაზე.

ბოლოს ჩვენ უნდა დაეუმატოთ, რომ თხზულება ბ-ნ ვეიდენბაუმისა ცოტა თუ ბევრად გამონვეულია მთავრობის მიერ და ჩვენა ვხედავთ ნიგნის სათაურიდამ და, აგრეთვე, წინასიტყვაობის უკანასკნელი შენიშვნიდამ, რომ ნიგნის ზოგიერთი ადგილები გაგზავნილ იქნა მთავარმართებელთან, თავად დონდუკოვ-კორსაკოვთანო. ჩამატებულია რამდენიმე რუკა. მაინც ჩვენა ვსწუხვართ, რომ ამ ძვირფასს ნიგნს აკლია მაჩვენებელი, მეტადრე იმ მხრივ, რომ ასეთი მოკლეა სათაურები შინაარსისა<sup>18</sup>.

<sup>18</sup> იხ. გაზ. „იერია“, 1888, 27/XI, № 250, გვ. 3.

დაბოლოს, თუ როგორ დადებითად აფასებდა ქართველი საზოგადოებრიობა ე. ვეიდენბაუმის მიერ ქართველ-მაჰმადიანთა საკითხის კვლევაში შეტანილ წვლილს, კარგად ჩანს 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ დასტამბული ერთ-ერთი სტატიიდან სახელწოდებით „სოფ. კიბე (ქვედა აჭარა). ახალი სამოსამართლო წესები აჭარაში“. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „დიდად საინტერესოა ჩვენთვის ვიცოდეთ, თუ ვიდრე რუსეთი დაიპყრობდა ამ კუთხეს, მინამ რა სამოსამართლო დებულება არსებობდა ქართველ მაჰმადიანთა შორის, ან შემდეგ დროს როგორ იყო ესა და ან დღეს რა წესები არსებობს მათ შორის. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მოკლედ მოგახსენოთ შემდეგი: რუსეთისაგან დასავლეთ საქართველოს აღებამდე აქ არსებობდა შემდეგი წესები – სოფელს და დაბას ჰყავდა მუხთარი: მუხთარი განაგებდა მთელი სოფლის საქმეს: ჰკრებდა სახელმწიფო გადასახადს, სამხედრო კაცებს და ყველა ამგვარს გადასახადებს. სოფლის საქმეების მართვა-გამგეობაში მას ეხმარებოდნენ სოფლის თავი, მოხუცებული კაცები. მუხთარსვე უნდა თვალყური ედევნებინა ქურდებისა და ყაჩაღებისათვის. ესენი უნდა დაეჭირა მას და მუდირისათვის წარედგინა, სადაც გასამართლება მოელოდა, მუხთარის ხელქვეითს „იხტიალი“ ეწოდებოდა, თითო მუხთარს თითო სოფელი ებარა.

რამდენსამე სოფელს ერთი მუდირი ჰყვანდა, მუდირს ებარა „მეჯლისის“ გამგეობა. მეჯლისში მსახურობდნენ ყადებიც, რომელნიც „ყურანის“ ძალით განაგებდნენ. ამით ხალხისაგან სასყიდელი არაფერი ეძლეოდათ, ყველა ესენი, ანუ მუხთარი, იხტიალი, მუდირი და სხვანი ბათუმის კაიმაკანს ემორჩილებოდნენ, რომლისგანაც ეძლეოდათ ყოველნაირი ბრძანება. ამათ გარდა, სოფელს ჰყვანდა ჯამეს გამგე, ჩვენებურ მნათეს მსგავსად, რომელსაც სახელად „იმაში“ ეწოდებოდა. იმაში განაგებდა სოფლის სასულიერო საქმეებს, ანუ ჯამეს ჰპატრონობდა და როცა ხოჯა ან მოლა არ იქნებოდა, მაშინ იგი სხვებს დაიქირავებდა.

აქაური სოფლები ამ წესებით დახვდა რუსეთის მფლობელობას და დღემდე აქ ეს წესწყობილება არსებობდა. დღეს კი ყოველივე ეს შეიცვალა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ოსმალური წესწყობილება მოისპო და მის მაგიერ ჩვენებური განწესდა.

დღეს ზედა-აჭარა სამ სამამასახლისოს შეადგენს, ქვედა-აჭარაც ასევე სამს. ქვედა-აჭარა შესდგება 2600 მოსახლისაგან, ზედა-აჭარა კი ამაზედ მეტია. მამასახლისის გამგეობა შესდგება შემდეგის პირებისაგან:



მამასახლისს ჰყავს ერთი რუსული ენის მწერალი, რომელიც მის ხელქვეითობასაც ასრულებს. მეორე ჰყავს თათრული ენის მწერალი „ქათიბი“. ასეთი მწერალი მხოლოდ იქ არის, სადაც მამასახლისმა თათრული ენა არ იცის. ამათ გარდა, ჰყავს კიდევ ცხენოსანი ერთი, ქვეითი ორი და სამმართველოს მოსამსახურე ერთი. ჯამაგირად ეძლევათ: მამასახლისს წელიწადში - 300 მან., მწერალს, რუსულის მცოდნეს - 400 მან.; მეორე მწერალს - 150 მან., ცხენოსანს თვეში 15 მან., ქვეითს - 10 მან., ბიჭს - 8 მან. სამმართველოს ხარჯი: გასანათი, შუშა, ქალაღი, მელანი და კალამი - 180 მან.

სამმართველოში საქმის წარმოება რუსულსა და თათრულ ენებზედ სწარმოებს, თუმცა ქართული ენა უფრო იხმარება. მიწერ-მოწერა და ყოველივე თათრულად სრულდება. ამ მოსამართლეთა გარდა, თითო ნანილს თავის შუაგულს დაბაში აქვს მეჯლიში, ჰყავს ყადები და მთელი კუთხის საქმეებს ამ ყადების საშუალებით განაგებენ.

ასე და ამგვარად, მთელი ქართველთ მაჰმადიანთ ცხოვრების წესები შეიცვალა. დღეს მას უფრო ქართული ცხოვრების სახე მიენიჭა, ხოლო სამმართველოებში რომ ოფიციალურად ქართული ენა იქმნეს შემოღებული, მაშინ უფრო უკეთესად მოენწყობა სამოსამართლო წესები. ამას ჩვენ თამამად ვამბობთ, რადგანაც ამ მოკლე დროს ჩვენის თვალთ ვნახეთ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ სულ არ იციან ის ენები, რა ენებიც კი არის ხმარებაში მიღებული. თვით ოსმალური ენაც კი არ იციან მრავალთა, რომელთაც მთარგმნელების მეოხებით ოსმალურად ესაუბრებიან, ქალებში ხომ ოცში ერთმაც არ იცის.

პატივცემულმა ე. ვეიდენბაუმმა ძრიელ კარგად იცის ამათი პირობები და გარემოება. იგი ერთს თავის წიგნში ამბობს, რომ ოსმალეთის საქართველოს სამმართველოებში ოფიციალურ ენად ქართული ენა უნდა იყოსო. ქართველ მაჰმადიანებს ისევ ქართული ენა დაუკავშირებს რუსეთის ერსა, ამიტომ დიდათ სანატრელია ამ აზრის განხორციელება დასავლეთ საქართველოში, ქართველ მაჰმადიანთა შორის ოფიციალურ ენათ ქართული ენის მიღება და ხმარება.

ბ-ნი ე. ვეიდენბაუმიც ამას ითხოვს, იგი ადგილობრივ, რუსთა წარჩინებულ კრებულს ეკუთვნის. მან აღმოსავლეთის ერთა ისტორია კარგად იცის და ნამეტურ გვარიანად იცნობს ქართველ მაჰმადიანების ყოფაქცევასაც და იგი სამართლიანად ბრძანებს, რომ რუსის მთავრობამ

ქართველ მაჰმადიანთათვის დაახლოებისა და გაქართველების იარაღად ქართული ენის ხმარება უნდა შემოიღოსო“<sup>19</sup>.

ასეთია ცნობილი კავკასიოლოგის, ბუნებისმეტყველის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ბიბლიოგრაფის და მოგზაურის ევგენი გუსტავის ძე ვეიდენბაუმის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი ასპექტები, მის მიერ როგორც ზოგადად საქართველოს, ისე, კერძოდ, მესხეთის ისტორიის საკითხების შესწავლის საქმეში შეტანილი წვლილი.

---

<sup>19</sup> გაზ. „ივერია“, 1902, 29/VIII, №184, გვ. 3.

## ბათუმიდან ართვინამდე

(მგზავრის ჩანაწერი)

წინამდებარე შენიშვნები გაკეთებულია ბათუმიდან ართვინამდე და უკანა გზაზე მდ. ჭოროხზე ნავით (კაიუკით) მოგზაურობისას. ავტორს კარგად ესმის მათი ფრაგმენტულობა, მაგრამ, თუ ამ აღიარების მიუხედავად, მაინც გადანყვიტა მათი გამოქვეყნება, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სრულიად უცნობი მხარის შესახებ მონოდებული მცირე ინფორმაციაც კი შეიძლება სიახლე იყოს მკითხველისათვის.

1878 წლის 31 ოქტომბერს, დილის 11 საათზე გემ „რიონით“ ჩამოვედით ფოთიდან ბათუმში. შესანიშნავი, ნათელი და თბილი დილა იყო, ზღვა – წყნარი, ისეთი, რომ, როცა რიონის ნაპირზე გადავდიოდით, სრულიად არ იგრძნობოდა არავითარი რწევა. გემიდან ირგვლივ მომხიბლავი სანახაობა იშლებოდა: მარცხნივ მოჩანდა გურიისა და ქობულეთის ხასხასა მთები, წინ – თოვლიანი მწვერვალებით დაფარული ლაზეთის ქედი, კიჩოს უკან – სამურზაყანოს მთის ნაცრისფერი მასივი და მის უკან დიდ მანძილზე – მთავარი ქედის თეთრი თხემი. ელბორუსი<sup>1</sup> თუმცა არ ჩანდა თხემის უკან, მაგრამ მაინც ადვილი გასარჩევი იყო თავისი ორთავიანი მწვერვალით. სანაპიროს ზოლი როგორც აფხაზეთის, ისე ტრაპეზუნტიისაკენ შეიძლება გაგერჩია საკმაოდ დიდ მანძილზე. გემი იმდენად ახლოს მიცურავდა ნაპირის გასწვრივ, რომ შეიძლებოდა დაგენახა წმ. ნიკოლოზის პოსტი, ჩურუკ-სუ (ქობულე-

თი), ციხისძირი და სხვა სანაპირო პუნქტები. ნინ ტყიანი მალ-  
ლობებით გარშემორტყმულ, დილის ნისლით დაფარულ სანაპიროს  
ნაოჭებში მოჩანდა ბათუმი.

უბეში შესვლისას დავდექით რუსული საზოგადოების - „კო-  
ცებუს“ გემის ქიმთან. ნაპირზე ფუსფუსებდა ჭრელი, სხვადასხ-  
ვა ჯურის ხალხი; უბის სარკისებრ ზედაპირს ღარავდა ფელუკე-  
ბი და კანჯოები, რომლებიც შემოხვეოდნენ გემს ყველა მხრიდან;  
მენავეები ცდილობდნენ დაესწროთ ერთმანეთისთვის, თავიანთ  
სამსახურს სთავაზობდნენ მგზავრებს, რომლებსაც სურდათ ნა-  
პირზე გადასვლა. ერთი სიტყვით, ეს იყო ჩვეულებრივი, მაგრამ  
ჩვენ მიერ უკვე დიდი ხნის უნახავი ზღვისპირა ქალაქის სურათი.  
„კოცებუს“ გარდა იდგა სამხედრო შხუნა „რედუტ-კალე“, რუსუ-  
ლი საზოგადოების სატვირთო გემი „ჩიხაჩივი“ და სიმინდით,  
ყურძნით, თიხის ხელადებითა და სხვა საქონლით დატვირთული  
რამდენიმე ფელუკა.

ბათუმი მდებარეობს უმნიშვნელო, მაგრამ შესანიშნავი უბის  
დასავლეთ მხარეს. უბესთან სიმალღეები უკან იხევს ნაპირიდან,  
ქმნის ბრტყელ სანაპირო ზოლს, რომლის ნაწილიც ბათუმს უკა-  
ვია. უბე საკმაოდ ღრმაა და რაც მეტად შორდება ნაპირს, მით  
უფრო სწრაფად მატულობს სიღრმე. უბის ნაწილი, რომელიც  
დასავლეთიდან მქროლავი ქარიშხლებისაგან იფარავს ქალაქს,  
ერთობ მცირეა. ბათუმის უბე წარმოქმნილია, ალბათ, ჭოროხისა  
და დასავლეთის ქარების თანამოქმედების შედეგად. მეჩეჩი,  
რომელიც უბეს ზღუდავს დასავლეთის მხრიდან და მთელ სივრც-  
ესაც ჭოროხსა და უბეს შორის, შედგება მდინარის ნარიყისაგან,  
ე. ი. შლამის, ქვიშისა და მდინარის კენჭებისაგან (ეს უკანასკნე-  
ლი რომ მდინარის ჩამოტანილია და არა ზღვის მიერ კლდის  
ჩამონარეცხი, აშკარად ჩანს იქიდანაც, რომ კენჭები წარმოადგენს  
ქანების მნიშვნელოვან სხვადასხვაგვარობას, თანაც უმეტესად  
ვულკანურს, რაც სანაპირო მთებში არ გვხვდება). არსებობს აზრი,  
რომ დასავლეთის მეჩეჩი მუდმივად გრძელდება და ეს დაგრძელებ-  
ა ბათუმის ძველი მცხოვრებლების მეხსიერებაში მნიშვნელოვანი

დოზით აისახა. შემდეგ თვითმხილველები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ დასავლეთის ქარების დროს ჭოროხის წყალი ზღვაში ჩადინებისას იხრება მარცხნივ, ე. ი. აღმოსავლეთისაკენ და ზოგჯერ აღწევს უბის აღმოსავლეთ ნაპირს, სადაც ნარიყი ილექება. ასეთი ვითარების დროს დასავლეთით მეჩქარის დაგრძელება ბუნებრივად გვეჩვენება: დასავლეთის ქარების დროს ჭოროხის დინება ზღვაში მიემართება აღმოსავლეთისაკენ და ეჯახება იმ მეჩქარს, რომელზედაც ვსაუბრობთ; აქ იგი ტოვებს მის მიერ ჩამოზიდული მასალის ნაწილს, რომელიც იწვევს მეჩქარის დაგრძელებას. შესაძლებელია, უბის შექმნასა და დასავლეთით მეჩქარის დაგრძელებაში მეორე ფაქტორიც – ნაპირის ამალღება – ასრულებს როლს. ინგლისის ყოფილი კონსული ტრაპეზუნტში ჯიფორდ პალგრევი შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეში ასეთი მოვლენის დადასტურებას, სხვათა შორის, ხედავს იმაში, რომ ამ ადგილებში მრავალი ფრიალო კლდე, რომლებიც ზღვაში ეშვება, ატარებს ზღვის ტალღებით ამოჭმის კვალს ისეთ სიმაღლეზე, რომელიც ზღვის ტალღებისათვის მიუწვდომელია ყველაზე ძლიერი თანამედროვე შტორმის დროსაც კი (W. Gifford Palgrave, "Vestiges of Glacial action in north-eastern Anatolia" Nature-ში, № 157, vol. 6. Oct. 31, 1872, p. 536. Lettre to the editor from Trebizond, Oct. 3).

ბათუმი მათ, ვინც იქ არ ყოფილა, წარმოუდგენიათ ელდორადოს სახით საოცრად იაფი თამბაქოთი, სასმელითა და სხვადასხვა საზღვარგარეთული საქონლით. იგი, როგორც ვთქვით, მდებარეობს ბათუმის უბის დასავლეთ მხარეს. თურქული ქალაქის პირობაზე, რომელიც აღმოცენდა რაღაც 20-23 წლის წინ, ბათუმი კარგი სანახავია. მთავარი, რაც მას განასხვავებს ნამდვილი თურქული ქალაქისაგან, არის უსწორმასწორო, ყრუ ქუჩებისა და ქუჩაბანდების უქონლობა. სანაპიროზე ჩამწკრივებულია ქვის სახლები მალაზიებით, ყავახანებითა და სასტუმროებით, შემდეგ სანაპიროს პარალელურად მიემართება ორი-სამი ქუჩა, რომელთა უმეტესი ნაწილი ბაზარს უკავია, აქ არის პატარა, ღია ხის დუქნები. საცხოვრებელი ნაგებობები, მგონი, ყოფილი ჩვენი კონსუ-

ლის – ჯუდიჩის ერთადერთი ქვის სახლის გარდა, აგებულია ხის ჩარჩოებით, რომელთა შუალედი ამოშენებულია ერთი რიგი აგურით. მათ შორის ორსართულიანი შენობებიცაა. ჯერჯერობით ქალაქს რალაცნაირი გაპარტახებული იერსახე აქვს. თუმცა სახლები ენერგიულად რემონტდება, მაგრამ მშენებლობა საშენი მასალის უკმარისობის გამო ისე სწრაფად არ მიმდინარეობს, როგორც სასურველია.

ქალაქში რამდენიმე მეჩეთი და ერთი საეკლესიო დიდი, ქვის ბერძნული ეკლესიაა. მღვდლების თქმით, ეკლესიის მშენებლობა 15 წლის წინ დაწყებულა და 8 წლის წინ დამთავრებულა, თუმცა აქამდე მთლად განწყობილი არ არის. შენობის დაწყებამდე მშენებლებმა მოიმარაგეს სულთნის ფირმანები, მაგრამ ბათუმის მუსლიმებმა ორჯერ გააჩერეს მუშაობა იმ მიზეზით, ბერძნები ეკლესიის ნაცვლად ციხესიმაგრეს აშენებენო.

ეკლესიასთან არსებობს სკოლა და ბერძნები უკვე ფიქრობენ სკოლისათვის რუსი მასწავლებლის მონვევას.

ბათუმში 200-მდე ბერძნული ოჯახია და ეკლესია სწორედ მათი შენირულობით, ნაწილობრივ ნასესხები ფულითაა აშენებული. დღეისათვის სხვადასხვა პირთათვის ეკლესიის ვალი აღწევს 700 თურქულ ლირას, რომლისთვისაც იხდიან 15%-ს წლიურად. ამბობენ, რომ ეს ზომიერი პროცენტი, რადგან სესხისათვის სხვა აიღებდა 20%-საც.

რუსების ბათუმში შესვლის დროიდან ეკლესიის შემოსავალი თითქმის ორჯერ გაიზარდა. ჩვენი ჯარის გამოჩენის პირველივე დღეს ბერძნებმა დაკიდეს ზარი და დაიწყეს რეკვა, რისი უფლებაც თურქული მთავრობის დროს არ ჰქონდათ.

დღეისათვის ბათუმში ყველაზე საჭირობოროტო საკითხი ბინის საკითხია. ქალაქს არ შეუძლია დაიტიოს მოსამსახურეთა და მრეწველ ხალხთა ის მასა, რომელიც მოაწყდა რუსული ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ. ამის შედეგად ბინების ფასმა არნახულად აინია, რის შესახებაც არაერთხელ დაინერა გაზეთებში. ასე მაგალითად, სამხედრო გუბერნატორი დაქირავებულ სახ-

ლში იხდის 1 000 მანეთს. უნდა აღინიშნოს, რომ სახლში არ არის არავითარი ელემენტარული საცხოვრებელი პირობები. ასეთი ფასის ერთადერთი გამართლება, ალბათ, ის იყო, რომ ეს სახლი თავისებურად ისტორიულია, რადგან მასში ცხოვრობდა დერვიშ-ფაშა, ბათუმის რაზმის ყოფილი უფროსი. მაგრამ ისეთი სახლებიც, რომელთაც არა აქვთ ასეთი დიდებული წარსული, ასეთ-სავე დიდ ფასად ქირავდება. ყველა სასტუმრო (ასეთი ორი ან სამია) შენობისათვის იხდის ისეთ უზომო ფასს, რომ მათ პატრონებს, მიუხედავად იმისა, რომ დიდ ფულს შოულობენ, როგორც ამბობენ, გაკოტრება არ ასცდებათ. სასტუმრო „მოსკოვის“ პატრონი, ამბობენ, შენობისათვის იხდის 4 ათას მანეთს. ბინების სიძვირით განსაკუთრებით იჩაგრება, რასაკვირველია, მოსამსახურე ხალხი. ამბობენ, რომ ადგილობრივ ადმინისტრაციას ქალაქის სალაროს ფონდის შექმნის მიზნით განზრახული აქვს გადასახადით დაბეგროს ყველა სახლის პატრონი, აგრეთვე, ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება მათ მიერ დაკავებული შენობის კვადრატული ფართობის შესაბამისად. აზრი ერთობ საფუძვლიანია, მაგრამ ვისურვებდით, რომ მისი შესრულება გადაიდოს გარკვეული დროით და აი, რატომ: უეჭველია, რომ სახლის პატრონები და მოვაჭრე ხალხი არ დააყოვნებენ, თავის მხრივ, გაანაწილონ ეს გადასახადი მდგმურებსა და მოსამსახურეებზე, რომლებიც, საცხოვრებელი სახლების რაოდენობის შეზღუდულობის გამო იძულებულნი იქნებიან, ბინის ქირასა და პროდუქტებში გადაიხადონ უფრო მაღალი და გაუსაძლისი ფასები, ვიდრე ახლა. მათ არ ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენციაში ეძებონ ხსნა. საქმე ისაა, რომ ამჟამად ბათუმში არ შეიძლება სახლების აშენება მოთხოვნების შესაბამისად: ერთი მხრივ, ამას ხელს უშლის მინისმფლობელობის გაურკვეველობა, მეორე მხრივ – ქალაქში სამშენებლო მასალის არქონა და მიზიდვის სიძნელე. აგური და კრამიტი კიდევ შეიძლება მოიტანო ქოროხზე ზოგიერთ სოფელში არსებული ქარხნებიდან (მაგ., ბორჩხაში?), მაგრამ ხის სამშენებლო მასალა (კოჭი, ფიცარი და სხვ.) არ არის და მათი შოვნაც

ძნელია. ჭოროხის აუზში მთელი ტყე, რომლის მოჭრაც კი შეიძლებოდა, დიდი ხანია მოჭრილი და დაცურებულია... თუკი სადმე არის ასეთი, ისიც არა იმ რაოდენობით, რომ დააკმაყოფილოს მასზე მოთხოვნილება, ამიტომაც ძალიან ძვირია. მაშასადამე, ხეტყის მასალა უნდა გამოიწეროს ხერსონიდან ან ქერჩიდან, მაგრამ რუსულ საზოგადოებას, რომელიც დაკავებულია ჯარისა და სამხედრო ტვირთის თავიანთი გემებით გადაზიდვით, შეუძლია გემების ისეთი უმნიშვნელო რაოდენობის მიცემა კერძო ტვირთებისათვის, რომლებიც იქ ისე ბევრია, რომ ისინი ვერ ასწრებენ მათ წამოღებას. ასეთ პირობებში ისეთი შედარებით მცირეფასიანი და ვეებერთელა ტვირთის, როგორიც ხეა, გადატანა არ ხერხდება. რჩება მხოლოდ შხუნები, მაგრამ ზამთარში ისინიც ვერ ბედავენ და არც შეუძლიათ გარისკონ ასეთი შორეული ცურვა; ახლადროც არ არის, რადგან დნეპრის ლიმანი სადაცაა გაიყინება. მშენებლობა უნდა გადაიდოს მომავალი ზაფხულისათვის. მაშინ ბათუმში უეჭველად ენერგიულად შეუდგებიან მშენებლობას და, ჩვენი აზრით, ამ დროს შეიძლება შევიდეს ძალაში ზემოთ ნახსენები გადასახადი, რადგან მხოლოდ მაშინ იქნება ბინისა და პროდუქტის ფასი, კონკურენციის გამო, რამდენადმე ნორმალური.

მეორე მიზეზი ქალაქში მშენებლობის ნელი და თითქმის შეუმჩნეველი ზრდისა, მიუხედავად საცხოვრებლის მწვავე ნაკლებობისა, არის პოლიტიკური მდგომარეობის გაურკვეველობა და მერყეობა.

რასაკვირველია, ძნელია იმის თქმა, რამდენად საფუძვლიანია ეს შიში მომავლისადმი, მაგრამ უეჭველია, რომ საფრთხე, ბუნდოვანი და გაურკვეველი, მაინც არსებობს. მოვაჭრე ხალხს არ უნდა საქმის დანყება და ამას იმით ხსნის, რომ ახლა ამის დრო არ არის, რადგან გაზაფხულზე შეიძლება ისევ იფეთქოს ომმა და მაშინ მთელი შრომა წყალში ჩაეყრებათ. ბათუმის ბაზარში მოარული ხმებით, თურქეთის მთავრობამ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გამოსცა ბრძანება, არ შეეშალათ ხელი რუსებისათვის ბათუმში მოწყობასა და ქალაქის გაუმჯობესებაში, რადგან



თურქებისათვის გაცილებით სახეირო იქნება ჩაიბარონ კეთილ-მონყობილი ქალაქი, თანაც რუსული ფულის წყალობით. რამდენადაც უაზრო არ უნდა იყოს ეს ხმები, აქედან ჩანს საერთო განწყობა მომავლის რწმენის უქონლობისა. აღსანიშნავია, რომ ეს განწყობა ისე შორს გავრცელდა, რომ სოხუმამდეც კი მიაღწია.

ბათუმში ნამსვლელი იმედოვნებს, რომ იაფად იყიდის სხვადასხვა საზღვარგარეთულ საქონელს. მაგრამ რამდენადაც დიდია იმედი, იმდენად დიდია იმედგაცრუებაც: სოფლის ჩვეულებრივი საქონლისა და მდარე ხარისხის მარსელური ლიქიორის გარდა ბათუმში არაფრის შოვნა არ შეიძლება. ქალაქში რიგიანი თუთუნიც კი არ არის. რუსებს შეუძლიათ გაიხარონ როსტოვის, ფოთისა და ტფილისის ფაბრიკების პაპიროსისა და თუთუნის დანახვაზე უაქციზო და უბაჟო ქალაქში. ცნობილმა „ლაფერმმაც“ მოასწრო ბათუმში შეღწევა. ძნელია იმის გაგება, თუ რატომ ჰგონიათ, რომ ბათუმში შეიძლება ყველანაირი საქონლის შოვნა. არ ვიცი რა იქნება მომავალში, მაგრამ ახლა ვაჭრებისათვის არა აქვს არავითარი აზრი უმაღლესი ხარისხის საქონლის გამონერას. ვინ იყიდის მას?

ოთახების ნაკლებობის გამო მომსახურე პერსონალი ცხოვრობს ოჯახების გარეშე და მთელ ქალაქს სამხედრო ბანაკის სახე აქვს. ვისთვის უნდა მოიტანონ ფუფუნების საგნები და სამოსი? ეს ერთი მიზეზია, მეორე – მომავლის რწმენის უქონლობა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, მესამე მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ მრავალს ეპარება ეჭვი იმაში, რა მნიშვნელობასაც ანიჭებენ ამ ქალაქს. მართლაც, არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ ბათუმზე და მის პორტო-ფრანკოზე<sup>3</sup> დამყარებული არაერთი იმედია საეჭვო. ქალაქის მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გაირკვეს, როცა მშვიდობა უფრო მყარი გახდება და გაკეთდება გზები ქალაქიდან ქვეყნის შიგნით და ტფილისამდე. ახლა კი ვერავინ გაბედავს კაპიტალის დახარჯვას, რადგან შეუძლებელია სწორად, კომერციულად განსაზღვრო მოგება.

აქამდე პორტო-ფრანკო ვაჭრების წახალისებას კი არა, გარშემო მცხოვრებთა შევიწროებას ემსახურებოდა. ახლა ბათუმიდან უვარგისი ლიქიორის, რომისა და ასანთის გარდა, არაფრის გატანა არ შეიძლება. ბათუმის საქონელი გათვალისწინებულია მხოლოდ ადგილობრივი მოხმარების და გარშემომდებარე სოფლების მცხოვრებლებისათვის. მართლაც, ისინი მოდიან ქალაქში, გასაყიდად მოაქვთ მცირეოდენი ღარიბული პროდუქტი, შემდეგ შეისყიდვიან რამდენიმე არშინ ნარმას და უკანვე ბრუნდებიან. სხვა შესასყიდი პუნქტი მათ არა აქვთ – ბათუმი არის მათი ბაზარი. ამასობაში საზღვრის მცველები, არ ვიცი, ინსტრუქციით თუ სხვა რაიმე სიახლის ან მიზეზის გამო, აჩერებენ ხალხს და სთხოვენ ბაჟის გადახდას ქალაქიდან საქონლის გატანაზე. რადგან ისინი უარს ამბობენ გადახდაზე, აბრუნებენ უკან ქალაქში. გასაგებია, რომ მსგავსი შემთხვევები სოფლის მოსახლეობას ჩვენი წესების წინააღმდეგ ამხედრებს. საქონელი რომ გაჰქონდეთ ქალაქიდან გასაყიდად, მაშინ შეიძლებოდა გაგემართლებინა კორდონის მოქმედება, მაგრამ საკუთარი მოხმარებისათვის ნაყიდ საქონელზე, საეჭვოა, რომ საჭირო იყოს ბაჟის დადება. გარდა ამისა, მთელი ბაჟი არ არის იმდენად დიდი, რომ ღირდეს ამისათვის მოსახლეობის უკმაყოფილების გამოწვევა. ძალიან ძნელია, რომელიმე აჭარელს აუხსნა და შეაგნებინო, თუ რატომ შეუძლია მას ქალაქში იყიდოს საქონელი, ხოლო ქალაქიდან გამოსვლისას კიდევ დამატებით გადაიხადოს ამავე საქონლისათვის ფული.

ბათუმის ჰავა მცირედ განსხვავდება სოხუმისა და სანაპიროს სხვა პუნქტების ჰავისაგან: იგივე ნოტიო ჰავა, იგივე ზომიერი ზამთარი, იგივე ციებ-ცხელება. ადგილობრივი მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მძვინვარებს 10 ივლისიდან 10 სექტემბრამდე და ამ დროს ქალაქში ყოფნა არასასურველია. ჩვენ მიგვიითითეს, ერთი შეხედვით, საოცარ მოვლენაზე, რომ კახაბერის მალლობები (ბათუმის მისადგომებთან) ზაფხულის სიცხეებსა და ციებ-ცხელებიან თვეებში ყველაზე კარგი ადგილსამყოფელია. ამასთან, მათი თქმით, ვინც კარგად

იცნობს ადგილობრივ ვითარებას, კახაბერის მალლობები ზაფხულში ყველაზე ციებ-ცხელებიანი ადგილია. ამ გარემოების სამართლიანობა მტკიცდება იმით, რომ კახაბერის მალლობებზე არ არის დასახლება, მხოლოდ შემოდგომასა და ზამთრის თვეებში იქ თავიანთ საქონელს აძოვებენ იალანუს-ჩამის მთიდან<sup>4</sup> მოსული ქურთები.

ვფიქრობ, ამ მოვლენის მიზეზი უნდა მოიძებნოს ნაწილობრივ კახაბერის მალლობების მცენარეთა თვისებებში, ნაწილობრივ – მხარის ტოპოგრაფიულ პირობებში. მალლობებზე ნამყოფთა მონათხრობით, ფერდობები დაფარულია გვიძრის ხშირი ნაყარით, რომელიც აკავებს ნესტის მნიშვნელოვან რაოდენობას და ლპობის დროს იძლევა დიდი რაოდენობით მიაზმს. მეორე მიზეზი ისაა, რომ მწვერვალიდან ჩამომდინარე წყლებს არა აქვს ზღვაში თავისუფალი ჩასადენი და გროვდება ძირთან, სადაც ქმნის დიდ ჭაობს. თავისუფალი ჩადინება შეუძლებელია ზღვიდან ზვირთცემის გამო, რაც ნაპირთან ნარმოქმნის ერთგვარ მიწაყრილს. ქალაქის დასავლეთით მდინარე ჭოროხის დელტა დაფარულია ჭაობით და ჭაობიანი ტბებით, რომელიც გარშემორტყმულია ბუჩქნარით, ამგვარად, ქალაქი სამი მხრიდან გარშემორტყმულია ჭაობებით (მხედველობაში არა გვაქვს ხელოვნური ჭაობები ბრინჯის ველის მოსარწყავად). ამჟამად, ჭაობების დაშრობის მიზნით, მიმდინარეობს ქალაქის შემოგარენის ნიველირება. ეს მნიშვნელოვანია როგორც ქალაქის გასაჯანსაღებლად, ისე ბინადრობისათვის მოსახერხებელი მიწის ფართობის გასაზრდელად. სრული ნარმოდგენისათვის აღვნიშნოთ, რომ ქალაქის დასავლეთით ჭაობიან ადგილას ვრცელი სასაფლაოებია, სადაც განისვენებენ დერვიშ-ფაშას კორპუსის მეომრები. თურქებს არა აქვთ მიცვალებულთა ღრმად ჩაფვლის წესი, ამიტომ ამ სასაფლაოზე ბათუმის ყველა ტურა იყრის თავს rendez-vous-ზე.<sup>5</sup>

ამჟამად ბათუმი, როგორც ამბობენ, არ ჰგავს იმ კლოაკას, რომელიც დახვდათ ჩვენს მეომრებს. იგი განმენდილია ყველა სიბინძურისაგან და საკმაოდ სუფთად გამოიყურება. ჭუჭყი და ტალ-

ახი ბათუმში საერთოდ არ იცის: იგი დგას ნიადაგზე, რომელიც შედგება სილისა და კენჭებისაგან, რის გამოც სწრაფად ხდება წყლის შეწოვა. ბაზრის ზოგიერთ ქუჩაში ხიდის მსგავსი რაღაც მოჩანს. ქალაქში წყალი გაშვებულია კახაბერის მალლობებიდან რამდენიმე ვერსზე. წყალსადენის მიმართულება აღნიშნულია პირამიდების მსგავსად დანყობილი ქვებით. წყალსადენის მოსაწყობად, როგორც ამბობენ, დაშალეს წმიდა სამების ეკლესიაც კი, რომელიც კახაბერის მალლობებზე იდგა და რომელიც ძლივს იპოვა ბატონმა ბაქრაძემ\*. ქალაქში რამდენიმე წყალსატევია.

ბათუმს სამი ბატარეა იცავდა, რომლებიც განლაგებული იყო ნაპირზე. ერთი, ძალიან დიდი და შესანიშნავად აგებული, ქვის ყაზარმებიანი (დაუმთავრებელი) იდგა კონცხზე, მეორე – უბის სამხრეთ ნაპირას, მესამე – უფრო შორს, ნაპირზე, ქალაქის სანინაალმდეგოდ. ბატარეათა ფრონტის წინ მწკრივად დარგულია ხეები, ალბათ, ბატარეათა შესანიღბად ზღვიდან. ეს ხეები, არ ვიცი ვის მიერ, მაგრამ მოჭრილია და მხოლოდ ჯირკვბია ამოშვერილი. შუა ბატარეა ქვის კედლით არის დაცული ზღვის წყალცემით გამოწვეული დაზიანებისაგან.

3 ნოემბერს, საღამოს 9 საათზე მშვენიერ წყნარ ამინდში ორთქლის კატერით გავემგზავრეთ ციხისძირის ნანგრევებისაკენ. 2 საათის შემდეგ გადმოვსხედით ციხისძირის კლდესთან. ნაპირთან სიღრმე სწრაფად იზრდებოდა. ხმელეთს ისე ახლოს მივადექით, რომ ნაპირამდე მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი იყო დარჩენილი. ნაპირიდან 15-ოდე ნაბიჯის მანძილზე სიღრმე უკვე 10-12 ფუტს აღწევდა, ასე რომ, ცხვირის ქვეშ – 2-3 ფუტი, კიჩოს ქვეშ კი – 10-12 ფუტი იყო.

11 1/2 საათზე შევსხედით ცხენებზე და ნაპირ-ნაპირ გავემართეთ მდ. კინტრიშისაკენ, ხუცუბნის მალლობების ძირისაკენ. ნაპირი ერთვერსიანი სივანის ქაობიან დაბლობს წარმოადგენდა. ქაობი წარმოშობილია მალლობებიდან დაშვებული დიდი და პატ-

არა მდინარეების შესართავების დაგუბების გამო, რასაც იწვევს ზღვის ტალღების მოვარდნა. ხუცუბნის მალლობის ძირიდან ავედით სამებაზე, რომელიც სავსე იყო თურქული ბატარეებითა და გადათხრილი ტრანშეებით. აქ ვნახეთ ჭურვების მოქმედების კვალი – გრანატებით გახლეჩილი მრავალი ხე. სამების პოზიციიდან დავეშვიტ სამხრეთ ფერდობზე, გადავედით მდინარე კინტიშზე და ავედით ასევე ბატარეებით სავსე შემდეგ თხემზე. კვლავ დავეშვიტ საწინააღმდეგო მხარეს, გადავედით მდინარე ძეგვაზე და ავედით ქედზე, რომელზეც ციხისძირის სიმაგრის ნანგრევებია.

მხოლოდ ახლა, ადგილის დათვალიერების შემდეგ, ვხვდები, რატომ იყო ჩვენების ცდა, გაერღვიათ ბათუმისაკენ ნაპირით მიმავალი ყველა გზა, ასე წარუმატებელი და ყველა შეტევა – მოგერიებული, მიუხედავად გენერალ ოკლობჟიოს განკარგულებაში მყოფი შედარებით მნიშვნელოვანი ძალებისა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ჩვენი შეტევა გაზეთებში შეცდომით მოიხსენიებოდა ციხისძირის შეტევად: ხუცუბნის მალლობებიდან ციხისძირის მალლობებამდე 9 ვერსია და მათ ყოფს შუალედური მალლობების ძლიერი გამაგრებები. ამიტომ გამოთქმა „შეტევა ციხისძირზე“ უნდა გავიგოთ გავრცობილად – შეტევა ციხისძირის პოზიციაზე, ე. ი. შეტევა ამ ადგილმდებარეობის ყველა გამაგრებაზე, რადგან სინამდვილეში მთელი კამპანიის მანძილზე ჩვენი ჯარი არ ყოფილა სამების მალლობებზე უფრო შორს და 1878 წლის 18 იანვრის უკანასკნელი წარუმატებელი შტურმი სწორედ ამ მალლობებზე იქნა მიტანილი.

ციხისძირის პოზიციას შეადგენს რიგი პარალელური ქედები, რომლებიც გამოეყოფა პერანგას ქედს, თანდათანობით დაბლდება ზღვასთან მიახლოებისას და, როგორც აღვნიშნეთ, სანაპიროს გასწვრივ ტოვებს ჭაობიან დაბლობს. მხოლოდ ის ქედი, რომელზედაც დგას ციხისძირის ნანგრევები, შეუღლი კლდით ჩადის ზღვაში და კეტავს ზღვის ნაპირის გასწვრივ გასასვლელს. ამ ქედებს გორაკების სახე აქვს, დაფარულია პონტოსპირა ფლორისათვის

დამახასიათებელი გაუვალი ტყითა და ხვიარა ეკლიანი მცენარეებით. ასეთი ქედი, სამებიდან დანყებული ციხისძირამდე, სამია. სამივე სავსეა ბატარეებით, რომლებიც ისეა განლაგებული, რომ შეუძლიათ აღმოუჩინონ ერთმანეთს დახმარება. გარდა ამისა, ქედების კალთებზე გათხრილი იყო ტრანშეები მსროლელთათვის. ქედები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთმანეთისაგან გამოყოფილია დაბლობებით, რომლებზეც მიედინება მდინარეები კინტიში, კინტიში და ძეგვა (ჩვენს ხუთვერსიან რუკაზე კინტიშთან ახლომდებარე მდინარე დასახელებულია დეხვად და ნაჩვენებია, რომ იგი ჩაედინება პირველში, შემდეგ სამხრეთით ნაჩვენებია უსახელო მდინარე. ჩვენ მდინარე დეხვა დაგვისახელეს კინტიშად, უსახელო კი – ძეგვად). ამ მოკლე აღწერილობიდან, მგონი, შეიძლება გონებით გაიაზრო ამ პოზიციის მთელი სიმძიმე და მიუდგომლობაც კი, მით უმეტეს, იმ საშუალებებით, რომლებიც გაგვაჩნდა. სანაპიროს გასწვრივ მოძრაობა შეუძლებელი იყო, რადგან, რომ არაფერი ვთქვათ მის ჭაობიანობასა და იმაზე, რომ არტილერიისათვის იგი ძნელად გასავლელი იყო, უაზრობაა მაღლობებზე განლაგებული რამდენიმე ათეული ქვემეხის ცეცხლქვეშ გავლა. ერთიღა რჩებოდა – იერიში მიეტანათ სიმაღლეებზე ერთმანეთის მიყოლებით, რაც გააკეთეს კიდევ, მაგრამ, როგორც ცნობილია, უშედეგოდ.

შესამჩნევია, რომ, როცა ციხისძირის პოზიციებს თურქეთის მხრიდან უყურებ, მათი მდებარეობა უფრო მკაფიოდ მოჩანს, ვიდრე ჩვენი საზღვრის მხრიდან. ჩვენგან ჩანს რალაცნაირი ქაოსი ტყიანი ბორცვებისა, რომლებიც განლაგებულია უსისტემოდ. ციხისძირის მაღლობებიდან დათვალიერებისას კი ნათლად ჩანს ყველა ქედის მდებარეობა და მიმართულება.

ციხისძირის მაღლობები, როგორც უკვე აღვნიშნე, ეშვება პირდაპირ ზღვაში შვეული კლდის სახით. აქ სანაპიროს გასწვრივ გასასვლელი არ არის, რადგან ზღვა ძალიან ღრმაა კლდის ძირთან, რომელსაც იგი რეცხავს.

ზღვიდან ამოზიდულ მალლობზე მდებარეობს საკმაოდ დიდი ციხესიმაგრის ნანგრევები, რომელთა თლილი და ნახევრად თლილი ქვებისა და ცემენტისაგან შემდგარი კედლები ჯავშანივით დაფარულა სუროს სქელი ბარდით. ვვარაუდობ, რომ სწორედ აქ უნდა მოიძებნოს ძველად ცნობილი ციხესიმაგრე პეტრა (Petra)<sup>7</sup>. თვითონ ბუნებამ მიუთითა აქ ციხესიმაგრის ადგილზე, რადგან მანვე ჩაკეტა გასასვლელი ზღვის ნაპირის გასწვრივ. სხვა ასეთი ხელსაყრელი ადგილი ციხესიმაგრისათვის (რასაკვირველია, ძველი სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით) აქ არ არის.

ნანგრევთა შორის არის ეკლესიის მსგავსი პატარა შენობა, ისეთი მცირე, როგორსაც ახლაც შეიძლება შეხვდე ზოგიერთ ქართულ სოფელში.

სიმაღლეზე, რომელზედაც ნანგრევები დგას, უხვად მოედინება წყაროს წყალი.

ამჟამად ნანგრევებზე განლაგებულია კაზაკთა საგუშაგო. მისმა უფროსმა გვითხრა, რომ გასულ ღამეს ქობულეთელებმა გზაზე მოკლეს გურიის ფეხოსანი რაზმის ორი მილიციონერი, რომლებიც ბათუმიდან შინ გურიაში მიდიოდნენ. მესამემ მოასწრო ყაჩაღებისაგან თავის დაღწევა. მისი სიტყვით, ისინი დაახლოებით თორმეტნი იყვნენ. ყაჩაღებმა წაართვეს იარაღი, მან კი შეძლო ერთ-ერთი თავდამსხმელისათვის თოფის წართმევა. ამ თოფით ფიქრობენ დამნაშავეთა მოძებნას.

მოგვიანებით გავიგეთ, რომ ქობულეთელებს ბათუმში მიეყვანათ ძარცვაში მონაწილე 12 კაცი და ითხოვდნენ მათ გასახლებას.

4 ნოემბერს, დილის 10 1/2 საათზე ცხენებით დავიძარიტ ბათუმიდან ართვინისაკენ. მე განვიცდიდი რალაცნაირ განსაკუთრებულ, სხვათა შორის, სასიამოვნო გრძნობას, ძნელად გასაგებს, მაგრამ ნაცნობს ყველა მათთვის, ვისაც უხდებოდა იშვიათად ნანახ, ნაკლებად ცნობილ, მაგრამ საინტერესო ქვეყანაში ფეხის შედგმა. მართლაც უნდა გვაოცებდეს, როგორ ნაკლებად ვიცნობთ

ბათუმის მხარეს, მიუხედავად ამიერკავკასიასთან მისი ახლო მეზობლობისა. გეოგრაფიულ ლიტერატურაში შეიძლება იპოვო ახლახან გამოცემული ბაქრადის არქეოლოგიური თხზულება<sup>8</sup>, რომელშიც აღწერილია თურქეთის საქართველოში პოლკოვნიკ ყაზბეგის სამთვიანი ყოფნა<sup>9</sup>; რამდენიმე შენიშვნა უცხოურ ჟურნალებში; და ბოლოს, გერმანელი ბოტანიკოსის – კ. კოხის თხზულება<sup>10</sup> – აი, მთელი მასალა. ამასთან, ყველა თხზულებაში ცოტა რამ არის თქმული იმ ადგილების შესახებ, რომლებიც უნდა გაგვევლო, ე. ი. ჭოროხის ხეობიდან ართვინამდე. ბატონმა ყაზბეგმა იმოგზაურა ჭოროხზე ართვინიდან ბორჩხამდე, ისიც ნავით (კაიუკით); ბაქრადემ – მხოლოდ ბათუმიდან აჭარის-წყლის შესართავამდე; კოხმაც – მხოლოდ ბორჩხიდან ართვინამდე. არის კიდევ იტალიელი კონსულის აღწერილობა იმ გზისა, რომელიც უნდა გავიაროთ, მაგრამ ეს აღწერილობა არ მინახავს. ბათუმში ზუსტად ვერ გავიგეთ ვერც გასავლელი გზის სიგრძე, ვერც მისი ვარგისობა. მხოლოდ იმას ამბობდნენ, რომ გზა ძალიან ძნელია, რომ ალაგ-ალაგ გზა ან, უკეთ რომ ვთქვათ, ბილიკი საერთოდ არ არსებობს; ასე რომ, არა მარტო ცხენოსანს, არამედ ფეხით მოსიარულესაც გაუჭირდება იქ გავლა. ამბობდნენ აგრეთვე, რომ ბათუმიდან ართვინამდე 80 ვერსია, რომ ბორჩხამდე გზა მიუყვება ჭოროხის მარჯვენა ნაპირს, ბორჩხიდან გადადის მარცხენაზე (ეს უკანასკნელი გარემოება, როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, არასწორი აღმოჩნდა: გზა სულ მარჯვენა ნაპირს მიჰყვება; მარცხენაზე თუმცა არის ბილიკი, მაგრამ უარესი). ე. წ. თურქეთის გზატკეცილის მდგომარეობასა და სიგრძეზე არავის შეეძლო დადებითი რამ ეთქვა. დაბოლოს, რუკაც მცირე ცნობას იძლეოდა: მრავალი დასახლებული პუნქტი მასზე საერთოდ არ იყო დატანილი, სხვები – არასწორად მითითებული; მარჯვენა მხარეს აღნიშნული ბილიკი კი კარგად ჩანს. რუკა საერთოდ არასრულია: მთელი რიგი უბნები, როგორიცაა, მაგალითად, მაჭახელა, საერთოდ არაა აღნიშნული და რუკაზე თეთრ ლაქად მოჩანს. თუმცა ხუთვერსიანი რუკის შემდგენლების სასახელოდ უნდა ითქვას,



რომ რუკის შედგენისას მათ, როგორც ჩანს, უსარგებლიათ ყველა არსებული რუკის მასალითა და აღწერილობით.

ასეთი მცირე ინფორმაციის მარაგით გაუყვევით გზას ართვინამდე. გზა მიუყვებოდა ჭაობიან დაბლობებს სამხრეთისკენ ჭოროხის დელტაზე.

ნიადაგი შედგებოდა შლამის, ქვიშისა და მდინარის კენჭებისაგან, დაფარული იყო ბუჩქნარით. გზა იყო ფართო, ალაგ-ალაგ, ჭაობთან – გზატკეცილი. იგი გადარეცხვისაგან დაცულია ქვებით. პატარა მდინარეებზე გადებულია ხის ძალიან ცუდი ხიდები. გზის მარჯვნივ, უშუალოდ ქალაქგარეთ, ჭაობში აფხაზეთიდან 1866 წელს გადმოსახლებული აფხაზების სულ პატარა სოფელია. ჭაობებს შორის არის აგრეთვე თურქული სასაფლაო, სადაც განისვენებს დერვიშ-ფაშას არმიის 12 ათასი კაცი. მარცხნიდან გვერტყა კახაბერის მალღობები, რომლებისთვისაც უნდა შემოგვევლო, რათა შევსულიყავით ჭოროხის ხეობაში. ამ მალღობებზე ზამთრის თვეებში მომთაბარეობდნენ იალანუს-ჩამის ქურთები, მოზამთრეებთან ვნახეთ ბევრი ქურთი ბიჭუნა. ხეობასთან ახლოს ნიადაგი თანდათან მშრალი ხდება და აქა-იქ მოჩანს სიმინდის ყანები. მალღობებზე ალაგ-ალაგ დადგმულია ბეგების – მინათმფლობელების სახლები.

12 1/2 საათზე შევედით ჭოროხის ხეობაში. გზა ფართოა, კარგი; მხოლოდ ალაგ-ალაგ ქვებია ჩამოყრილი; მიემართება მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, მდინარიდან უმნიშვნელო სიმაღლეზე. გვერდით კოჭებზე მოწყობილია ქვის კარგი ფიცარნაგი ხმაურიანი რუების ჩადინებისათვის, ისეთივე როგორც საქართველოს სამხედრო გზაზეა. ხეობის ნაპირები დაფარულია პონტოური წარმოშობის მცენარეებით. აჭარის-წყლის შესართავის წინ გზა წყდება: აქ მთის ქედი ებჯინება მდინარეს და მხოლოდ ერთი ბილიკი მიემართება ციცაბო ქვიან ფერდობზე მდინარიდან საკმაოდ დიდ მანძილზე, საიდანაც ასევე ეშვება აჭარის-წყალი და სადაც მივედით 1 1/2 საათზე.

მდინარე აჭარის-წყლის ხეობა ჭოროხის ხეობასთან შეერთების ადგილას ქმნის საკმაოდ დიდ და ფართო დაბლობს, სადაც გავჩერდით დასასვენებლად. აქ იყო ახალციხის ცხენოსან-ირეგულარული პოლკის საგუშაგო. საგუშაგოს ზემოთ, ხეობაში, სოფელ დოლოგანთან<sup>11</sup> (აჭარის ხეობის მარცხენა მხარეს) მოჩანს ქვის ხიდის ნარჩენები (მარცხენა ნაპირზე – ბურჯი, მარჯვენაზე – ბოძი). ეს არის კირით ნაგები საუკეთესო წყობის ხიდი და, როგორც ჩანს, დიდი ხანი არაა, რაც მდინარეს ნაუღია.

აჭარის-წყლის შესართავის მოპირადაპირე მხარეს, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს სოფ. მირვანი. მის ქვემოთ, იმავე ნაპირზე, რუკაზე ნაჩვენებია სოფ. სიმორისი; ართვინის უბნის უფროსმა აპმედ-ეფენდიმ მას სიმონეთი<sup>12</sup> უწოდა.

ართვინის ოლქის უფროსის – ბატონ მეფისოვის<sup>14</sup> სიტყვებით, ჭოროხის მარცხენა ნაპირი მირვანიდან ზღვამდე ლაზებითაა დასახლებული. მირვანაში ნანილობრივ ქართულად ლაპარაკობენ, ნანილობრივ – მეგრულად. აჭარის მხარეს მათ თელიან ლაზებად, მაგრამ თვითონ ისინი არ ცნობენ ასეთებად თავს და ამბობენ, რომ ლაზები ცხოვრობენ მთის იქით, ზღვასთან.

2 1/2 საათზე დასვენებულები შევჯექით ცხენებზე, აჭარის-წყალზე ფონს გავედით და უხეირო ბილიკით, რომელიც მიუყვებოდა ამ მდინარის მარცხენა ნაპირს ერთი ვერსის მანძილზე, გავედით ჭოროხის ხეობაში. გზა კარგი იყო, ფართო, 3/4 საათის შემდეგ მივალწიეთ სოფ. მაჭახელას-პირს<sup>15</sup>, მაჭახელას უბნის უფროსის (თავად წერეთლის)<sup>16</sup> ადგილსამყოფელს. აქ ჩვენ დაგვხვდნენ მაჭახელას მეჯლისის წარმომადგენლები და უბნის უფროსი. მოსახლეობა გამოხატავდა სურვილს, ყოფილიყვნენ ბათუმის ოლქის და არა აჭარის დაქვემდებარებაში. ამ თხოვნას ასაბუთებდნენ იმით, რომ ქედამდე (აჭარის ოლქის მმართველობის ცენტრი) ორი დღის სავალია, ბათუმამდე – მხოლოდ 1 დღის. ლაპარაკობენ ერთ ენაზე, მაგრამ არ ენდობიან აჭარულ მეჯლისს. თურქების დროს, თავდაპირველად, ისინი ემორჩილებოდნენ ქე-

დის მამასახლისს (კაიმაკამს), მაგრამ შემდეგ, მათივე თხოვნით, დაუმორჩილეს ბათუმისას.

უბნის უფროსი სიძვირეს უჩიოდა. იგი რომელიღაც ბეგისაგან ქირობდა ორსართულიან ხის სახლს ექვსი ოთახით, დანგრეული აივნებით, რაშიც 500 მანეთს იხდიდა.

უბნის უფროსის სიტყვებით, მაჭახელელთა მთავარი საქმიანობა იყო ძარცვა. ისინი ძალზე ფანატიკურები არიან და, საშუალება რომ ჰქონოდათ, ყველა თურქეთში წავიდოდა. მათ შორის უკვე დადიოდა ხმები, რომ ბათუმში სასაზღვრო კომისიის სხდომის მონაწილე თურქი დელეგატები მოითხოვენ, საზღვარი აჭარის-წყალზე გავიდეს. ბეგები ხალხში დიდი გავლენით სარგებლობენ. ნებისმიერ საკითხზე რჩევისათვის უბნის უფროსთან მისვლამდე გლეხი თავს ვალდებულად მიიჩნევს, ჯერ ბეგისაგან მიიღოს რჩევა-დარიგება. ყადები განათლებას კონსტანტინოპოლში იღებენ.

მაჭახელას უბანში 26 სოფელია. თავადმა წერეთელმა თავისთან მიგვიპატიჟა და გეთხოვა მასთან გვესადილა, მაგრამ გადაჭრით ვუთხარით უარი და მხოლოდ ჩაი დავლიეთ. ჩვენდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ თავადი ცოლიანია. მისი ცოლი, ძალიან ახალგაზრდა და სასიამოვნო ქალბატონი, გაჰყვა მას მაჭახელასპირად წოდებულ ჯურღმულში. ის არ წუნუნებდა მონყენილობასა და მარტოობაზე, მხოლოდ საცხოვრებელი სახლის მოუხერხებლობა ანუხებდა.

მაჭახელაში კარგი თამბაქო მოჰყავთ.

3 1/2 საათზე გამოვემშვიდობეთ თავაზიან მასპინძლებს და გზას გავუდექით. უშუალოდ მაჭახელას-პირის შემდეგ ჭოროხში მარჯვენა მხრიდან ჩაედინება მაჭახელას-წყალი, რომელზედაც ქვის ხიდის ნარჩენები ჩანს.

4 საათზე ჩავუარეთ სოფ. ქვემო მარადიდს<sup>17</sup> ჭოროხის მარცხენა მხარეს უშუალოდ წყლის სანაპიროს გასწვრივ. აქ შენდებოდა ნავეები (კაიუკები). აქვეა ნავმისადგომი. ხევი ფართოვდება. სანაპიროს მინდვრებსა და მთების ფერდობებზე მოჩანს სიმინდის ყანები. ხნულები პატარაა, ერთმანეთისაგან გამოყოფილია ქვის

კედლებით, რაც სიძვირისა და სახნავი მიწის სიმწირის პირდაპირი დასტურია.

4 1/2 საათზე გავუარეთ ზემო მარადიდს<sup>18</sup>, ისიც ჭროხის მარცხენა მხარეს მდებარეობს. მარჯვენა ნაპირზე პირდაპირ წყლის თავზე კიდია ხიდის ნარჩენები. ხუთვერსიან რუკაზე ეს ხიდი შეცდომით ნაჩვენებია სოფელ ხებასთან<sup>19</sup>. სინამდვილეში, როგორც აღვნიშნეთ, ხიდი არ არის, არამედ მისი ნაწილებია. ერთთალიანი ხიდი, ალბათ, მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის იყო გაკეთებული კოჭებისაგან, რომლებიც საფეხურების მსგავსად ერთმანეთზე ეწყო ორივე ნაპირზე. ხეებზე ბევრი ვაზია ასული. სოფელ ზემო მარადიდიდან ჩვენს მოსასალმებლად ჩამოვიდა ადგილობრივი უბნის უფროსი აჰმედ-ეფენდი<sup>20</sup>, პატარა, ჯმუხი, ხანში შესული მამაკაცი, ტიპური ქართული ცხვირით. იგი ადრე თურქებთან მსახურობდა და ჰქონდა რაღაც ჩინი. ლაპარაკობდა ქართულად, მაგრამ წარმოგვიდგინეს როგორც თურქული ენის ჩინებული მცოდნე. აჰმედ-ეფენდიმ თურქული თავაზიანობით მიგვიპატიჟა თავისთან ღამის გასათევად, მაგრამ თავი ავარიდეთ, რადგან გვეშინოდა, ხვალისთვის ვერ ჩავასწრებდით ართვინში. შედეგმა გვიჩვენა, რომ პურმარილზე არასდროს და არავითარი მიზეზით არ უნდა თქვა უარი: მშვირებმა კინალამ ღია ცის ქვეშ გავათიეთ ღამე. ართვინში, როგორც ვვარაუდობდით, ვერ ჩავედით მეორე დღეს. აჰმედ-ეფენდი წავიდა. მისმა მიპატიჟებამ და საღამოს მოახლოებამ წამოჭრა საკითხი ღამის გასათევზე. გამოირკვა, რომ მ-ს უბრძანებია, ჩენი ჩასვლისთვის სოფელ ხებაში ყველაფერი მზად ყოფილიყო. რასაკვირველია, დაიბადა სრულიად ბუნებრივი კითხვა: შორსაა ხებამდე? ამაზე არავის შეეძლო პასუხის გაცემა. ზოგი ამბობდა ორი ვერსიאו, ზოგიც – ოთხიო. გამოირკვა მხოლოდ ის, რომ ეს ხება მდებარეობდა ჭროხის მარჯვენა ნაპირზე და არა მარცხენაზე, როგორც ეს მითითებული იყო ხუთვერსიან რუკაზე.

ამასობაში საღამოც მოახლოვდა. თურქეთის გზატკეცილი მარადიდიდან დამთავრდა და გავედით ბილიკზე, რომელიც მი-

ემართებოდა მარჯვენა მხარის ციცაბო ფერდობზე. ალაგ-ალაგ იგი ისეთი დამრეცი იყო, რომ ცხენიდან ჩამოვდიოდით და ფეხით ვაგრძელებდით გზას. ასე ვიარეთ საათნახევარი. 6 1/2 საათზე მთლად დაბნელდა, ხემა კი არსად ჩანდა. გავლილი გზის აღწერა აღარ შემიძლია, რადგან ვერაფერს ვხედავდი და უნდა მივინდობოდი ცხენის კეთილშობილებასა და ინსტინქტს. ვიცი მხოლოდ, რომ ვუვლიდით რომელიღაც გვერდით ხეობას, საიდანაც ისმოდა ძაღლების ყეფა, მაგრამ საიდან – ამის გარჩევა შეუძლებელი იყო. შემდეგ ისევ ჭოროხის ნაპირზე გავედით, რამდენჯერმე ავედით და ჩავედით, მაგრამ ხემა მაინც ვერ ვნახეთ. ცხენზე მჯდომარენი წინ ნანევას ვერ ვახერხებდით, რადგან ვერ ვარჩევდით ბილიქს. ჩამოვქვეითდით და ავანთეთ სანთელი, რომელიც საზრიან მ-ს თადარიგისათვის ჰქონდა წამოღებული. აჭარის-წყალზე მარილიანი საუზმის შემდეგ ყველას წყურვილი ანუხებდა. საბედნიეროდ, ახლოს ისმოდა წყლის ხმა. დავინწყეთ ძებნა და ვიპოვეთ წყარო, რომელიც ქვებს შორის ჟონავდა. ოსები ძლივძლივობით მიცოცდნენ მასთან და აიღეს ერთი ბოთლი წყალი, რომელიც ყველამ დალია. ასე მივიწვედით წინ. ცხენები სადავით მიგვეყავდა, როცა ქვემოთ – ჭოროხის ნაპირზე დავინახეთ გაჩაღებული კოცონი და მის ირგვლივ ადამიანთა ფიგურები. მ-მ ომახიანად გასძახა მათ ქართულად. ქვემოდანაც უპასუხეს. გამოირკვა, რომ ისინი ართვინიდან მოერეკებოდნენ საქონელს და ღამის გასათევად გაჩერებულიყვნენ. მათ ხმით იცნეს მ. და რადგან მდინარესთან ჩასვლა შესაძლებელი იყო, გადაწყდა დაბლა ჩავსულიყავით და კოცონთან დავლოდებოდით ალიონს. ასეც მოვიქეციით. ქვემოდან ართვინელები ანთებული მუგუზლებით გამოვიდნენ ჩვენს შესახვედრად და ამრიგად, მშვიდობით ჩავედით მდინარესთან. კოცონი გაჩაღებული იყო პატარა ნაკადთან, რომელიც ამ ადგილას ჩაედინებოდა ჭოროხში; მას იფარავდა სანაპიროს კლდეები. კოცონთან მოვთავსდით ნაბდებზე და, რასაკვირველია, ვიგრძენით შიმშილი. აღმოჩნდა, რომ ართვინელებს სათადარიგოდ ვაშლი ჰქონდათ წამოღებული, რაც ჩვენს პურთან ერთად

საუკეთესო ვახშამი აღმოჩნდა. ამით ჩვენი ილბლიანობა არ დამთავრებულა. უკვე 8 საათი იყო, უნდა გვეფიქრა ღამის გასათევ ადგილზე. ხებაზე, სადაც სამოვრით და ვახშმით გველოდებოდნენ, არც უნდა გვეოცნება, რადგან გამოირკვა, რომ ჩვენ უკვე დიდი ხანია გამოგვივლია იგი. ჩანს, კოცონთან უნდა გაგვეთია ღამე, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, რამდენიმე ნაბიჯზე მდებარეობდა ვიღაც მუსტაფა-ოღლის ცარიელი სახლი. გავემართეთ იქითკენ. სახლში ჩვენი შემთხვევითი და უცნობი მასპინძლის – მუსტაფა-ოღლის ნათესავი ორი ობოლი ბავშვი აღმოჩნდა, რომლებმაც მოლაპარაკების შემდეგ შეგვიშვეს სახლში ღამის გასათევად; უცებ შემოზიდეს შეშა, დაანთეს ნავთის ლამპარი. ცეცხლი მალე აგიზგიზდა და გაანათა საკმაოდ დიდი და სუფთა ოთახი, რომელშიც ორი გასწვრივი კედელი ჭილოფგადაფარებული ტახტებით იყო დაკავებული. ბუხარი მონყობილი იყო ერთ განივ კედელთან. ბიჭებისათვის მიცემულმა ვერცხლის მონეტამ გააღვივა მათში თავგამოდება და სიბეჯითე. მოიძებნა არა მარტო შეშა, არამედ ერთი დოქი რძეც. ვივახშმეთ პურითა და ყველით, დავაყოლეთ რძე და ღვინო, ცოტა ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მალე ჩაგვეძინა ბუხარში მოგიზგიზე შეშის ტკაცანის (განსაკუთრებით მგზავრებისათვის სასიამოვნო) ხმაზე.

მესმოდა მ-ის საუბარი ბიჭებთან, შევნიშნე, რომ იგი მათ არც ქართულად და არც თურქულად არ ელაპარაკებოდა, ეს იყო რაღაც ნარევი ორივე ენისა, შევნიშნე აგრეთვე, რომ ისინი მანონს (ქართული მყავე რძე) უწოდებდნენ მაკონს.

საჭიროა ცოტა გადავუხვიო თემას. ბათუმის ოლქის მოსახლეობის უმეტესობა ლაპარაკობს ქართულად. ეს ენა ბატონობს ქობულეთში, აჭარასა და შავშეთში. ჭოროხის ხეობაშიც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ დამახინჯებულად. იგი ბევრგან თურქულითაა შეცვლილი. რუსული ენით ხალხთან ურთიერთობაზე საერთოდ ფიქრიც არ შეიძლება, ამიტომ ადმინისტრაცია ხალხს ან თურქულად, ან ქართულად ელაპარაკება.

იქ, სადაც თურქულს ვერ გებულობენ (ჯერ კიდევ არის ასეთი ადგილები), რასაკვირველია, ხმარებაშია ქართული ენა. მაგრამ იქაც, სადაც ხალხისათვის თურქული გასაგებია, ოფიციალურ ენად, მე მგონი, უნდა იყოს ქართული. ეს უკანასკნელი დავინწყებას ეძლეოდა იმის გამო, რომ თურქული მმართველობის დროს მთავრობა მოსახლეობას ელაპარაკებოდა თურქულ ენაზე, ქართულ ენას აგდებულად ეპყრობოდნენ როგორც არამუსლიმურ ენას, ასე რომ, ქართველობაც სამარცხვინო იყო. შესაბამისად, თუ მთავრობა კვლავ ქართულად ალაპარაკდა, მაშინ ხალხიც ძალაუნებურად გაიხსენებს თავის მშობლიურ ენას და ისაუბრებს ამ ენაზე. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. ქართული ენის აღდგენა განუახლებს ამ ხალხს მოგონებებს საქართველოსთან ტომობრივი კავშირისა, რომელიც ბოლომდე არ ჩამკვდარა. აქედან გამომდინარე, მათი ზნეობრივი სწრაფვა სამშობლოსაკენ იქნება ისეთივე, როგორიც ახლა აქვთ მათსავით ერთენოვან და ერთმორწმუნე თურქეთთან. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თურქული ენის ცნება ხალხის ცნობიერებაში გაიგივებულია მუსლიმობის, ისევე, როგორც ქართული ენა – ქრისტიანობის ცნებასთან. შესაბამისად, ქართული ენის აღდგენით თავისთავად ერთი კავშირი მაინც განწყდება მუსლიმობასთან. მე არ ვლაპარაკობ ქართული ენის ძალად თავსმოხვევის შესახებ. ვისურვებდი მხოლოდ იმას, რომ მთავრობამ, საჭიროებისას, წერილობით ან ზეპირად მიმართოს ხალხს ქართულ ენაზე. ეს სრულიად საკმარისი იქნება: თუ ქართულმა ენამ გაქრობა დაიწყო ნაწილობრივ იმიტომ, რომ თურქების დროს იგი საჭირო არ იყო, ახლა იგი შეიძლება აღდგეს, თუ ხალხი გაიგონებს ქართულ ენას თავიანთი უფროსებისაგან. ყოველ შემთხვევაში, ქართულიდან რუსულ ენაზე გადასვლა დროთა განმავლობაში უფრო ადვილი იქნება, როგორც ქრისტიანულიდან ქრისტიანულზე, ვიდრე თურქულიდან რუსულზე, რადგან ეს ორი ენა ხალხის თვალში განასახიერებს რელიგიურ იდეას.

ყველაზე ნმინდად და ხელშეუხებლად ქართული ენა შემორჩა ქობულეთში, აჭარასა და მაჭახელაში, ე. ი. იმ ადგილებში, სადაც თურქულ მთავრობას ფაქტობრივად ძალზე მცირე ძალაუფლება ჰქონდა და მართავდა ადგილობრივი ბეგების მეშვეობით. ეს პირდაპირი მტკიცებაა მოსახლეობაზე იმ ენის გავლენისა (რაც მეტად საყურადღებოა), რომელზედაც ლაპარაკობს ხელისუფლება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. მისი გატარება საჭიროა ფრთხილად და განუხრელად, რადგან თურქული ენა ვრცელდება ძალიან სწრაფად. არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რაც დევუპეით 1829 წელს ახალციხის მაზრის შემოერთების შემდეგ მაშინ ჩვენ არ ვიცოდით ან დაგვაფიქნდა, რომ ამ მაზრაში ბევრი გამუსლიმებული ქართველი იყო, მათ თურქებად მივიჩნევდით და მივმართავდით თურქულად. შედეგმა ძალიან მალე იჩინა თავი: ქართული ენა უკვალოდ გაქრა და თურქეთთან ყოველი ომის დროს ჩვენი საზღვრისპირა მუსლიმი მოსახლეობის განწყობილების შიში გვაქვს. აუცილებელია აგრეთვე სასწრაფოდ გაიხსნას დანყებითი სასწავლებლები, სადაც უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა.

ჩვენდა საბედნიეროდ უნდა აღინიშნოს, რომ ოლქში მუსლიმური სამღვდლოება, როგორც ჩანს, არც ისე მრავალრიცხოვანია და არც ისე თავგამოდებულად ცდილობს შეასწავლოს ბავშვებს ყურანის კითხვა. თუმცა შეიძლება ვცდები კიდევ, მ. ყვებოდა, რომ აქამდე ზოგიერთი ადგილის მკვიდრთ ბრწყინვალე დღესასწაულის წინ ჩვეულებად აქვთ უძველესი ეკლესიების ნანგრევების მონახულება და იქ ანთებული სანთლების დადგმა.

ახლა ისევ ვუბრუნდები შეწყვეტილ თხრობას ჭოროხზე ჩვენი მოგზაურობის შესახებ.

5 ნოემბერი. 8 საათზე დავტოვეთ მუსტაფა-ოღლის სახლი. დილა ნათელი და გრილია. იმედია, დღეს მივალწევთ ართვინს. მხოლოდ სკეპტიკური მ. აფუჭებს საერთო განწყობას და აღთქმულ ართვინამდე მილწევის ეჭვს გამოთქვამს. თუმცა ისიც ვარაუ-



დობს, რომ დღეს შეეძლებოდა სინგოთამდე მისვლას, იქ ლამის გათევას და ხვალ დილით ადრე ართვინში ჩასვლას.

ჭოროხის დონიდან ავედით მარჯვენა ნაპირის ვიწრო ბილიკზე, რომელიც ციცაბო ფერდობით დიდ სიმაღლეზე მიემართება. გუშინ მთელ გზაზე ცხენებიდან მხოლოდ ოთხჯერ ჩამოვედით, ახლა კი 1 1/2 საათში ბორჩხამდე – ძალიან ბევრჯერ. ლამისთვის ადგილიდან ბორჩხამდე, სადაც 9 1/2 საათზე ჩავედით, სამჯერ ავედით და ამდენჯერვე ჩამოვედით საკმაოდ დიდი სიმაღლიდან. მთის ფერდობები დაფარულია მშვენიერი, ნორჩი მცენარეულობით: ფიჭვები და მათ გვერდით მირტები, კუნელი, Solanum-ის რომელიღაც სახეობა და სხვ. ჭოროხის ხეობა ისევ დავინროვდა, სანაპირო მოედნები ვიწრო ლენტისებურია. ფერდობებზე, ძალიან დიდ სიმაღლეზე ქვის კედლებით გაყოფილი ხეულები მოჩანს.

1/2 საათის შემდეგ გადავედით ყალასყურის-წყლის საკმაოდ მნიშვნელოვან შენაკადზე, რომელიც ჭოროხს ფართო ხეობიდან უერთდება. ძალიან მაღალ და კლდოვან ორ კონცხზე, რომლებიც წარმოქმნილია ჭოროხისა და ყალასყურის-წყლის ხეობების შეერთებით, რაღაც ნანგრევებია. აჰმედ-ეფენდი, რომელიც დილით შემოგვიერთდა, ამტკიცებს, რომ მარჯვენა კონცხზე დგას ციხესიმაგრე ან, უფრო სწორად, კოშკი, მარცხენაზე კი ეკლესიის ნანგრევებია. ძლიერ ვწუხვარ, რომ ჩვენმა სურვილმა, რომელიც, სხვათა შორის, არ განხორციელდა, დღესვე ჩავსულიყავით ართვინში, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სინგოთში<sup>21</sup>, ხელი შეგვიშალა ეკლესიის ნანგრევების დათვალიერებაში. ჭოროხზე ეკლესიის ნანგრევები დიდი იშვიათობაა.

აჰმედ-ეფენდიმვე გვაცნობა დასახელებაც – ყალასყურის-წყალი (რუკაზე ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი შენაკადი საერთოდ არ არის აღნიშნული). იგი ჭოროხში ჩაედინება იქ, სადაც რუკაზე აზაგო-ბაშის კოშკია მითითებული. ამ უკანასკნელ სახელწოდებას, რომელიც, ალბათ, აღნიშნული ეკლესიის ნანგრევებს მიეკუთვნება და რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, აჰმედ-ეფენდი არ იცნობს.

მესამე აღმართის შემდეგ შორს, დაბლა, მოედნის ნაპირას, გამოჩნდა ვლადიკავკაზის პოლკის ბანაკი, მოპირდაპირე მხარეს კი, მარცხენა ნაპირას – სოფელი ბორჩხა. ცხენებიცა და მხედრებიც გამხნევენ კარგი საუზმის მოლოდინში. დავინწყეთ სწრაფად ჩამოსვლა, 9 1/2 საათზე უკვე სანაპიროზე ვიყავით და ნავით (კაიუკით) გადავედით მარცხენა ნაპირზე – ბორჩხაში. ცხენები გავიდნენ ფონს. აქ ჩვენ შეგვხვდნენ ბანაკად განლაგებული გურიის ფეხოსანი რაზმის ოფიცრები და მათთვის დამახასიათებელი გულითადობით მიგვინვიეს დასასვენებლად და საუზმეზე. ყველა მილიციონერი თითქოს საგანგებოდაა შერჩეული, ერთმანეთზე უკეთესი, გურიის ხალხის საუკეთესო ნაწილი. ისინი ჩიოდნენ, რომ აქამდე შინ არ უშვებენ. ომის დროს მოხალისეებად მივიდნენ, ახლა კი, კარგა ხანია ზავია დადებული, მათი გაშვების განკარგულება კი ჯერაც არ მოსულა. ისინი უარს არ ამბობენ სამსახურზე, თუ ამას გარემოება მოითხოვს, მაგრამ მათი მეურნეობა ორწლიანი არყოფნის შემდეგ თანდათან იშლება.

მილიციონერებს შორის აღმოჩნდა რამდენიმე ყმანვილი 13-14 წლისა, მთლად ბავშვები. ერთი მათგანი თავისი ორიგინალური გურული ჩაცმულობით განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდა. ოფიცრები აქებდნენ მას, როგორც მამაც მებრძოლს და კარგ მსროლელს. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ამასთანავე იგი ჩინებული მოცეკვავე და მუსიკოსიც ყოფილა.

ოფიცრებმა გვთხოვეს მათთან გვესაუზმა. წინადადება მივიღეთ იმ პირობით, რომ საუზმე დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგან გვეჩქარებოდა და რაღაც არ უნდა დაგვეჯდომოდა, დღესვე უნდა ჩავსულიყავით ართვინში. ასეთი პირობით მივეუსხედით მაგიდას და... მოხდა ის, რაც ყოველთვის ხდება ქართულ სუფრაზე, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუქარგავს მსგავსება ჰომეროსის მიერ აღწერილ ნადიმებთან: ბორჩხიდან მხოლოდ მეორე დღეს დილით გავედით. უსარგებლოა აღწერო დღის პროგრამა და საუზმის, სადილისა და ვახშმის menu. ისინი ცნობილია, უმთავრესი მათ შორის იყო რაზმის ერთ-ერთი ოფიცრის

მიერ დაყენებული ახალი ღვინო (მაჭარი) ადგილობრივი ყურძნის-  
აგან. იყო, რასაკვირველია, გურული სიმღერები და ცეკვები –  
არალო – უბრალო და ორმაგი, ე. ი. ერთი დგებოდა მეორის მხრე-  
ბზე. ისაა ცეკვის არსი, რომ ხელიხელჩაკიდებული რამდენიმე  
ადამიანი ქმნის წრეს, სიმღერისა და დაირის (რომელსაც კარგად  
ფლობდა ზემოთ ნახსენები ბიჭი – მილიციონერი) ხმებზე  
მოძრაობს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს და ფეხებით ასრულებს  
სხვადასხვა მარტივ პას. ბოლოს ცეკვაში მონაწილეობა მიიღო  
ზოგიერთმა ცნობისმოყვარე მოგზაურმაც. ისინი, ალბათ, ისე  
გადაღალა გამალებულმა ცეკვებმა, რომ 4 საათზე დანვნენ  
დასაძინებლად და ეძინათ მეორე დილამდე. უნდა დავამატო, რომ  
სოლიდური აჰმედ-ეფენდიც არ ჩამორჩა საერთო მხიარულებას.  
იგი ისე აკურათულად და კეთილსინდისიერად ასრულებდა თამა-  
დის ბრძანებას, რომ მალე სახე ფესის ფერისა გაუხდა. ეს ძალიან  
კარგი ნიშანია: მაშასადამე, თურქულ გავლენას მასში ჯერ კიდევ  
მთლად არ ჩაეკლა ქართული სული.

სოფელი ბორჩხა მდებარეობს იქ, სადაც ჩაირ-სუ ჩაედინება  
მდ. ჭოროხში. სახელწოდება ჩაირ-სუ, რომელიც ნაჩვენებია ხუთ-  
ვერსიან რუკაზე, ადგილობრივ მცხოვრებთათვის უცნობია: ისინი  
ამ შენაკადს უწოდებენ ჩხალის-წყალს. სოფელი ჭოროხის ნაპირ-  
იდან, სადაც მდებარეობს კაიუკების (ნავების) ნავმისადგომი, ამ-  
ფითეატრივით მიემართება მთაში. სოფელი დიდია, აქ არის ორი  
და სამსართულიანი ქვისა და აგურით ნაშენი ხისჩარჩოიანი სახ-  
ლები. ბევრია აგრეთვე ხის ნაგებობები.

ბორჩხელების მთავარი საქმიანობაა აგურის მოჭრა, კრამიტი-  
სა და თიხის დოქების კეთება: ისინი ამ ნაკეთობებით ამარაგებ-  
დენ ჭოროხისა და ბათუმის სანაპიროებს. ხვნა-თესვას ნაკლებად  
ეტანებიან. ეს გასაგებიცაა: ჭოროხის მთელ სანაპიროზე ამის-  
ათვის ხელსაყრელი ადგილი არც არის. ხნულები პატარაა, ერთ-  
მანეთისაგან გამოყოფილია ქვის კედლებით და მდებარეობს ცი-  
ცაბო მაღლობზე. ბორჩხაში მოდის კარგი ყურძენი, რომელიც  
მხოლოდ თხევად მდგომარეობაში გავსინჯეთ.

ბორჩხაში, როგორც აღვნიშნეთ, არის კაიუკების (ნავეების) ნავსადგური. ყველანი – ზემოთ თუ ქვემოთ მიმავალნი – დასასვენებლად აქ ჩერდებიან. ამასთან დაკავშირებით აქ დუქნებიც კი არის სასმელებითა და ნაირნაირი ნუგბარით. შესანიშნავია, რომ აქ საერთოდ არ ჩანან სომხები, რომელთა გარეშე დუქნების არსებობა წარმოუდგენელია, დუქნის გარეშე კი კავკასიაში არც ერთი სოფელი არ არის. აქ დუქნებში სხედან ქართველები, ლაზები ანდა, როგორც მათ ეძახიან, თურქები. ეს ამტკიცებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მრეწველი ხალხია და არც ისე გულუბრყვილო, როგორც ჩვენი ქართველები. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ მოსახლეობას არ ჰქონდა შესაძლებლობა, მინათმოქმედებისათვის მოეკიდა ხელი, რის გამოც ვაჭრობასა და ხელოსნობას მიმართა. კავკასიის იქით კი მთელი მოსახლეობა ძირითადად მინათმოქმედი, ამიტომ განუვითარებელი, ჩამორჩენილია და ყველა თავისი მოთხოვნილებით მონურ დამოკიდებულებაშია სომეხი ვაჭრებისაგან. ამბობენ, რომ სომხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შავშეთში: ეს პირდაპირი მტკიცებაა ზემოთ წარმოდგენილი თეზისისა, რადგან შავშეთის მოსახლეობა, როგორც ჩანს, მინათმოქმედებას მისდევს.

ნავეები (კაიუკები) ბორჩხიდან ბათუმამდე იღებენ 10 მანეთს.

ხებადან ბორჩხამდე ნავეები (კაიუკები) ანდომებენ 4 საათს.

როგორც ჩანს, ბორჩხელები საკმაოდ შეძლებული ხალხია. ლაპარაკობენ როგორც თურქულად, ისე ქართულად. რაზმის ერთი ოფიცრის თქმით, ბორჩხაში თითქმის თავდება ქართული ენის გავრცელების არეალი. ზოგიერთები კიდევ ლაპარაკობენ ქართულად სოფელ ახალდაბაში, მაგრამ ჭოროხის ზემოთ ეს ენა ადგილს უთმობს თურქულს.

ბორჩხის პირდაპირ, კონცხზე, რომელსაც ქმნის ჩხალის-წყლის მარჯვენა და მდ. ჭოროხის მარცხენა ნაპირები, დაბალ კლდეზე მოჩანს პატარა ციხესიმაგრის ნანგრევები. ნაგებობა გაუთლელი ქვისაა, სავარაუდოდ, იგი ქართულია. ნახევარელიფსის

ფორმის დაბალი გარეთა კედელი ჯერ კიდევ შემონახულია, მის შიგნით ჩანს სამი ნაგებობის საძირკველი. კედელში არ არის არც სათოფური და არც სხვა რაიმე ხერელი. მისი მდებარეობით თუ ვიმსჯელებთ, სიმაგრის დანიშნულება იყო მეთვალყურეობა მდ. ჭოროხსა და მის გვერდით ხეობაში მოძრაობაზე.

ჭოროხის დინების ზემოთ, ნახევარი ვერსის მანძილზე, მარცხენა ნაპირზე, რომელიც რუკაზე აღნიშნება კამურენის სახელწოდებით, ზუსტად ნაკადის შესართავის პირდაპირ (ნაკადს ხუთვერსიან რუკაზე შუახევი ეწოდება), მდინარის ზემოთ, მაღალ კლდეზე კოშკის ნანგრევებია. მისგან შემორჩენილია მხოლოდ გაუთლელი ქვებით ამოყვანილი მარცხენა კედელი ერთი სათოფურით, რომლის ქვემოთ ფანჯრის თუ ხერელისმაგვარი რაღაც მოჩანს.

ადგილობრივი თქმულების მიხედვით, რომელიც აჰმედ-ეფენდიმ მოგვიყვა, სიმაგრეცა და კოშკიც აუშენებია ორ ძმას, რომლებიც ლაზეთიდან მოსულან. თავდაპირველად ისინი მეგობრულად ცხოვრობდნენ, შემდეგ დამღურებიან ერთმანეთს, განცალკევებულან და ერთს აუშენებია სიმაგრე, მეორეს კი - კოშკი. ლეგენდა არცთუ ისე საინტერესოა მისი სიმცირის გამო, რაც იმის დამამტკიცებელია, თუ როგორ შეძლო თურქულმა გავლენამ და მაჰმადიანობამ ასე სწრაფად წაეშალა ხალხის მეხსიერებაში მოგონებები წარსულ მოვლენებზე. ბორჩხიდან ჩხალის-წყლის ხეობის გავლით მიდის ბილიკი სანაპირო ლაზეთში, ხოფისკენ.

ზემოთ, როცა კოშკის ნანგრევებზე ვსაუბრობდი, ვახსენე, რომ ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია სოფელი კამურენი და ნაკადი შუა-ხევი. ეს სახელწოდებები გამოკითხვისას არავისგან გამიგონია. სოფ. კამურენი აჰმედ-ეფენდიმ მოიხსენია როგორც ნითურეთი, ხოლო შუა-ხევს ზოგი უწოდებდა დევსხელის-წყალს, აჰმედ-ეფენდი კი - ნითლის-წყალს. შუა-ხევის შესართავთან რუკაზე აღნიშნული სიმაგრის ნანგრევები არ შემიმჩნევია. ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე, ალბათ, შეცდომით არის ნაჩვენები ის კოშკი, რომელზეც ზემოთ მქონდა საუბარი.

6 ნოემბერი. ავდექით დილის 4 1/2 საათზე, ჯერ კიდევ სიბნელე იყო, გრილოდა. ვიმედოვნებთ, რომ დღეს მოვხვდებით ართვინში, თუმცა ყველა მოულოდნელობისა და უკუღმართობის შემდეგ ამის შესახებ უკვე ვერავინ ამბობს დაბეჯითებით, მხოლოდ ვვარაუდობთ: თუ არაფერი შეგვიშლის ხელს. როგორც გვითხრეს, დღეს გასავლელი გზა ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე აქამდე იყო. გაირკვა, რომ აქედან გავუყვებით არა მარცხენა ნაპირს, როგორც ვვარაუდობდით, არამედ, როგორც უნინ, – მარჯვენას, რადგან აქ გზა უკეთესია, რასაკვირველია, შედარებით. თუმცა ტელეგრაფის ხაზი გადის მარცხენა ნაპირზე.

ნავით გადავედით მარცხენა ნაპირზე, ცხენები ფონით გადავიყვანეთ. ჭოროხი ამ ადგილას ფართოდ, მშვიდად მიედინება. ვლადიკავკაზელთა ბანაკში სინყნარე იყო, მხოლოდ მზარეულები ფუსფუსებდნენ ქვაბებთან, რომლებშიც უკვე იხარშებოდა შეჭამადი. დღეს ვლადიკავკაზელები აიღებენ თავიანთ ბანაკს და გადაინაცვლებენ ხებაში.

6 საათზე დავადექით გზას ახალი ცხენებით, წინანდელნი, რომლებიც ბათუმში ავიყვანეთ, გავგზავნეთ უკან იმ განზრახვით, რომ ისინი დაგვხვდებოდნენ კოპანდიბის საზღვართან, რომლის მახლობლად ვაპირებთ გადმოსხდომას ართვინიდან უკანა გზაზე.

თენდებოდა. მზე ამოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ ჩრდილში ვიყავით და დილის განთიადისწინა სიგრილე უნებურად ინვევდა ფიქრს თბილ ლოგინზე.

მალე მივალწიეთ დევსხელის-წყლის შენაკადს (ანუ რუკაზე შუა-ხევი), რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი, და გადავედით ერთთაღიან ქვის ხიდზე, რომელიც რიყის ქვით იყო მოკირწყლული. ხიდი ვინროა, ალბათ, გაანგარიშებულია მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა და ცხენოსანთათვის.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჭოროხის აუზში, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც გავიარეთ, ურემი ან ეტლის რომელიმე სახეობა უცნობია და წარმოუდგენელიც იქნება მათი გამოჩენა ამ

ვინრო, ციცაბო და მაღალ ბილიკებზე, რომლებიც გზების როლს ასრულებს. აქ, ალბათ, ცხენებიც კი თითქმის არ გამოიყენება არც ცხენოსნობისთვის და არც საპალნედ. ჩვენ მიერ გავლილ გზაზე ბათუმიდან ართვინამდე კახაბერთან მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა ორი ცხენი და ერთი სახედარი საპალნით აჭარიდან. საერთოდ, ყველა ფეხით დადის, ზურგზე შემოდებული ტვირთიანი კალათებით და მხარზე გადაკიდებული თოფით. ასეთი ქვეითად მოსიარულე რამდენიმე შეგვხვდა გზაზე და, უნდა ითქვას, რომ ისინი შესანიშნავი ფეხით მავალნი არიან. ჩვენი თანმხლები მკვიდრნი წინ მიგვიძლოდნენ და, როგორც ჩანს, სულ არ გრძნობდნენ დაღლას. ყველა მათგანი რალაცნაირად თავისებურად დადის – თითქოს ოდნავ ჩაიმუხლებენ სიარულისას. აღსანიშნავია კიდევ ის, რომ ბევრს ცალ ხელში თოფი უკავია, მეორეში – ქოლგა.

ბათუმის მხარის მთელი მოსახლეობა, როგორც იტყვიან, შეიარაღებულია თავით ფეხებამდე, ბავშვებიც კი. თოფებს ატარებენ არა მხარს უკან, არამედ მხარზე, მუდმივ მზადყოფნაში. ქამრებში გარჭობილი აქვთ წყვილი პისტოლეტი. ყველა იარაღი კაჟიანია და, როგორც შევნიშნეთ, ინგლისური ნარმოებისა, ყოველ შემთხვევაში, აქვთ ლონდონის შტემპელი. როგორც ამბობენ, თურქებმა მოსახლეობას დაურიგეს 14 ათასი უახლესი სისტემის იარაღი, დღესდღეობით ეს იარაღი სახაზინოა, შეიძლება მისი ჩამორთმევა და ჩვენ ვნახეთ ბათუმში ართვინის ოლქიდან ჩამოტანილი 3 ათასი თოფი, მათ შორის ბევრი იყო პიბოლი-მარტინის სისტემისა. უნდა აღინიშნოს, რომ აქაური მკვიდრნი არ ატარებენ არც ხანჯალს და არც ხმალს. ისინი არ იპარსავენ თავს, მაგრამ ნიკაპი გაპარსული აქვთ. მხოლოდ მოხუცები და თურქეთის სამსახურში მყოფნი ატარებენ წვერს.

გადავედით რა დევსხელის-წყალზე, გვერდი აუუარეთ ბორჩხის კრამიტის ქარხნებს და 7 საათზე ჩავუარეთ მურლულის-წყლის შესართავს. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი შენაკადი, რომელიც ჭოროხს მარცხენა მხრიდან ერთვის. მასზე მოჩანს ნახევრად

დანგრეული ქვის ხიდის ნარჩენები. მხოლოდ მარცხენა ნაპირისკენ გადარჩენილა ერთი თალი და ქვის ორი ბურჯი.

მურღულის-წყლის ხეობა შესართავთან ძალიან ფართოა. მისი სიგრძე, როგორც ამბობენ, 15 ვერსს აღწევს. აქ საკმაო რაოდენობის მოსახლეობაა, არის ვაშლის ბაღებით განთქმული ადგილები, თესენ ხორბალს. ხეობის შესართავთან დგას გურიის რაზმის პიკეტი. მალე რაზმი გაიგზავნება ხეობის ზემოთ საგუშაგოების დასაკავებლად თურქეთის სასაზღვრო (ლაზეთის მხრიდან) ქედზე.

8 საათზე საოცრად დათბა, ნათელი, წყნარი დილაა. შევუდექით ციცაბო და ცხენებისათვის მეტად დამქანცველ აღმართს კლდოვან თხემზე, რომელიც ფრიალო ფლატეთი ჩაბჯენილია მდინარეში. როგორც ჩანს, აქ შეიცვალა მთის ქანები. მთები უფრო მაღალია, მათი მწვერვალები – უფრო ბრტყელი, ფერდობები – უფრო დამრეცი. ჩვენგან მარცხნივ ლამაზი კლდეებია. ტყე გამეჩხერდა, გვხვდება ფიჭვის ხეები და პალმები (ბზა). როგორც ჩანს, ტყე აქ ხშირად იჩეხება და მხოლოდ დაბალი ბუჩქნარი მიგვითითებს იმაზე, რომ ამ ადგილას ოდესღაც ტყე ყოფილა. ჩვენი ყურადღება მიიპყრო გასროლისმაგვარმა გრიალმა. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი კლდიდან მთის ქანები ყრიდნენ მორებს, რომლებიც ვარდნის დროს ეჯახებოდნენ კლდის შეერილებს და გამოსცემდნენ გასროლის მსგავს ხმებს. რა თქმა უნდა, ხე-ტყის გადაზიდვის ასეთი ხერხის წყალობით მორები იმტვრევა. ავედით მთის თხემზე და შევისვენეთ. აქედან მოჩანდა სოფ. ახალ-დაბა, რომელიც ჩვენს ზემოთ იყო განლაგებული (ხუთვერსიან რუკაზე იგი შეცდომით ნაჩვენებია უფრო ქვემოთ, ნაპირთან). ჩვენს პირდაპირ, მარცხენა ნაპირზე, ქვემოთ მდინარეზე სოფ. ორჯაა<sup>22</sup>, ხეობაში კი – სოფ. კატრია.

წინ კიდევ გადასალახავი გვრჩებოდა სამი ასეთივე მაღალი თხემი, რომლებიც ისე იყვნენ ჩაბჯენილნი მდინარეში და ერთმანეთს შორის ისეთ ღრმა ნაკეცებს ქმნიდნენ, რომ ბილიკები გადიოდა მათზე და არა შემოვლით, სანაპიროს გაყოლებით.



10 საათზე გავიარეთ სოფ. ავანთან<sup>22</sup> (რუკაზე არ არის), რომელიც მდებარეობს მარცხენა ნაპირის საკმაოდ მაღალ ადგილას. მებადებოდა კითხვა, რამ აიძულა ამ სოფლების მცხოვრებნი, დასახლებულიყვნენ ასეთ მაღალ ადგილას და მდინარისაგან ასე შორს. ვფიქრობ, მიზეზი ამ მხარის ტოპოგრაფიული პირობები უნდა იყოს: ჭოროხი მიედინება ისეთ ვიწრობაში, რომ თავის გარშემო არ ტოვებს საკმაო ადგილს დასახლებისთვის. მისი ნაპირები ციცაბოა, ფლატეებიანი და არახელსაყრელია კულტურების მოსაყვანად. თუმცა თხემის მწვერვალებზე არ არის ტყე, ისინი უფრო ბრტყელია და, აქედან გამომდინარე, კარგი პირობებია მიწის დასამუშავებლად და მესაქონლეობისათვის. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მესაქონლეობის კვალი აქ არ შეიმჩნევა. მთელი დღის განმავლობაში გზაზე გამოჩნდა მხოლოდ რამდენიმე თხა და მომცრო ტანის რქოსანი საქონელი. ყველა სანაპირო ადგილი უკვე დაკავებული აქვთ სოფლებს.

10 1/4 საათზე ციცაბო და ქვიანი ბილიკებით დავეშვით ძირს, რაც ძალიან მომქანცველი იყო, გადავლახეთ პატარა შენაკადი და შევისვენეთ სოფ. ირსის<sup>24</sup> ზემოთ. იგი რუკაზე ნაჩვენებია მაღლა და მდინარისგან შორს. სინამდვილეში კი მდებარეობს მდ. ჭოროხის ნაპირზე და თავისი ბალებითა და ნათესებით მშვენიერი სანახავია. ჩვენ მოვენყვეთ ნაბდებზე პატარა ნაკადულის პირას, რომელიც ოდნავ მონანკარებდა, და ვისაუზმეთ.

სოფ. ირსა დავეტოვეთ 11 1/4 საათზე და კვლავ შევუდექით მეტად მომქანცველ აღმართს მთაში. 12 საათზე გავიარეთ სოფ. ომანთან (მარცხენა ნაპირზე), რომელიც მაღლა მთაზე მდებარეობს. 12 1/2 ს. როგორც იქნა მივალნიეთ სიმაღლეზე განლაგებულ პატარა სოფელ სინგოთს (ხუთვერსიან რუკაზე შეცდომით ნაჩვენებია ქვემოთ). იქ დაგვხვდნენ სინგოთის საზოგადოების წარმომადგენლები. მ-მ წარმოგვიდგინა თანასოფლელები, როგორც უპირველესი ყაჩაღები. მართლაც, საკმარისი იყო შეგვეხედა მათი ფიზიონომიებისთვის, რომ მივმხვდარიყავით, რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი. შუადღის პირველ საათზე, ახალ ცხენებზე

ამხედრებულებმა, განვაგრძეთ გზა, ძალიან ციცაბო ბილიკით ავდიოდით სულ ზემოთ და მალე შევამჩიეთ თურქეთის გზატკეცილი, რომელზეც გავედით რამდენიმე წუთის შემდეგ. გზატკეცილი ჯერ დაუმთავრებელია, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე შესრულებულია. აშენებულია შესანიშნავი ქვის ხიდები, ციცაბო ადგილებზე, სადაც გზა გარს უვლის კლდეებს, გაკეთებულია ქვის კედლები. საკმარისია მხოლოდ გაინმინდოს გზატკეცილი ადგილ-ადგილ მასზე დაყრილი ქვებისაგან, დაიყაროს მინა ხიდებსა და საყრდენ კედლებზე და ჩვენ გვექნება მშვენიერი, სოლიდურად აშენებული გზა. გზატკეცილი გადის მეტად მნიშვნელოვან სიმაღლეზე (2000 ფუტამდე), კირქვიან ქანზე, რომელიც ადგილ-ადგილ შეღებილია, ალბათ, სპილენძის უანგით, ღია მწვანედ. ხუთვერსიან რუკაზე ეს გზატკეცილი ნაჩვენებია მხოლოდ ჩარბიეთიდან დაწყებული. ტყე აქ უკვე აღარ არის, კუნძებით თუ ვიმსჯელებთ, იგი გაუჩეხიათ და მისი ადგილი დაუკავებია წერილ ბუჩქნარს.

სინგოთიდან ჩვენმა გზამ, რომელიც აქამდე სამხრეთისკენ მიდიოდა, იცვალა მიმართულება აღმოსავლეთისაკენ. მოვუხვიეთ თუ არა, გამოჩნდა საკმაოდ ფართო ხეობა. იგი უერთდებოდა ჭოროხს მარცხენა მხრიდან. ამ ხეობით ჩაედინება ჭოროხში პატარა მდინარე ხატილა-სუ. მის სათავეში მოჩანს ერთთაღიანი ხიდი. გზატკეცილზე ვნახეთ გაუთლელი ქვით ამოყვანილი რალაც ნაგებობის ნარჩენები. ეს იყო გზაზე მომუშავეთა ყაზარმების ნაშთი თუ სხვა რამ უფრო ძველი და საინტერესო, ვერავინ აგვიხსნა.

ხუთვერსიან რუკაზე, სოფ. ირსასა და სინგოთს შორის, ნაჩვენებია კოშკის ნანგრევები. ჩვენ ისინი ვერ ვნახეთ. შესაძლოა, ეს სწორედ ის ნაგებობაა, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი. რუკაზე, როგორც ჩანს, ეს პუნქტები აღნიშნული იყო კოხის მითითებითაც, რომელიც ნამდვილად მიანიშნებს რალაც ნანგრევებზე ამ ადგილას. მაგრამ, რადგან იგი მიემართებოდა ჭოროხის მარცხენა სანაპიროთი, ადვილი შესაძლებელია, შემცდარიყო.

დაბოლოს, მსუბუქი ნისლითა თუ ბურუსით დაფარული, თითქოს გამჭვირვალე მარმაში გადაჰფარებიან, სივრცის იქით ჩვენს წინ, ფერდობზე, გადაიშალა ქალაქი ართვინი. წვრილმანებლის გარჩევა შეუძლებელი იყო, მხოლოდ მეჩეთთა მინარეთები იკვეთებოდა მონაცრისფრო ფონზე. ჩვენამდე საიდანლაც აღწევდა სასიგნალო ბუკის ხმები, უთუოდ, მიმდინარეობდა სწავლება ქალაქში განლაგებულ პლასტუნთა ბატალიონში. ჭოროხი მოჩანდა ქვემოთ, ვინრო მუქი ლენტის სახით, გარშემო მთებზე, მნიშვნელოვან სიმაღლეზე, მიიკლაკნებოდა ბილიკები უცნობი შორეთისაკენ.

თუმცა ართვინის უმაღლესი ნერტილი, როგორც ჩვენთვის იყო ცნობილი ბ-ნი ყაზბეგის აღწერილობიდან, 1768 ფუტის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, იგი ჩვენს ქვემოთაა. ეს გარემოება გვაძლევდა საშუალებას, დაახლოებით განგვესაზღვრა ის სიმაღლე, რომელზეც გადიოდა თურქეთის გზატკეცილი, აგრეთვე გაგვეთვალისწინებინა ის გზა, რომელიც, მიუხედავად ქალაქის სიახლოვისა, უნდა გაგვევლო: 2000 ფუტის სიმაღლიდან უნდა ჩავსულიყავით ჭოროხზე გადებულ ხიდანდე (280 ფუტი ზღვის დონიდან) და იქიდან ისევ ამოვსულიყავით 1500 ფუტზე მეტ სიმაღლეზე.

2 1/4 ს. დავტოვეთ გზატკეცილი და გზის შესამოკლებლად დავეშვიტ ციცაბო ბილიკით, რომელიც დასაწყისში თითქოს დაწყალი ცარცით იყო მოფენილი. ცხენებზე ჯდომა გაგვიძნელდა და ისინი სადავით მიგვყავდა. მალე დამთავრდა თეთრი ქანები და მათთან ერთად ტყე. შემდეგ ნამდვილი ბილიკი აღარ იყო, მხოლოდ რალაც მინიშნება მასზე - უფრო სწორად ნაღვარევი ქვიან გრუნტში, რაც ძალიან გვიძნელებდა სიარულს. საზოგადოება, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, გაიყო, თითოეული ირჩევდა ბილიკს თავისი შესაძლებლობის მიხედვით. ჩვენს ქვემოთ, ხიდზე, ყავახანასთან დურბინდით დავინახეთ შავტანსაცმლიან და წითელფესიან ადამიანთა ჯგუფი. ესენი იყვნენ ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები.

როგორც იქნა, მშვიდობიანად ჩავედით ძირს. 3 1/2 საათი იყო. წითელთავიანები აფუსფუსდნენ, ჩამწკრივდნენ რიგში, დაიწყო ყავით გამასპინძლება, რაც სწორედ დროული იყო, და მოქალაქეების გაცნობა.

შემდეგ ისევ შევსხდეთ ცხენებზე და მოქალაქეთა თანხლებით ლამაზი, ერთთალიანი ხიდით გადავედით მეორე მხარეს. დავიწყეთ ქალაქში ასვლა, უკან მომავალ ართვინელთა ამაღლა სასარგებლო აღმოჩნდა ჩვენთვის, რაც პირველი ნაბიჯებიდანვე გახდა ნათელი. დარწმუნებული ვარ, გრძელი და მძიმე გზით დაქანცული ჩვენი ცხენები, მალე უარს იტყოდნენ ჩვენს ზიდვაზე. მაგრამ ცხენებისათვის დამახასიათებელი გაფიცება მის მსგავსთა ჯგუფში და ღირსების შენარჩუნების აუცილებლობა ართვინული ცხენებისა და ჯორცხენების წინაშე, აქეზებდა მათ ვეტარებინეთ ისე სწრაფად და მსუბუქად, რაც წარმოუდგენელიც კი იყო მათგან ესოდენ დამლელი გზის გავლის შემდეგ. ასასვლელი მართლაც მძიმე და ციცაბო იყო, მაგრამ ჩვენმა ცხენებმა ღირსეულად დაფარეს ეს მანძილი რაღაც 40 წუთში.

ქალაქ ართვინს საოცრად ორიგინალური მდებარეობა აქვს. იგი იწყება პირდაპირ ხიდთან 275 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადაც რამდენიმე სახლი და ზეთისხილის ტყეა, შემდეგ მარცხენა ნაპირის ციცაბოებით მიემართება ზევით და რაც უფრო მაღლა იწევს, დასახლება უფრო მჭიდროა. ქვემოთ ტერასებზე გაშენებული ბაღები და ზეთისხილის ნარგავებია. ტერასები გამაგრებულია ქვის კედლებით. გვერდი ავუარეთ ამ ადგილებს, გავცდით თურქულ ჰოსპიტალს, სადაც ამჟამად ჩვენი ავადმყოფები არიან და აღმოვჩნდით ე. წ. ართვინის გულში, ე. ი. ბაზარში. გავიარეთ რამდენიმე მრუდე და ციცაბო ქუჩა, გავედით მეჩეთთან, რომლის ზემოთ ოლქის უფროსის სახლია – ჩვენი მოგზაურობის მიზანი. ყველა აივნიდან და ფანჯრიდან, ხვრელიდან და ღობეებიდან ცნობისმოყვარეობით გვითვალთვალებდნენ ართვინის მკვიდრ მშვენიერ ქალთა ლამაზი შავი თვალები. ხანდახან ვახერხებდით თვალი მოგვეკრა მთლიანად თავისათვის, რომელ-

იც დამშვენებული იყო ოქროს მონეტებით. მხოლოდ გაურკვეველი რჩებოდა, ყოველთვის ატარებდნენ ართვინელი ქალები ამ ძვირფასეულობას, თუ ახლა მოინდომეს რუსების ყურადღების მიპყრობა მონეტებით, რომლებიც ამ უკანასკნელთ თავიანთ სამშობლოში მხოლოდ ნუმიზმატურ კაბინეტებსა და ზარაფებთან<sup>26</sup> უნახავთ შუშის ქვეშ. ართვინის ქუჩები მოკირწყლულია მსხვილი ქვით, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი ძალიან ვიწრო და ციცაბოა, აქ ეტლით გავლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ურმებიც კი, რომლებისთვისაც არაფერია შეუძლებელი, არ ჩანს ართვინის ქუჩებში. სამაგიეროდ დიდი გასავალი აქვთ კატარღებს, რომლებიც ძალიან ძვირად ფასობს.

4 1/4 ს. უკვე ვიყავით მ.პ.მ.<sup>27</sup>-ის სტუმართმოყვარე ჭერქვეშ. მალე მივუსხედით მაგიდას. გაგვიმასპინძლდნენ ისეთი სადილითა და ლვინობით, პორტერიტა<sup>28</sup> და ელით<sup>29</sup>, რომ თავი პარიზის თუ არა ვენის რომელიმე სასტუმროში მაინც გვეგონა. ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძელი კულინარიის დარგშიც წარდგა ჩვენს წინაშე როგორც ნიჭიერი, დახვეწილი გემოვნების მქონე და თავისი საქმის ღრმა მცოდნე ადმინისტრატორი.

სალამოს ისევ შევიკრიბეთ ქალაქის საზოგადოებასთან ერთად და რამდენიმე საათი ვსაუბრობდით მის წარმომადგენლებთან; მათ შორის იყვნენ ორი მთავარი – სომხურ-კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების მღვდლები. აი, რა დასკვნა გამოვიტანეთ ამ საუბრიდან (ეს ეხება, რასაკვირველია, ქალაქს).

ქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სომეხი კათოლიკეებია, მ-ის მონაცემებით – 800 კომლი, სხვები მიიჩნევენ, რომ ეს ციფრი შეადგენს 600-ს; შემდეგ არიან მუსლიმები – 500 კომლი, ბოლოს – გრიგორიანი სომხები, დაახლოებით 100 კომლი. ქალაქის წარმომადგენელთა შორის არ იყვნენ მუსლიმები. ართვინელი სომხები ატარებენ ევროპულ ტანსაცმელს და ფეხებს. ახალუხები და ჩოხები არ გვინახავს. ყველა, რასაკვირველია, ლაპარაკობს თურქულად და თავისი ჩვევებით ისე გათურქდნენ, რომ შეხვედრისას გესალმებიან მუსლიმური წესით. მოსახლეობის რე-

ლიგიური აღმსარებლობის რიცხვის თანახმად, ქალაქში არის 3 კათოლიკური ეკლესია, 4 მეჩეთი (აქედან, ერთი ჯუმა) და 1 სომხურ-გრიგორიანული ეკლესია. გრიგორიანები ექვემდებარებიან ტრაპეზუნტის ეპისკოპოსს, კათოლიკე სომხებს ჰყავდათ თავიანთი ეპისკოპოსი (იმ დროს იქ არ იყო), რომლის გამგებლობაში იმყოფებოდა არდაგანი, ოლთა, ბათუმი, სომხური სოფლები შავშეთში და სხვ. ეს ეპისკოპოსი ემორჩილებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს – ჰასუნს, რომელმაც კილიკიის პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ გაავრცელა თავისი ძალაუფლება თურქეთის იმპერიის ყველა კათოლიკე სომეხზე. სომხურ-კათოლიკური სამღვდელეობა, რაშიც თვითონ დავრწმუნდით, არ იპარსავს წვერს.

ზარების რეკვაზე, ისევე, როგორც ბათუმში, განსაკუთრებული ბაჟი იყო დანესებული.

ართვინელი სომხები სრულებით არ იცნობდნენ თავიანთ ისტორიას. მხოლოდ ის გვითხრეს, რომ წარმოშობით არიან უძველეს ქალაქ ანისიდან, რომლის დიდებული ნანგრევები ახლაც დგას არპაჩაის ნაპირზე; შემდეგ დასახლდნენ მურღულის-წყალზე, ხოლო აქედან გადავიდნენ ართვინში. მაგრამ როდის იყო ეს, ზუსტად რა ადგილას ცხოვრობდნენ მურღულის-წყალზე, რას აკეთებდნენ იქ და რატომ დატოვეს იქაურობა – ვერავინ აგვიხსნა.

ართვინელი სომხები ძირითადად საგარეო ვაჭრობას მისდევენ, მათ მოჰქონდათ საზღვარგარეთიდან და კონსტანტინოპოლიდან სხვადასხვა სახის უცხოური საქონელი, ბათუმიდან ნავეებით გადაჰქონდათ ართვინში და შემდეგ საპალნით – არდაგანში, ყარსში და სხვა ადგილებში. ისინი ჩიოდნენ, რომ ბათუმში პორტოფრანკოს გახსნის შემდეგ ჩვენმა საბაჟო უწყებამ მოითხოვა მათგან ბეგარის გადახდა საქონლის რამდენიმე ასეულ ცალზე, რომელიც ბათუმში იყო გაჩერებული. მათ მიაჩნდათ, რომ ეს უსამართლოა, რადგან საქონელი ჯერ კიდევ მაშინ გამოიწერეს, როდესაც ბათუმი თურქეთის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და ყველაფერზე უკვე გადახდილი იყო საბაჟო ბეგარა კონსტან-

ტინოპოლში, რისი დამადასტურებელი ქვითრებიც გააჩნიათ. მაშინ ბათუმში არ იყო საბაჟო და ყველა გემს, რომელიც შედიოდა კონსტანტინოპოლში, ათვალეირებდნენ და ბეგრავენენ. ბათუმში შესვლა კი თავისუფალი იყო.

არდაგანიდან მათ გაჰქონდათ პური და მდ. ჭოროხით აცურებდნენ ბათუმში.

როგორც მოვაჭრე ხალხი, სომხები საყვედურობდნენ მიმოსვლის სიძნელეების გამო და დიდ სურვილს გამოთქვამდნენ, რომ გაეყვანათ საურმე გზა ქალაქიდან თურქეთის გზატკეცილთან შესაერთებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანი არ იქნებოდა ამ გზის გაყვანა სახელწიფოს ხარჯზე: ართვინს არასდროს ჰქონდა და არც ექნება არავითარი სავაჭრო მნიშვნელობა და ამიტომ გზის გაყვანა საკუთრივ ქალაქიდან უნდა მოხდეს მისი ხარჯებით. მაგრამ ამისთვის აუცილებელია საურმე დაღმართის გაკეთება თურქეთის გზატკეცილიდან ართვინის ხიდამდე, სადაც ნავმისადგომია. ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ყარსიდან ბათუმამდე გზატკეცილის საბოლოო გაყვანის შემდეგაც, საქონლის გადაზიდვა ნავეებით ჭოროხზე არა თუ არ შეწყდება, პირიქით, გაიზრდება. აქედან გამომდინარე, მოსახერხებელი დაღმართის გაყვანა მდინარისკენ მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სავაჭრო მიმოსვლის გაზრდისათვის. რაც არ უნდა კარგი იყოს გზატკეცილი, ისეთი საქონლის მიწოდება, როგორიც არის ხორბალი, ქერი და ა. შ. მოსახერხებელიც იქნება ნავეებით, ვიდრე ოთხთვალათი. ამბობენ, რომ ყარსის ოლქს საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის პურის მოცემა შეუძლია. თუ უნდათ ამ პროდუქტით სარგებლობა გასატანად, გზა ნავსადგურამდე აუცილებელია, რადგანაც ჭოროხით გადაზიდვა გაცილებით მომგებიანია დროისა და მიწოდების ღირებულების თვალსაზრისით.

თვითონ ართვინში, განსაკუთრებით კი მის ახლომდებარე თოლგომსა და ზოგიერთ სხვა სოფელში მოჰყავთ დიდი რაოდენობით ზეთისხილი და სხვადასხვანაირი ხილი. კომში და ბრონეული აქ საუკეთესოა.

ართვინში ზეთისხილის ბალები არც ისე ბევრია. ქალაქის მოსახლეობას – სომხებს, ვინც ამ საქმეს მისდევს, თავისი საკუთარი ბალები გააჩნიათ ან იჯარით აქვთ აღებული თოლგომში და სხვა მიმდებარე სოფლებში. ამბობენ, თითქოს ზეთისხილის ხე ძალიან ნელა იზრდება და იძლევა ნაყოფს მხოლოდ ოცდამეათე წელს (?). აქ კი გვიმტკიცებდნენ, რომ ის კალმით მრავლდება და იძლევა ნაყოფს დარგვიდან მესამე წელს. ზეთისხილს კრეფენ ოქტომბერში. ერთი ხის მოსავალი ორიდან სამ ფუთამდეა და ფუთი ღირს 2 მან. 40 კაპ. მოკრეფილ ზეთისხილს ალბობენ, შემდეგ ჩატენიან ტიკებში და საპალნით გზავნიან ახალციხესა და ტფილისში. იქ კი მას მარილწყალში დებენ. ალბათ, გადაზიდვის ცუდი ხერხია იმის მიზეზი, რომ ართვინის ზეთისხილი ხარისხითა და გემოთი ჩამოუვარდება საბერძნეთიდან ჩამოტანილს, იმედია, რომ გზის გაყვანასთან ერთად, მდგომარეობა გამოსწორდება. ართვინი, მიმდებარე ტერიტორიებთან ერთად, წელიწადში ანარმოებს 30 ტონამდე ზეთისხილს. ამის გარდა ართვინში არაფერი მნიშვნელოვანი არ მზადდება. გვიამბეს, რომ რუსის ჯარის შეყვანამდე ართვინში საერთოდ არ იყო სასმელით მოვაჭრე დუქნები, ახლა კი ათიოდე დუქანია. ადგილობრივი მცხოვრებლები ხდიან არაყს თუთისაგან, სხვა სასმელი შემოდის კონსტატინოპოლიდან. ქალაქი აქ არ არის აღწერილი, რადგან მხოლოდ გავლით ვიყავით იქ. ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გავიგეთ, რომ ქალაქს აქვს საზოგადოებრივი საძოვრები და ტყე. ქალაქის შემოსავალი შედგება ქალაქის სასწორებზე აწონვისაგან აღებული გადასახადისა და საქონლის დაკვლის ბეგარისაგან. ქალაქს აქვს 6 ათასი მან. კაპიტალი და საზოგადოებამ გამოთქვა მზადყოფნა, გამოიყენოს ის (თუ ხაზინაც გაუწევს დახმარებას) ქალაქში წყლის გამოსაყვანად ადგილიდან, რომელიც აქედან 5 საათის სავალზეა.

საღამოს სომხებმა მოიტანეს სხვადასხვაგვარი, როგორც აქ ამბობენ, ანტიკა, ე. ი. ძველებური მონეტები, რომელთა შორის იყო ელისაბედ პეტრეს ასულის დროინდელი გროში. თუმცა სომხებმა ნუმისმატიკაში უმეცრება გამოამჟღავნეს, სამაგიეროდ კარ-



გად იცოდნენ თანამედროვე ფულის ფასი: ყველაფერში შეუსაბამო თანხას მოითხოვდნენ. ერთ-ერთმა გვაჩვენა პატარა ოქროს მონეტა და გვარწმუნებდა, რომ სტამბულში მასში 50 ოქროს აძლევდნენ, მათ შორის იყო რამდენიმე ბიზანტიური და კილიკიური სომხური მონეტა.

დილისათვის დავეგემეთ ბათუმში დაბრუნება, მაგრამ არა ცხენებით, არამედ ნავით.

7 ნოემბერი. ავდექით 4 1/2-ზე. ჯერ სრულიად ბნელოდა, ქალაქს ეძინა. მხოლოდ მუეძინის გამყინავი ხმა უხმობდა მართლმორწმუნეებს სალოცავად. დავლიეთ ჩაი და ფეხით ჩავედით მდინარესთან. გუშინ ცოტა ნისლიანი დღე იდგა და გვეგონა, რომ დღეს ცუდი ამინდი იქნებოდა, მაგრამ შევცდით, მშვენიერი დილა იყო. ჩავედით ქვემოთ, გავედით ხიდზე და უკვე ნავში უნდა ჩავმსხდარიყავით, მაგრამ გაგვახსენდა, რომ უნაგირები დაგვრჩა. გავაგზავნეთ შიკრიკი მათ მოსატანად. ვისარგებლეთ ამ შეჩერებით, დავლიეთ თურქული ყავა, მე კი მოვასწარი სახელდახელოდ გამეკეთებინა ართვინის ხიდის მონახაზი. იგი გადაჭიმულია ჭოროხზე ერთი თალით კლდიდან კლდეზე. აგებულია უხეშად ნათალი ქვებისაგან და მოკირწყლულია ფილაქნით. მისი სიგანე გაანგარიშებულია მხოლოდ ფეხით მოსიარულეთა და ცხენოსნებისათვის, შუაში ხის მოაჯირია. ქალაქის მხრიდან ხიდის დასაწყისში პატარა კოშკის ნანგრევებია. ჩვენ, როგორც ცოდნისმოყვარე მოგზაურები, დავინტერესდით ხიდის აშენების თარიღით და შევეკითხეთ ადგილობრივ მცხოვრებლებს. სომხებმა გვიამბეს რალაც უაზრო ზღაპარი, რომ 600 წლის წინ ართვინის ციხე-კოშკი და ხიდი უპოვიათ ბალახში (ბალახით იყო დაფარული). ხიდის ქვემოთ ჭოროხის მარცხენა ნაპირს ქმნის საკმაოდ მაღალი ციცაბო კლდე, რომელზეც ართვინის ციხესიმაგრის ნანგრევებია. იგი შედგება კუთხოვანი კედლისა და ასეთივე კოშკისაგან ერთ-ერთ კუთხეზე, რომელიც პირდაპირ მდინარეს დაჰყურებს. კლდე ქალაქის ქვემოთაა და უერთდება მას ყელისმაგვარი ვიწრო თხემით.

ციხე-კოშკის აღმშენებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პოზიცია შესანიშნავადაა შერჩეული: იმდროინდელი თავდასხმების ხერხებს თუ გავითვალისწინებთ, ციხე-კოშკი მიუდგომელია, ამასთან იგი მეთვალყურეობას უწევდა მდინარეს. კოშკში მყოფთ საშუალება ჰქონდათ, ჩაექოლათ ყველა, ვინც გადანყევტდა გაეცურა ნავით კლდის ქვეშ. ჭოროხის ველს ართვინის მახლობლად, ამბობს ყოფილი ინგლისელი კონსული ტრაპეზუნტში პალგრევი, შეიძლება ეწოდოს თხრილი (trench). ამ გამოთქმით ინგლისელი ხაზს უსვამს მის სიღრმესა და ფრიალო ნაპირებს.

ზუსტად 8 საათზე გაუუდექით გზას. ნავში ექვსნი ვიყავით, თუ არ ჩავთვლით სამ მენიჩბეს. ნავი ბრტყელძირიანია, მისი სიგრძე 2 საყენს უდრის, ცხვირი და კიჩო ერთნაირად მახვილწვერიანი აქვს და კონსტრუქციით არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნავები მზადდება ნაბლის ხისაგან სოფ. მარადიდში. ერთ ნავს შეუძლია ზიდოს ასფუთიანი ტვირთი და იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობისაა იგი, ფრახტი<sup>30</sup> ართვინიდან ბათუმამდე ღირს 10-დან 15 მანეთამდე. ჩვენ გადავიხადეთ 12 მანეთი. იმის გამო, რომ ნავი მთლად მყარი არ არის, მგზავრები თავსდებიან მის ძირში მჯდომარე ან დანოლილ მდგომარეობაში. მის სამართავად ოთხი ადამიანია საჭირო – სამი ზის ნავის ცხვირზე მოკლედ ნიჩბებით ხელში, რომლებიც დამაგრებულია პალოებზე ლაფნის რგოლებით. ნიჩბების დანიშნულებაა, არა იმდენად ნავის მოძრაობის აჩქარება, რამდენადაც მისთვის სათანადო მიმართულების მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, წყალი შემოაბრუნებს მას დინების გარდიგარდმო. ნიჩბის მოსმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებში, სადაც ვინრობი ან ჩქერია და სადაც წყალი მკვეთრად უხვევს; ნავი პირდაპირ მიემართება გამოშვერილი კლდისკენ, რომელსაც დინება ეხეთქება; მარჯვე მესაჭე, კლდისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით, სწრაფად აბრუნებს საჭეს, მენიჩბეები მთელი ძალით აწვებიან ნიჩბებს და ნავი მიექანება დინების მიმართულებით ისე, რომ კლდეს ოდნავ ააცდენს კიჩოს. ზოგჯერ ეს ფანდები საკმარისი

არ არის, დინება ისეთი სწრაფია და ისეთ მკვეთრ შემობრუნებას აკეთებს, რომ ნავი აუცილებლად შეეჯახებოდა კლდეს, თუ არა მენიჩბები. ისინი ჭოკებით, რომლებიც დაწყობილია ქიმის გაყოლებით, მოხერხებულად აიცდენენ ხოლმე შეჯახებას.

მესაჭე დგას კიჩოზე ხელში ნიჩბებით, რომლებიც ამყოფებს ნავს სათანადო მდგომარეობაში ან ეხმარება მოხვევის დროს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ორი ნიჩაბი აუცილებელია, რათა ნავი უფრო სწრაფად მობრუნდეს: მესაჭე ერთი ნიჩბით უსვამს წინ – მეორეთი კი უკუმოძრაობას აკეთებს. ნავის მართვა ასეთ სწრაფ და მიხვეულ-მოხვეულ მდინარეზე დიდ განაფულობას მოითხოვს. ზოგჯერ ისეთი ადგილებიც გვხვდება, რომ წარმოუდგენელია გავლა საფრთხის გარეშე, მაგრამ მესაჭის მოხერხებულობის, სიმამაცისა და მისი თვალის სიზუსტის წყალობით ასეთ ჩქერობებს ისინი მშვიდობიანად უვლიან გვერდს. ამბობენ, რომ უბედური შემთხვევები აქ ძალიან იშვიათია.

ზოგჯერ საჭესთან ნავის მეპატრონეც დგას, ხან დაქირავებული პირი, ისევე როგორც მენიჩბები. ყველას ერთნაირი ანაზღაურება აქვს. მესაჭის მთელი უპირატესობა კი ის არის, რომ მას არ უნევს საჭმლის მომზადება, ეს მენიჩბეთა მოვალეობაა.

ბათუმში მიმავალი მგზავრები იშვიათად გაივლიან მთელ გზას ჭოროხით, ე. ი. არ გადიან ზღვაზე, რადგან ეს გზა გრძელია და თანაც ნავს ზღვაში ცოტა უჭირს. ისინი გადმოსხდებიან კოპანდობის საზღვართან, სოფ. ელგის ცოტა ქვემოთ და ბათუმამდე რჩება რაღაც 10 ვერსის მანძილი. ამ გზის გავლას ნავი მცირე წყალში ანდომებს, როგორც ახლა, 7 საათს. ჩვენი მენავე, რომელიც წარმოშობით ბორჩხიდან არის, გვიმტკიცებდა, რომ წყალდიდობისას, ე. ი. აპრილსა და მაისში ის გადის ამ გზას მხოლოდ 1 1/2 საათში. ამან ძალიან გაგვაკვირვა, მაგრამ არ გვექონდა არავითარი მიზეზი არ დაგვეჯერებინა მისი ნათქვამი. დიდ წყალში ნავეები ასევე დადიან იმერხევის ხიდიდან ართვინამდე; იმერხევის ხიდის ზემოთ სანაოსნო კავშირი არ არის. ჩვენი მოგზაურობის დროს წყლის დონე ძალიან დაბალი იყო, მაგრამ მიუხედავად

ამისა, ნავი წყლის ფსკერს მხოლოდ ორ ადგილას, ჩქერზე, შე-  
ეხო.

ჭოროხზე მოგზაურობა დაღმა დიდ სიამოვნებას გვგვრის, თითქოს გაჰყურებ სწრაფად მოძრავ პანორამას. ნავი ხან ისრის სისწრაფით მიქრის ჩქერებზე და ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ციგით ეშვები ყინულოვანი მთიდან, ხან კი – ნელა მი-  
დის წყალზე, სამაგიეროდ მდინარის აღმა მოგზაურობა ძალიან მომქანცველია, იგი გრძელდება (იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდე-  
ნობითაა წყალი მდინარეში და როგორია ტვირთის მოცულობა) 4-5 დღეს; წყალდიდობისას კი მოგზაურობა საერთოდ შეჩერებუ-  
ლია, რადგან წარმოუდგენელია ამ დროს დინების დაძლევა. მენავეების შრომა აღმა ცურვისას მართლაც რომ კატორღულია – ორი-სამი ფეხშიშველა ადამიანი, მუხლებამდე წყალში, მიათრევს ნავს ღვედებით, ორიც კი, ან ერთი, აწვება ნავს ჭოკით, რომ არ მისცეს მას ნაპირზე ამოვარდნის საშუალება. ჩვენ ბევრი ასეთი ნავი შეგვხვდა გზაზე. მათ დანახვაზე გაგვახსენდა ბურღაკები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არ გაისმოდა მათი სევდიანი სიმ-  
ღერა.

ჭოროხი იშვიათად იყინება და მხოლოდ ადგილ-ადგილ, სადაც უფრო ნელი და წყნარი დინებაა.

ამგვარად, შევუდექით გზას 8 საათზე. ნათელი დღე იყო, მზიანი, მაგრამ ცივი ზურგის ქარი გვაიძულებდა, ნაბდებში გავხ-  
ვეულიყავით. ჭოროხის ხეობა წარმოადგენს კლდოვან და ღრმა ნაპრალს, რომელშიც მდინარე დიდი სისწრაფით მიქრის.

8 საათსა და 35 წუთზე ჩაფუარეთ ხატილა-სუს ხეობას, მის ქვემოთ დაგვანახეს ფართო ხერელი – გამოქვაბულში შესასვლე-  
ლი. გვარწმუნებდნენ, რომ შესასვლელის თავზე გაკეთებულია ნარწერა, რომელშიც მოხსენიებულია მეფე თამარი. არ გადავსულ-  
ვართ ნაპირზე გამოქვაბულის დასათვალიერებლად, რადგან მოგვეჩვენა, რომ იგი მიუწვდომელია ციცაბო ასასვლელის გამო.

8 საათსა და 55 წუთზე გავცდით მალლა მდებარე სინგოთს. აქედან დაწყებული ართვინამდე ყველაზე საშიში ადგილია ნავე-

ბისათვის. ვინრობი ქმნის სწორ კუთხეს და დინების სიჩქარე, რომელიც ეხეთქება კლდის მარცხენა ნაპირს, იმდენად ძლიერია, რომ მესაჭისა და მენიჩბების შეერთებული ძალებით ვერაფერს გახდები, ნავი ჭოკის კვრით უნდა ააცილო კლდეს.

9 საათსა და 10 წუთზე ჩავუარეთ სოფ. ომანას (მარცხენა ნაპირზე), ქვემოთ ზეთისხილის კორომებია. ომანასა და ხატილასუს შორის, ასევე მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს სოფ. ურძულა.

9 საათსა და 15 წუთზე გავიარეთ სოფ. ირსა, რომელიც განლაგებულია იქვე მდინარესთან. აქ შევისვენეთ.

9 საათსა და 50 წუთზე ჩავუარეთ სოფ. ავანას (რუკაზე არ არის). იგი მარცხენა ნაპირის მალლობზეა გაშენებული. მის მოპირდაპირე მხარეს, მარჯვენა ნაპირზე, ასევე მალლობზე, სოფელი ადაგიულია<sup>1</sup> (რუკაზე არ არის), ახალდაბასა და ნიგაიას შორის.

10 საათსა და 10 წუთზე უკან მოვიტოვეთ სოფ. ორჯა მარცხენა ნაპირზე. სოფელი შეჭრილია მდინარეში ნახევარწრიულად. ძალიან ლამაზი ადგილია, ბალებით გამშვენებული. ჯერ კიდევ ართვინისკენ მიმავალ გზაზე ვტკებობდით მისი მზერით მარჯვენა ნაპირის სიმაღლიდან.

10 საათსა და 37 წუთზე შევჩერდით მდ. მურლულის-წყლის შესართავთან. აქ დგას საგუშაგო რაზმის ნაწილი, რადგან აქედან, მურლულის-წყლის გავლით, მიდის გზა ლაზეთისაკენ (აქ არის სასაზღვრო ქედი).

მურლულის-წყლის ხეობა შესართავთან საკმაოდ ფართოა, თითქმის ერთი ვერსის მანძილზე, შესართავის ზემოთ, მურლულის-წყლის ქვის ხიდის ნარჩენებია. შემორჩენილია ერთი თალი მარცხენა ნაპირიდან კლდემდე და ორი ბურჯი – ნაპირზე. მურლულის-წყლისა და ხატილასუს ხიდების ნარჩენებით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველად ჭოროხის მარცხენა ნაპირზე არსებობდა გზა და მასზე საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობა უნდა ყოფილიყო, თუკი საჭირო გამხდარა ორი ხიდის

აშენება. მარცხენა ნაპირზე, ართვინსა და მურღულის-წყალს შორის, ერთ ადგილას, შეიმჩნეოდა კედლის ნარჩენები, რომლებსაც ეყრდნობოდა გზა კლდის ციცაბო ფერდობზე. ხიდებისა და კედლის აშენების თარიღი, სამწუხაროდ, უცნობია, მაგრამ თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ყველა ხიდი კონსტრუქციით ართვინის ხიდის მსგავსია (ეს უკანასკნელი აშენებულია დიდი ხნის წინათ), უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საგზაო ნაგებობები ძალიან ძველია და იმ დროს უნდა მიეკუთნებოდეს, როდესაც ჭოროხის აუზში წესრიგი და სიმშვიდე იყო, აქედან გამომდინარე – თურქეთის ბატონობამდე.

ამჟამად მარცხენა ნაპირზე, მართალია, გადის ბილიკი, მაგრამ იგი, როგორც გვითხრეს, კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე მარჯვენა ნაპირზე.

მურღულის-წყლის სათავესთან დავათვალიერეთ ხე-ტყის სახერხი ქარხანა ორი დაზგით, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავს მურღულის-წყლიდან გადმოსროლილ წყალს. აქ ამზადებდნენ ფიცრებს ბარაკების ასაშენებლად საგუშაგოს რაზმელებისთვის. ქარხნის მეპატრონე ჩიოდა, რომ ხე-ტყის მასალის უემარისობის გამო მალე მოუწევს საქმიანობის შეწყვეტა. რაზმელები, რასაკვირველია, ისევ გაგვიმასპინძლდნენ და ცდილობდნენ გაემეორებინათ ბორჩხის ნადიმი, მაგრამ ამჯერად უკვე გამოცდილება გვქონდა და არ ავყევით ცთუნებას. შუადღეზე ქეიფი უკვე დასრულებული იყო და ჩვენმა ნავმა კვლავ ამოსწია თავისი ღუზა. სტუმართმოყვარე რაზმელებმა ჩვენი ნავი ქიმის გაყოლებით მორთეს ხის მწვანე ტოტებით, რომლებზეც მიბმული იყო ბევრი ყურძენი, მსხალი და ვაშლი, თვითონ კი მოგვეყვებოდნენ უკან თავიანთი ნავით. ჭოროხის ნაპირებზე ახმიანდა დიდი ხნის მივიწყებული გურული სიმღერები. სანახაობა, უნდა ითქვას, მეტად ორიგინალური და ლამაზი იყო.

10 წუთის შემდეგ გავიარეთ სოფ. ნითლოეთთან (იგივე ნითურეთი), რუკაზე – კამურენი (მარცხენა ნაპირი, ქვემოთ), უშუალოდ მის უკან გამოჩნდა ზემოთ აღწერილი კოშკის ნანგრევები,

შემდეგ – ბორჩხის ციხე, დაბოლოს – თვით ბორჩხაც. ვლადიკავკაზის ბატალიონის ბანაკი აღარ დაგვხვედრია იქ, გუშინ გადასულან ახალ სადგომზე, სოფ. ხებაში. გამოვემშვიდობეთ თავაზიან რაზმელებს, შევხვდით აჰმედ-ეფენდის, რომელიც ნაპირზე გველოდებოდა და დავტოვეთ ბორჩხა 12 საათსა და 40 წუთზე.

1 საათსა და 15 წუთზე ჩაუჯარეთ ყალბასყურის-წყლის შესართავს.

შემდეგი ადგილი ახალი იყო ჩვენთვის, რადგან ართვინში მიმავლებმა აქ ღამით გავიარეთ. 1 საათსა და 35 წუთზე გავცდით მუსტაფა-ოღლის სახლს, სადაც, ასევე ართვინისკენ მგზავრობის დროს, ღამე გავათენეთ. უშუალოდ ამ სახლის ქვემოთ არის სოფ. ზედუბანი, უფრო ქვემოთ კი – სოფ. ხება, რომელსაც ორი დღის წინ ამოად ვეძებდით.

1 საათზე და 55 წუთზე მარცხენა მხარეს გამოჩნდა მდ. კატაფხიის ფართო ხეობა, რომლის შესართავთან, მარცხენა მხარეს, სოფელია. კატაფხიის ზემოთ, მარჯვენა მხრიდან, აჰმედ-ეფენდიმ დაგვისახელა კიდეც ერთი სოფელი – კინწყურეთი. 2 საათსა და 8 წუთზე რამდენიმე წუთით შევჩერდით სოფ. ხებასთან, რომელიც განფენილი იყო ფართო ხეობაში, შესართავთან. აქ არის ნაევბის სადგომი, რომელიც გაჭედილი იყო ხალხით და ხმაური იდგა, რადგან ტვირთავდნენ ვლადიკავკაზის ბატალიონის ბარგს.

ზემოთ უკვე შევამჩნიეთ, რომ სოფ. ხება მდებარეობს ჭოროხის არა მარცხენა ნაპირზე, როგორც ნაჩვენებია ხუთვერსიან რუკაზე, არამედ – მარჯვენაზე, მდინარესთან. გაუგებარია, როგორ ვერ შევამჩნიეთ იგი ართვინისაკენ მიმავალ გზაზე. ალბათ, იმ შემოვლის გამო, რომელიც უამინდობის მიზეზით გაგვაკეთებინეს გვერდითი ხეობის სიღრმეში, ვერ შევძელით მიგველო ხებელების სტუმართმოყვარეობით გამონვეული სიამოვნება. აჰმედ-ეფენდი გვიმტკიცებს, რომ სოფ. ლებრიმერი, რომელიც ნაჩვენებია რუკაზე კატაფხიის პირდაპირ, არ არსებობს, ეს ალბათ, ხებაა ან ხები-მერი (მერი-ვაკე), რადგან ეს სოფელი ნამდ-

ვილად კატაფხიის პირდაპირ მდებარეობს. ხეობის ქვემოთ, მარადიდთან მისვლამდე, მარჯვენა მხრიდან არის სოფ. ოგლაური.

3 1/2 საათზე გავიარეთ აჭარის-წყლის შესართავი, 4 საათზე, მარცხენა მხრიდან – სოფ. სიმორისი (რუკაზე), აჰმედ-ეფენდის თქმით – სიმონეთი, შემდეგ – სოფ. ელგა და 4 საათსა და 20 წუთზე მივაღექით ნაპირს კოპან-დიბის მახლობლად, სადაც წინასწარი შეთანხმებით, ცხენები უნდა დაგვხვედროდა.

კოპან-დიბი მდებარეობს სწორედ იმ ადგილას, სადაც მთავრდება მარჯვენა ნაპირის სიმაღლეები და ჭოროხი გაედინება სიბრტყეზე. აქ დავინახეთ რამდენიმე ნავი, ხოლო ნაპირზე დახვავებული იყო სიმინდი და ენყო თიხის ქოთნები. გამოიკვია, რომ აქ წარმოებს გაცვლითი ვაჭრობა: ბორჩხელებს ჩამოაქვთ თავიანთი თიხის ნაკეთობანი და ცვლიან ქვემო სოფლებიდან ჩამოტანილ სიმინდზე.

მზე ჩადიოდა, როდესაც შევსხედით ცხენებზე. ცივი ქარი, რომელიც მთელი დღის მანძილზე ქროდა ხეობიდან, გაძლიერდა, ღრუბლიან ცას მთლიანად გადაეფარა შავი საბურველი და განვიმდა. უცებ ჩამობნელდა და ჩვენ გრძელ ჯაჭვად გავიჭიმეთ გზაზე, ვცდილობდით არ დაგვეკარგა ერთმანეთი თვალთახედვიდან. თურქული სასაფლაოდან მოისმოდა ტურების შემზარავი ღმუილი. დაბოლოს, გამოჩნდა განათებული ბათუმი და 6 1/2 საათზე მოგზაურობა დავასრულეთ.

მანძილი ართვინიდან კოპან-დიბამდე, წყლით რომ ვიანგარიშოთ, რუკის მიხედვით, უდრის 42 ვერსს. ჩვენი მოგზაურობა მდინარით, თუ არა ჩავთვლით შეჩერებებს, გრძელდებოდა 6 საათს. აქედან გამომდინარე, თუ მანძილი რუკაზე სწორად არის ნაჩვენები, ნავი მცირეწყლიან მდინარეში საათში გაივლის დაახლოებით 7 ვერსს.



# და ნ ა რ თ ი

## ე ვ გ ე ნ ი ვ ე ი ლ ა ნ ა უ შ ი

### კ ა ვ კ ა ს ი ი ს გ ზ ა მ კ ვ ლ ე ვ ი

#### [ ა მ ო ნ ა რ ი ლ ე ბ ი მ ი ს ხ ე თ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ]

ბათუმი მთებზე გადამავალი საპალნე გზით დაკავშირებულია ქალაქ არდაჰანთან. გზის სიგრძე 191 ვერსტს<sup>1</sup> შეადგენს. იგი თავდაპირველად ჭოროხის მარჯვენა ნაპირს მიუყვება მდინარე იმერხევის შესართავამდე, შემდეგ მდინარე არტანუჯ-ჩაის ხეობით ადის იალანუსჩამის უღელტეხილზე (8442 ფუტი<sup>2</sup> ზღვის დონიდან) - ესაა ქედი, რომელიც ერთმანეთისაგან ჰყოფს მტკვრისა და ჭოროხის აუზებს. იალანუსჩამის უღელტეხილიდან გზა არდაჰანისაკენ მიემართება.

ამ გზაზე ყურადღების ღირსია შემდეგი დასახლებული პუნქტები:

ართვინი, თურქთა ბატონობის პერიოდში მას ლივანეს უწოდებდნენ. ესაა მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე გაშენებული პატარა ქალაქი, ბათუმიდან 80 ვერსტში; აქ არის ართვინის ოკრუგის უფროსის რეზიდენცია.

ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ სომეხი-კათოლიკეები, რომლებიც, როგორც თავად ამტკიცებენ, წარმოშობით ქალაქ ანისიდან არიან. ართვინსა და მის მიმდებარე სოფლებში ხილის ვრცელი ბაღები და ზეთისხილის კორომებია გაშენებული. ბათუმსა და ართვინს შორის კავშირი უპირატესად მდინარე ჭოროხზე მოცურავე კაიუკების (ბრტყელძირა ნავების) მეშვეობით მყარდება.

არტანუჯი, მდებარეობს მდინარე არტანუჯ-ჩაის (ჭოროხის შენაკადი) მარცხენა ნაპირზე; ამჟამად უმნიშვნელო სოფელია, ოდესღაც კი იგი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილი მის დამაარსებლად მეფე ვახტანგ გორგასალს მიიჩნევს, თუმცა ეს მოსაზრება არაფრით დასტურდება.

არტანუჯი საისტორიო წყაროებში პირველად მოიხსენიება VIII საუკუნეში, როდესაც იგი ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. ბაგრატიონებმა შემდგომში საქართველოს სამეფო ტახტი დაიკავეს. VIII საუკუნეში არტანუჯი დაანგრია არაბმა მხედართმთავარმა მურვან ყრუმ. იგი ალადგინა და თავის რეზიდენციად აქცია ამოტ კურაპალატმა (787-826 წწ.). კონსტანტინე პორფიროგენეტი (X ს.)<sup>9</sup> ნაშრომში „იმპერიის მმართველობის შესახებ“ ვრცლად აღწერს არტანუჯს (ბერძნულად – ადრანუტციონი), იძლევა მისი პოლიტიკური მნიშვნელობისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დანვრილებით დახასიათებას.

ჭოროხისა და მისი შენაკადების ხეობები უაღრესად მდიდარია ქრისტიანობის ბრწყინვალე ძეგლებით (პარხლის, ოპიზის, ტბეთის ტაძრები და ა. შ.), რომლებიც ადასტურებს ამ უძველესი ქართული ოლქის დასახლებულობასა და კულტურას აქ მაჰმადიანობის დანერგვამდე (გვ. 366-367).

ანყური, სოფელ მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 3187 ფუტზე; სოფელში შემორჩენილია დიდი ციხესიმაგრის ნანგრევები, რომელიც კეტავდა ახალციხიდან ბორჯომის ხეობაში შესასვლელს. 1828 წლის აგვისტომდე ანყურის ციხეში ოსმალური გარნიზონი იდგა. სოფლის ცენტრში მდებარეობს ვრცელი ტაძრის ნაშთები. ქართული მატრიანეების ცნობების მიხედვით, იგი VII საუკუნეში აუგია ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს<sup>4</sup>. XVIII საუკუნემდე ეკლესია ჯერ კიდევ მთელი იყო, მაგრამ შემდგომ ოსმალებმა დაანგრიეს. საქართველოში ძალიან ცნობილი და სახელგანთქმული ანყურის ღვთისმშობლის ხატი ამჟამად გელათის მონასტერშია დაცული.

ახალციხე, თურქულად აპისკა; ახალციხის მაზრის ცენტრი; გაშენებულია მდინარე ფოცხოვ-ჩაის (მტკვრის მარცხენა შენაკადი) ნაპირას; ზღვის დონიდან 3376 ფუტზე; მოსახლეობა: 13265 კაცი. ოდესღაც ახალციხე ძირძველი ქართული კუთხის – მესხეთის, ანუ ზემო ქართლის, მთავარ ქალაქს წარმოადგენდა. მაღალი მთებით გარშემორტყმული მესხეთის გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობდა მის მემკვიდრეობით მმართველებს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. XIV საუკუნის პირველ ნახევარში, სარგის II (1306-1334 წწ.) მმართველობის პერიოდში მესხეთი დამოუკიდებელი გახდა; თავად სარგისმა ათაბაგის თურქული ტიტული მიიღო, რის შემდეგაც ოლქს საათაბაგო (ე. ი. ათაბაგთა სამფლობელო) ეწოდა.

მესხეთის დამოუკიდებლობა ძალიან ცოტა ხანს გრძელდებოდა – იგი ოსმალთა ხელისუფლების ქვეშ მოექცა, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ხარკის აკრეფით კმაყოფილდებოდნენ და სამთავროს საშინაო საქმეებში არ ერეოდნენ, თუმცა შემდგომში, კერძოდ, XVII საუკუნის პირველ ნახევარში, მათ მესხეთის მთავრებს გამაჰმადიანება მოსთხოვეს, ხოლო XVIII საუკუნის შუახანებში სამთავრო სახლის წარმომადგენლები მმართველობას საერთოდ ჩამოაშორეს; ათაბაგი ახალციხის ფაშამ შესცვალა, რომელიც არზრუმის სერასქერს ემორჩილებოდა<sup>5</sup>. ახალციხე დასავლეთ ამიერკავკასიაში ოსმალთა გავლენის საყრდენი პუნქტი და ტყვეთა გაყიდვის მთავარი ბაზარი გახდა, სადაც ლეკებს გასაყიდად მოჰყავდათ ტყვე ქრისტიანები.

ახალციხე განთქმული იყო თავისი სიმდიდრითა და ხალხმრავლობით. 1828 წელს, რუსების მიერ მისი აღების წინ, აქ 50000 კაცი ცხოვრობდა. თურქთა მიერ წარმოებული პოლიტიკის წარმატებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მესხეთის მკვიდრმა ქართულმა მოსახლეობამ დაივიწყა საკუთარი წარმომავლობა და ამჟამად მგზნებარე მუსლიმთა რიცხვს მიეკუთვნება. თვით ოფი-

ციალურ ანგარიშებშიც კი ყოფილი ახალციხის საფაშოს მცხოვრებლები თურქებად იწოდებიან.

ახალციხის დაარსების ზუსტი დრო უცნობია. საისტორიო წყაროებში იგი პირველად XII საუკუნეში მოიხსენიება, მაგრამ, როგორც ჩანს, სხვა სახელით ახალციხე ადრეც უნდა არსებულებო. მდინარე ფოცხოვისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარეობს ქალაქის ძველი უბანი, რომელიც შეიცავს კლდეზე აშენებულ დიდ ციხესიმაგრეს, მართლმადიდებლურ ტაძარს, რამდენიმე კათოლიკურ ეკლესიას და ა. შ. რუსეთის მიერ ახალციხის შემოერთების შემდეგ ფოცხოვისწყლის მარჯვენა ნაპირზე ახალი უბანი გაშენდა.

1828 წლის 9 აგვისტოს გრაფმა პასკევიჩმა<sup>6</sup>, რომლის განკარგულებაში 11000 ჯარისკაცი და 40 ქვემეხი იყო, ახალციხის მისადგომებთან თურქთა 25000-იანი კორპუსი დაამარცხა, რომელსაც ქესა მუჰამედ ფაშა მეთაურობდა. ოსმალები გაიქცნენ, რის შემდეგაც რუსებმა ოთხი გამაგრებული ბანაკი დაიკავეს. 15 აგვისტოს, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, რუსებმა ქალაქი აიღეს, ხოლო 16 აგვისტოს ქესა მუჰამედ ფაშამ ციტადელიც ჩააბარა.

1829 წლის 20 თებერვალს, მკაცრ ზამთარში, როდესაც ახალციხეში იმყოფებოდა მხოლოდ ფეხოსანთა 9 როტა გენერალ-მაიორის, თავად ბებუთოვის მეთაურობით, 20. 000-იანი ლაშქრით ქალაქს შტურმით შემოუტია აჭარის მემკვიდრეობითმა მმართველმა აჰმედ-ბეგმა<sup>7</sup>, თუმცა მისი ალება ვერ მოახერხა. როდესაც აჰმედ-ბეგმა შეიტყო, რომ ახალციხეს უახლოვდებოდა პოლკოვნიკ ბურცოვის რაზმი, ქალაქს ალყა მოხსნა და უკან გაბრუნდა. ამ მოვლენის შედეგად დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად თავადმა ბარატინსკიმ<sup>8</sup> 1861 წელს ახალციხის მახლობლად ძეგლი დაადგმევინა.

ახალციხის ჩრდილო-დასავლეთით, 24 ვერსტში, მდინარე აბასთუმნის (ფოცხოვისწყლის მარცხენა შენაკადი) ტყიან ხეობაში, მდებარეობს აბასთუმნის მშვენივრად მოწყობილი და ყველა

სამკურნალო დანესებულებით აღჭურვილი მინერალური წყლების კურორტი. მინერალური წყლების ტემპერატურა 30°-დან 39°-მდეა; ქიმიური შედგენილობის მხრივ სუსტ გოგირდის წყლებს განეკუთვნება მაღალი მთები და წინვოვანი ტყეები აბასთუმანს მშვენიერ სააგარაკო ადგილად აქცევს. იგი ზღვის დონიდან 4176 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. ახალციხიდან მომავალი გზა მდინარე აბასთუმნის ხეობით აღის ახალციხე-იმერეთის ქედზე და მდინარე ხანისწყლის ხეობით ქუთაისისაკენ მიემართება. ამ გზაზე საფოსტო მიმოსვლა მხოლოდ ახალციხესა და აბასთუმანს შორის წარმოებს.

ახალციხის შემოგარენი, მთელი სამცხის მსგავსად, მდიდარია ეკლესია-მონასტრებით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალციხის სამხრეთით 6 ვერსტში, თვალწარმტაც ადგილას, მდინარე ურაველ-ჩაის ნაპირას მდებარე საფარის მონასტერი. მის სანახევროდ დანგრეული გალავნის შიგნით 12 დიდი და პატარა ეკლესია მდებარეობს, რომელთაგან უდიდესი – წმ. საბას სახელობის – აშენებულია ბექა ათაბაგის მიერ XIV საუკუნის დასაწყისში. იგი საოცრად ნატიფი მორთულობით, ულამაზესი ბარელიეფებით გამოირჩევა. სამწუხაროდ, საფარის მონასტერი სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული, რის გამოც შესანიშნავი კანკელი გაძარცვულია. ეს აღმაშფოთებელი ფაქტი რუსების მიერ ახალციხის საფაშოს შემოერთების შემდეგ მოხდა. საფარის მონასტერი ათაბაგთა რეზიდენციას წარმოადგენდა. საფარის მახლობლად, მდინარე ურაველ-ჩაის ხეობაში, არის ურაველის მინერალური წყლები, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს.

ახალციხის დასაველეთით, 32 ვერსტში აჭარისაკენ მიმავალ საპალნე გზაზე, ფოცხოვ-ჩაის ნაპირას, ზღვის დონიდან 4291 ფუტზე მდებარეობს ქართული საეკლესიო არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლი, XI საუკუნეში აგებული ზარზმის ტაძარი. იგი საკმაოდ კარგადაა შემონახული, მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაცარიელებულია.

ახალციხიდან საფოსტო გზა მტკვრის ხეობით მიემართება დიდი სოფლის – ხერთვისისაკენ, რომელიც მდებარეობს მტკვრისა და ახალქალაქის – ჩაის შესართავთან. სოფელი ზღვის დონიდან 3554 ფუტზეა გაშენებული. აქ ძველი ციხესიმაგრის ნანგრევებია. ხერთვისიდან ახალქალაქი-ჩაის (რომელსაც ქართველები ჯავახეთის მტკვარს უწოდებენ) აყოლებით გზა ადის ახალქალაქის ზეგანზე. ეს ფართო და ვრცელი სიბრტყე ქართული ოლქის – ჯავახეთის შემადგენელი ნაწილია, მდებარეობს ზღვის დონიდან 5000-6000 ფუტ სიმაღლეზე, გამოირჩევა მკაცრი კლიმატით, რის გამოც ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში თვით ჭვავი და ქერიც კი ვერ ასწრებს დამნიფებას, ამიტომ ადგილობრივი მოსახლეობა უპირატესად მესაქონლეობას მისდევს. ზეგანზე რამდენიმე დიდი (ფარავანი, ტაბანყური, ხანჩალი და სხვ.) და ბევრი პატარა ტბაა. ამ მიდამოებში დუხობორების<sup>9</sup> 8 სოფელია გაშენებული. ეს მშრომელი ხალხი მეცხენეობას და მეეტლეობას მისდევს.

ახალქალაქი, სამაზრო ქალაქი, მდებარეობს ახალქალაქი-ჩაის ნაპირზე, ზღვის დონიდან 5545 ფუტზე; მოსახლეობა: 4303 კაცი. ამ პატარა ქალაქს ოსმალთა ბატონობის პერიოდში გარს საკმაოდ ძლიერი ციხესიმაგრე ერტყა. 1807 წლის 9 მაისს ახალქალაქის აღება შტურმით სცადა გრაფმა გუდოვიჩმა<sup>10</sup>, მაგრამ მარცხი განიცადა და უკან დაიხია. 1811 წლის 8 დეკემბერს ციხესიმაგრეს მოულოდნელად დაესხა თავს პოლკოვნიკი კოტლიარსკი (შემდგომში ლენქორანის სახელგანთქმული გმირი), რომლის განკარგულებაში ფეხოსანთა 2 ბატალიონი და კაზაკთა ასეული იყო. კოტლიარსკიმ შტურმით აიღო ციხესიმაგრე და თითქმის მთელი გარნიზონი ამოწყვიტა. 1828 წლის 23 ივნისს ახალქალაქი გრაფმა პასკევიჩმა აიღო. ახალქალაქიდან საფოსტო გზა დუხობორების სოფლების გავლით ალექსანდროპოლისკენ<sup>11</sup> მიემართება. მანძილი ახალქალაქიდან ალექსანდროპოლამდე 94 ვერსტია.

ახალქალაქიდან დაახლოებით 10 ვერსტში, ბრტყელი მაღლობის კიდეზე, სოფელ კუმურდოში შემორჩენილია X საუკუნის დიდი და ლამაზი ტაძრის ნანგრევები. სამწუხაროდ, ეს ბრწყინ-

ვალე ძეგლი იძარცვება მის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ.

კუმურდოს დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს ოდესღაც სახელგანთქმული კლდეში ნაკვეთი ვარძიის მონასტერი. იგი რამდენიმე ეკლესიას, უამრავ სენაკსა და სხვანაგებობებს მოიცავს. გადმოცემის თანახმად, ვარძია თამარ მეფის საყვარელ საცხოვრებელ და დასასვენებელ ადგილს წარმოადგენდა. თამარმა გააფართოვა კლდეში ნაკვეთი ქალაქი და ააშენა ღვთისმშობლის სახელობის დიდი ეკლესია, რომლის კედლებზეც თვით ამ სახელგანთქმული დედოფლის ფრესკაა შემორჩენილი. ვარძიის დაარსების, აგრეთვე, მისი გაუკაცრიელების თარიღი უცნობია. XIV საუკუნეში იგი მონღოლებმა ააოხრეს, XVI საუკუნეში კი – სპარსელებმა. დიდი ხანი არაა, რაც იგი კერძო შემონიშნულობებით განახლდა. გადმოცემა თამარ მეფის ვარძიაში დასაფლავების შესახებ ისტორიული წყაროებით არ დასტურდება.

ახალქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით მიემართება 89 კილომეტრი სიგრძის საფოსტო გზა არდაჰანისკენ, რომელიც გაივლის ჩილდირისა და ხოზაფინის ტბებს შორის და შემდეგ მტკვრის მარჯვენა ნაპირით აღწევს არდაჰანს.

არდაჰანი, ქართველები მას არტაანს უწოდებენ, არდაჰანის ოკრუგის ცენტრი, მდებარეობს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მისი სათავეების მახლობლად, ზღვის დონიდან 6058 ფუტზე. მოსახლეობა შეადგენს 844 კაცს. არდაჰანი უძველეს ქართულ დასახლებულ პუნქტთა რიცხვს განეკუთვნება. XIII საუკუნიდან აქ იყო კოლას (ამჟამად გიოლე) პროვინციის ერისთავის რეზიდენცია. XVI საუკუნეში არდაჰანი ოსმალებმა დაიპყრეს, რის შემდეგაც ქრისტიანობა და ქართული ენა აქ უკვალოდ გაქრა; დარჩა მხოლოდ უამრავი ეკლესიის ნანგრევი ქალაქის შემოგარენში. რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელი ომის დროს, 1877 წლის 5 მაისს, გენერალ-ადიუტანტ ლორის-მელიქოვის<sup>12</sup> კორპუსმა ორდლიანი შტურმის შემდეგ არდაჰანი აიღო. გამარჯვებულებმა ხელთ იგ-

დეს 92 ქვემეხი, აგრეთვე, სამხედრო და სურსათ-სანოვავის მარაგის დიდი რაოდენობა.

არდაჰანი საპალნე გზებით დაკავშირებულია ბათუმსა და ყარსთან. არდაჰანი სამხრეთ-დასავლეთით, 99 ვერსტში, მდებარეობს ოლთისი. ამ დასახლებულ პუნქტებს ერთმანეთთან საფოსტო გზა აკავშირებს, რომელიც გაივლის ზღვის დონიდან 7728 ფუტ სიმაღლეზე მდებარე პანჟურეთის უღელტეხილს (ეს უკანასკნელი ერთმანეთისაგან ყოფს ჭოროხისა და მტკვრის აუზებს) და კანლი-სუს ხეობით ეშვება ოლთუ-ჩაის ველზე. არდაჰან-ოლთისის გზაზე არაერთი ძველი ციხესიმაგრისა და ეკლესიის ნაშთია შემორჩენილი. ციხესიმაგრეთაგან აღსანიშნავია სოლომონ-ყალა, რომელიც მდებარეობს კანლი-სუს მარცხენა ნაპირზე, მაღალ მთაზე. სოლომონ-ყალაში შემორჩენილია ციხის ეკლესიის ნაშთები, რომელშიც ჯერ კიდევ ჩანს ძველი ფრესკული მოხატულობის კვალი. ციხესიმაგრის მახლობლად ფრესკებითა და ნარწერებით შემკული კლდეში ნაკვეთი ეკლესია მდებარეობს. ქრისტიანული პერიოდის ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ ფანაკში არსებული ბრწყინვალე ტაძარი. ოლთისის ოკრუგში გაბნეულ ძეგლებს ჯერ არქეოლოგის ხელი არ შეხებია.

ოლთისი, ოლთისის ოკრუგის ადმინისტრაციული ცენტრი, მდებარეობს მდინარე ოლთუ-ჩაის ნაპირას, ზღვის დონიდან 4325 ფუტზე, მოსახლეობა 462 კაცს შეადგენს. კლდეზე შემორჩენილია დიდი და მტკიცე ციხესიმაგრის ნაშთები, რომელიც ოდესღაც სამცხის ათაბაგების რეზიდენციას წარმოადგენდა. ოლთისის ციხეში ეკლესიის ნაშთებიცაა შემორჩენილი. საისტორიო წყაროებში ოლთისი უძველესი დროიდან მოიხსენიება. რუსეთს 1877-1878 წლების ომის შედეგად შეუერთდა (გვ. 378-384).



## კონვენტარები

### ბათუმიდან ართვინამდე (გზაპირის ჩანაწერები)

იალბუზი.

- <sup>1</sup> ამჟამად ქალაქი თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება ბორჩქა. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად, ბერლინის კონგრესის შემდეგ, ბათუმი პორტო-ფრანკოდ, ანუ თავისუფალ ნავსადგურად გამოცხადდა. XIX ს-ის 80-იან წლებში რუსეთმა ბათუმის პორტო-ფრანკოს სტატუსი ცალმხრივად გააუქმა.
- <sup>4</sup> უღელტეხილი ისტორიულ კლარჯეთში, ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში.
- <sup>5</sup> პაემანი (ფრანგ.)
- <sup>6</sup> დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890 წწ.) - ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი (1879).  
პეტრა - ისტორიული ციხე-ქალაქი დასავლეთ საქართველოში, ეგრისის სამეფოში (ახლანდ. სოფ. ციხისძირი, ქობულეთის რაიონი).
- <sup>8</sup> იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“, რომელიც 1878 წელს დაისტამბა სანკტ-პეტერბურგში, რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით.
- <sup>9</sup> გიორგი ყაზბეგმა „თურქეთის საქართველოში“ იმოგზაურა 1874 წლის გაზაფხულზე, რომლის შედეგებიც იმავე წელს გამოაქვეყნა რუსულ ენაზე სახელწოდებით „სამი თვე თურქეთის საქართველოში“.
- <sup>10</sup> იგულისხმება გერმანელი ბოტანიკოსის, პროფესორ კარლ კოხის (1809-1879 წწ.) თხზულება „Wanderungen durch dem Orient“ („მოგზაურობა აღმოსავლეთში“), რომელიც 1846-1847 წლებში გამოიცა ქ. ვაიმარში 3 ტომად. ნაშრომს საფუძვლად დაედო კ. კოხის მოგზაურობა აღმოსავლეთში 1843-1844 წლებში, რომლის დროსაც მან მოიარა პონტოს ზეგანი, არტაანის მიდამოები, არზრუმი და ეფრატის მომიჯნავე ოლქის აღმოსავლეთი ნაწილი.  
სოფელი ქედის რაიონში.

<sup>12</sup> მირვეთი – სოფელი ხელვაჩაურის რაიონში.

სოფელი ხელვაჩაურის რაიონში.

იგულისხმება ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე მიხეილ მეფისაშვილი, რომელიც რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ 70-80-იან წლებში ართვინის მაზრის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა.

სოფელი ხელვაჩაურის რაიონში.

იგულისხმება დავით როსტომის ძე ნერეთელი, აკაკი ნერეთლის ძმა, რომელიც XIX ს-ის 70-90-იან წლებში მაჭახელას უბნის უფროსი იყო. ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს მაჭახელას ხეობის შესახებ.

<sup>17</sup> სოფელი ხელვაჩაურის რაიონში.

<sup>18</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება მურათლი.

<sup>19</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება ქარშიქოი.

<sup>20</sup> ე. ვეიდენბაუმის მიერ მოხსენიებული პირი ახმედ-ეფენდი არის ახმედ ხალვაში, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე. იგი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დამთავრებისთანავე დაინიშნა ართვინის უბნის უფროსად, შემდეგ გადაიყვანეს გონიოს უბნის უფროსად, სადაც 1891 წლამდე მუშაობდა. ახმედ ხალვაში გარდაიცვალა 1895 წელს. მის სახელთან ბევრი მამულიშვილური საქმეა დაკავშირებული. ქართული ისტორიული ძეგლების დაცვის გარდა, ახმედ ხალვაში აქტიურად მონაწილეობდა ქართული წიგნების გავრცელებაში ქართველ-მაჰმადიანთა შორის. ხოჯა-მოღების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, 1893 წელს მისი ხელმძღვანელობით სოფელ მარადიდში ქართული სკოლა გაიხსნა.

<sup>21</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება სუმბულუ.

<sup>22</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება ამბარლი.

- <sup>23</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება ავჯილარი.
- <sup>24</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება ერენ-ლერი.
- <sup>25</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. თანამედროვე სახელწოდება ორმანლი.
- <sup>26</sup> ფულის გადამცვლელები.
- <sup>27</sup> იგულისხმება მიხეილ მეფისაშვილი.
- <sup>28</sup> ერთგვარი შავი ლუდი, მომწარო და მაგარი.  
თეთრი ინგლისური ლუდი, მაგარი.
- <sup>29</sup> ნავის დაქირავება.
- <sup>31</sup> ამჟამად მდებარეობს თურქეთში. შენარჩუნებული აქვს ძველი სახელწოდება.

### ქავკასიის გზამკვლევი

- <sup>1</sup> ვერსტი, ვერსი (რუს. Верста) – სიგრძის საზომი ერთეული ძველ რუსეთში. XIX საუკუნიდან გავრცელებული იყო საქართველოშიც. XVIII საუკუნის ბოლოდან მეტრული სისტემის შემოღებამდე 1 ვერსტი უდრიდა 1, 0668 კილომეტრს.
- <sup>2</sup> ფუტი (ინგლ. foot) – ინგლისურ და რუსულ საზომთა სისტემის სიგრძის ერთეული. რუსეთში 1918 წელს გააუქმეს. 1 ფუტი უდრიდა 0,3048 მეტრს.
- <sup>3</sup> კონსტანტინე VII პორფიროგენეტი – ბიზანტიის იმპერატორი 913-959 წლებში. მას ეკუთვნის რამდენიმე ტრაქტატი: „იმპერიის მმართველობის შესახებ“, „თემების შესახებ“ და სხვ., რომლებშიც მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული საქართველოს შესახებ.
- <sup>4</sup> ჰერაკლე – ბიზანტიის იმპერატორი 610-641 წლებში.
- <sup>5</sup> აქ ე. ვეიდენბაუმი გარკვეულ შეცდომებს უშვებს, კერძოდ, ათაბაგი ახალციხის ფაშამ შესცვალა არა XVIII საუკუნის შუახანებში, არამედ

XVII საუკუნის პირველ ნახევარში; გარდა ამისა, XVII საუკუნიდან მოყოლებული, იშვიათი გამოჩაჩისის გარდა, ახალციხის ფაშის თანამდებობას მუდმივად ჯაყელთა საგვარეულო სახლის გამაჰმადიანებული წარმომადგენლები ფლობდნენ.

- <sup>6</sup> პასკევიჩი ივანე თეოდორეს ძე (1782-1856 წწ.) – რუსი გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი; 1827-1830 წლებში იგი კავკასიის მთავარმართებელი იყო რუსეთ-ირანის (1826-1828 წწ.) და რუსეთ-ოსმალეთის (1828-1829 წწ.) ომების დროს.

აჰმედ-ბეგ ხიმშიაშვილი (გარდ. 1836 წელს) – აჭარის მმართველი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სხვადასხვა დროს იყო ყარს-ჩილდირის გუბერნატორი, არზრუმის ფაშა; სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟი.

- <sup>8</sup> ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1879 წწ.) – რუსი გენერალ-ფელდმარშალი; კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1862 წლებში.

- <sup>9</sup> დუხოზორები („სულისათვის მებრძოლნი“) – უკიდურესად პროტესტანტული სექტა, ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ვორონეჟის, ტამბოვის, ეკატერინოსლავის გუბერნიებში.

- <sup>10</sup> გუდოვიჩი ივანე ვასილის ძე (1741-1820 წწ.) – რუსი გენერალ-ფელდმარშალი, გრაფი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სენატორი; კავკასიის მთავარმართებელი 1806-1809 წლებში.

- <sup>11</sup> ალექსანდროპოლი (ახლანდ. გუმრი) – ქალაქი სომხეთში; შუა საუკუნეებში ეწოდებოდა კუმაირი (გუმრი), XIX საუკუნიდან 1924 წლამდე – ალექსანდროპოლი, საბჭოთა პერიოდში – ლენინაკანი.

- <sup>12</sup> ლორის-მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე (1825-1888 წწ.) – გრაფი, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ადიუტანტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი.

## გეოგრაფიულ სახელთა საქიებალი

### ა

- აბასთუმანი 25, 82, 83  
ადაგიული 75  
ადრანუტიონი - იხ. არტანუჯი 80  
აჟანა 16, 63, 75  
აეჯილარი 89  
ალექსანდროპოლი 90  
ამბარლი 88  
ამიერკავკასია 11, 28, 46  
ანისი 18, 68, 79  
არდაჰანი იხ. არდაგანი  
არზრუმი 81, 87, 90  
ართვინი 7, 15-20, 22-23, 33, 45-48,  
50-51, 54-56, 60, 61, 65-79, 87-88  
არპაჩაი 68  
არტაანი (არდაგანი) 7, 18, 25, 68-69,  
79, 85-87  
არტანუჯი 18, 25, 80  
ასპინძა 20, 23  
აფხაზეთი 15, 33, 47  
ანყური 22-23, 25, 80  
აჭარა 7, 17-18, 20-21, 30, 40, 48, 50,  
52, 54, 61, 90  
ახალდაბა 16, 58, 62, 75  
ახალქალაქი 25, 84-85  
ახალციხე 10, 21-23, 25, 48, 54, 70,  
80-84, 87, 89-90  
აჰისკა იხ. ახალციხე 81

### ბ

- ბათუმი 7, 15-16, 18-20, 23, 25, 30,  
33-43, 45-46, 48-49, 52, 57-58, 60-  
61, 68-69, 71, 73, 78-79, 86-87  
ბაქო 25  
ბენარა 23  
ბერლინი 7, 87

- ბორჩხა 16, 37, 46, 55-59, 73, 76-77  
ბორჯომი 80

### გ

- გელათი 27, 80  
გიოლე 85  
გონიო 88  
გორი 10-11  
გურია 33, 45, 56, 87

### დ

- დაღესტანი 26  
დავსხელის-წყალი (რუკაზე შუა-ბევი)  
59, 60, 61  
დოლოგანი 16, 48

### ე

- ეგრისი 87  
ეკატერინოსლავი 90  
ელგა 73, 78  
ერენლერი 89  
ეჩმიადინი 27

### ვ

- ვაიმარი 87  
ვარძია 25, 27, 85  
ვლადიკავკაზი 56, 60, 77  
ვორონეჟი 90

### ზ

- ზარზმა 25, 83  
ზაქათალა 10  
ზედუბანი 77  
ზემო მარადიდი 16, 49, 50  
ზემო ქართლი 81

**თ**

თბილისი 10-11, 19, 24  
 თოღოლომი 69-70  
 თურქეთი 16-18, 38-39, 44, 46, 49, 53,  
 64-65, 68-69, 76, 87-89

**ი**

იალანუს-ჩამი 40, 41, 47, 79  
 იალბუზი 26, 87  
 ივერია 7, 10-11, 15, 18, 29, 32  
 იმერეთი 83  
 იმერხევი 7, 73, 79  
 ინგლისი 26-27, 35  
 ინდოეთი 29  
 ირანი 90  
 ირსა 16, 63-64, 75

**კ**

კავკასია 9, 11-12, 14, 19, 24-29, 58,  
 89-90  
 კამურენი იხ. შუახევი 59  
 კატრია 16, 62  
 კატაფხია 77, 78  
 კახეთი 13-14  
 კახაბერი 40, 41, 47, 61  
 კიბე 30  
 კინტრიში 43-44  
 კინწყურეთი 77  
 კლარჯეთი 7, 87  
 კონსტანტინოპოლი 49, 68, 69, 70  
 კოპანდიბი 60, 73, 78  
 კუმურდო 85

**ლ**

ლაზეთი 33, 59, 62, 75  
 ლაზისტანი 16  
 ლივანა 79  
 ლონდონი 61

**მ**

მარადიდი 16, 73  
 მაჭახელა 17, 21, 46, 48, 49, 54, 88  
 მაჭახლისპირი 16, 48

მესხეთი 7-8, 24-25, 32, 81  
 მეჯვრისხევი 11  
 მირვანი 16, 48  
 მირვეთი 88  
 მონბლანი 26  
 მოსკოვი 12  
 მოქევი 14  
 მურათლი 88  
 მურლული 16, 18, 61-62, 68, 75-76  
 მურლულისწყალი 16, 61, 62, 68, 75,  
 76  
 მცხეთა 27-28

**ნ**

ნიგაია 75  
 ნიკოლაევი 9  
 ნოვოროსიისკი 25

**ო**

ოგლაური 78  
 ოლთისი 7, 25, 86  
 ომანა 16, 63, 75  
 ოპიზა 80  
 ორმანლი 89  
 ორჯა 16, 62, 75  
 ოსმალეთი 7, 20-22, 90

**პ**

პარიზი 67  
 პარხალი 80  
 პერანგას ქელი 43  
 პეტერბურგი 87  
 პეტრა 87

**რ**

რომი 28  
 როსტოვი 39  
 რუსეთი 7, 11-14, 26, 28-31, 82, 86-  
 90

**ს**

საბერძნეთი 70  
 სამარყანდი 29

სამეგრელო 14  
სამურზაყანო 33  
სამცხე 83, 86  
სან-სტეფანო 7  
საფარა 25  
საქართველო 7, 9, 11-14, 16, 18, 20-  
21, 28, 30, 32, 46, 47, 53, 80, 89  
სვანეთი 27  
სიმონეთი (სიმორისი) 26-27  
სიმორისი იხ. სიმონეთი 48, 78  
სინგოტი 16, 55, 63-64, 74  
სოლომონყალა 86  
სომხეთი 27, 90  
სოუქ-სუ 15  
სოხუმი 9, 39-40  
სპარსეთი 28  
სტამბოლი 17-18, 71  
სუმბულუ 88

### ტ

ტამბოვი 90  
ტბეთი 80  
ტირზნისი 11  
ტოლოში 22  
ტრაპეზუნტი 33, 35, 68, 72  
ტფილისი 10

### უ

ურძულა 75

### ფ

ფაზისი 28  
ფანაკი 86  
ფოთი 33, 39  
ფოცხოვი 23, 81, 83

### ქ

ქართლი 14  
ქარშიქოი 88  
ქედა 48, 87  
ქერჩი 38  
ქვაბლიანი 23  
ქვემო მარადიდი 16, 49

ქობულეთი (ჩურუქ-სუ) 17, 20-21, 33,  
50, 52, 54, 87  
ქუთაისი 28, 83

### ღ

ღებრიმერი 77

### ყ

ყალასყურის-წყალი 16, 55, 77  
ყარსი 18, 68-69, 86, 90  
ყირიმი 23, 28  
ყუბანი 26

### შ

შავშეთი 7, 17-18, 20, 52, 58, 68  
შუა აზია 29  
შუახვევი (კამურენი) 59

### ჩ

ჩარბიეთი 64  
ჩაირ-სუ იხ. ჩხალის-წყალი 57  
ჩილდირი 85  
ჩურუქ-სუ (ქობულეთი) 33  
ჩხალის-წყალი (ჩაირ-სუ) 16, 57-59

### ც

ციხისძირი 7, 15, 34, 42-44, 87

### ძ

ძეგვი (მდ.) 43

### წ

წითლის-წყალი 59  
წითურეთი (წითლოეთი) 16, 59, 76

### ჭ

ჭოროხი 16, 37, 38, 46-51, 55, 57-61,  
63-65, 69, 71, 73-78

### ხ

ხატილა-სუ 64, 74, 75  
ხება 49, 50-52, 60, 77-78  
ხები-მერი (მერი-ვაკე) 77

ხელვაჩაური 88  
ხერთვისი 25, 84  
ხერსონი 9, 38  
ხოვა 59  
ხუცუბნის მაღლობი 43

### ჰ

ჯავახეთი 84

### ა

არარატ 24  
არაგუჯ 18  
არვინი 8, 15, 18, 24

### ბ

Батуми 8, 15, 18, 24

### გ

Грузия 12-14

### კ

Кавказ 8-9, 12-15, 23, 25, 27

### ს

Санкт-Петербург 12

### თ

Тифлис 12-14, 23-25

## პირთა საკიებელი

### ა

ალხაზიშვილი ილია 7  
ასლანიშვილი სოლომონ (ბაერელი) 7,  
18  
აქვაია კლოდ 14  
ამოტ კურაპალატი 80  
აჰმედ-ბეგ ხიმშიაშვილი 82, 90  
აჰმედ-ეფენდი იხ. ხალვაში აჰმედ-  
ეფენდი 17, 48, 50, 55, 57, 59, 77-  
78, 82, 88

### ბ

ბაერელი სოლომონ – იხ. ასლანიშვი-  
ლი სოლომონ 7, 18  
ბარამიძე ა. 9  
ბარიატინსკი ალექსანდრე 26, 82, 90  
ბაქრაძე დიმიტრი 7, 11, 18, 27-28,  
41, 42, 46, 87  
ბებუთოვი 82  
ბენედიქტოვი 28  
ბექა ათაბაგი 83  
ბლიუმენბახი 27  
ბურცოვი 82

### გ

გაბედავა მ. 9-13  
გვარამაძე ივანე 7  
გიბზონი 28  
გიორგი X (ქართლის მეფე) 14  
გრანჯე ლუი 14  
გულოვიჩი ივანე 90

### დ

დერევიშ-ფაშა 36-37, 41, 47  
დონდუკოვ-კორსაკოვი 29

### ე

ელისაბედ პეტრეს ასული 70

### ვ

ვახტანგ გორგასალი 80  
ვახუშტი ბატონიშვილი 80  
ვეიდენბაუმი ვეგენი 7-20, 22-32, 88-  
89  
ვესპასიანე 28  
ვორონცოვ-დაშკოვი 11



**თ**

თამარ მეფე 27, 74, 85  
 „თ. დ. ნ.“ იხ. ნერუთელი დავით 17, 88

**ი**

ივენსი ა. 29

**კ**

კანეესკი 27  
 კნორინგი 19-20  
 კოვალენსკი მაქსიმე 19, 29  
 კოვალენსკი 20  
 კოლუმბი 27  
 კონსტანტინე პორფიროგენეტი 80, 89  
 კოტლიარსკი 84  
 კოხი კარლ 46, 64, 87

**ლ**

ლერმონტოვი მ. 26  
 ლორის-მელიქოვი მიხეილ 85, 90

**მ**

მედეა 28  
 მელიქსეთ-ბეგი ლეონ 24  
 მესხი სერგეი 7  
 მეფისაშვილი მიხეილ (მეფისოვი)  
 მ. პ. მ. 17, 22, 48, 88-89  
 მითრიდატე (ქართლის მეფე I ს-ში)  
 28  
 მიხეილ ნიკოლოზის ძე 9, 20  
 მორფილი ვ. 25  
 მურვან ყრუ 80  
 მური 26  
 მუსტაფა-ოღლი 52, 54, 77  
 მჭედლიშვილი ლევან 7, 18

**ნ**

ნათაძე ალექსანდრე 7  
 ნარეჟნი ვ. ტ. 19

**ო**

ოკლობჟიო 43

**პ**

პალგრევი ჯიფორდ 35, 72  
 პასკევიჩი ივანე 82, 90  
 პო ედგარ 28  
 პუშკინი ა. 14, 26

**ჟ**

ჟორდანია ო. 9-13

**რ**

რეკლიუ 29

**ს**

სარგის II ჯაყელი 81  
 სვიატიპოლკ-მირსკი დ. 9  
 სტრაბონი 13, 27  
 სურმანიძე რამაზ 18

**ტ**

ტაციცუსი 28  
 ტელფერი 28  
 ტოტლებენი 14, 19-20  
 ტუკერი 26

**უ**

უსლარი 26

**ფ**

ფარსმანი 28  
 ფრემფილდი 26  
 ფრონელი ალექსანდრე იხ. ყიფშიძე  
 ალექსანდრე 14, 19

**ქ**

ქალანთარი 10  
 ქესა მუჰამედფაშა 82

**ყ**

ყაზბეგი გიორგი 18, 46, 65, 87  
 ყიფშიძე ალექსანდრე (ფრონელი) 14,  
 17, 19, 22, 23

შ  
შამილი 26  
შატბერაშვილი გიგო 22

ც  
ცაგარელი ალექსანდრე 27

ნ  
წერეთელი აკაკი 17, 88  
წერეთელი დავით (ფსევდონიმი „თ.  
დ. ნ.“) 7, 17, 48-49, 88

ჭ  
ჭიჭინაძე ზაქარია 18  
ჭრელაშვილი სტეფანე 25

ხ  
ხალვაში ახმედ-ეფენდი 17, 88  
ხარაზი მამია 18  
ხიმშიაშვილი სელიმ 90

ჯ  
ჯაიანი ივანე 18  
ჯამაზდი 28  
ჯუღიჩი 36

კ  
კასუნი 68  
კერაკლე (ბიზანტიის იმპერატორი  
VII ს-ში) 80, 89  
კეროდოტე 13  
კომეროსი 13, 56

ბ  
ბაკრაძე დ. 18  
ბერგენგეიმ 24  
ბესტუჯევ ა. 24

ვ  
ვეიდენბაუმ ე. გ. (პსევდონიმები: „ისტორიკ“, „თიფლისკი სტოროჟილ“, „ნ. სტერი“, „ი. ვ. ა.“) 9, 12, 19, 23-25

ვენგეროვ ს. ა. 9

გ

გენე ფ. ი. 24  
გორდესე 24  
გრიბოდოვ 24

დ

დონდუკოვ-კორსაკოვ ა. მ. 25

ე

ერმოლოვ 24

ი

„ი. ვ. ა.“ სმ. ვეიდენბაუმ ე. გ.  
ირაკლიი II 14  
„ისტორიკ“ სმ. ვეიდენბაუმ ე. გ.

მ

მელიქსეტ-ბეკოვ ლ. 9-12, 24  
მილუკოვ ი. ნ. 9  
მ-ნი 19, 23

ნ

ნარეჟნიუი ვ. თ. 24

პ

პასკევიჩ პ. ს. 24  
პუშკინ ა. ს. 24

ს

სტერი ნ. სმ. ვეიდენბაუმ ე. გ. 12

ტ

„თიფლისკი სტოროჟილ“ სმ. ვეიდენ-  
ბაუმ ე. გ.  
ტოტლებენ 14

იუ

იუჯაკოვ ს. ნ. 9-10, 12

# **SOUTH CAUCASUS AND ANATOLIA**

2

**Eugene Weidenbaum**

**FROM BATUMI TO ARTWIN**

**(Travellers Notes)**

**Translated by Mzia Chkhaidze and Gocha Saitidze**  
**Introduction, Comments and General Index by Gocha Saitidze**

**ARTANUJI Publishers**

**Tbilisi 2005**

**საგამომცემლო ჯგუფი**

**ეთერ ბაიდოშვილი**

**თამარ გვგია**

**ნათელა თუხარაძე**

**ვიოლა ტულუში**

**ილია ხელაია**

**გარეკანის პირველ გვერდზე:**

**ართვინის ციხე. ფოტო ბუბა კუდავასი. 2003 წ.**

**გამომცემლობა არტანუჯი**

**თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17<sup>ა</sup>. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.**

**artanuji@telenet.ge**